„შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა“

სს „საქართველოს რკინიგზის”

სამეთვალყურეო საბჭოსთან

2025 წლის 20 თებერვალი

№ 2 სხდომის ოქმით

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

სს „საქართველოს რკინიგზის”

დირექტორთა საბჭოს 2025 წლის

24 იანვრის №3/3 დადგენილებით

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

დავით ფერაძე

# სს „საქართველოს რკინიგზა“

## სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების, აღრიცხვის, ექსპედირების და „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემა“-ში შეტანის წესი

(თავი I )

სარჩევი:

**ზოგადი ნაწილი**

**თავი I. სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების წესი**


მუხლი 1. კლიენტის რეგისტრაცია
მუხლი 2. გადაზიდვის დავალება
მუხლი 3. სატვირთო გადაზიდვების და გაწეული მომსახურების დოკუმენტირების და აღრიცხვის წესი
3.1.დარიცხვის პირველადი დოკუმენტები
3.2. გადაზიდვის საბუთი
3.3. სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო
3.4. საერთო ფორმის აქტი
3.5. დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი
3.6. სატვირთო გადაზიდვის დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში წარმოების ცალკეული პირობები
3.7. ელექტრონული სატვირთო საბუთების კორექტირება
3.8. გზადმდებარე სადგურებში რკინიგზისგან დამოუკიდებელი მიზეზით ტვირთის გადაზიდვის შეფერხებისას მოქმედების წესი
მუხლი 4. შესწორების ვაუჩერი
მუხლი 5. გადახდების მიღების წესი
მუხლი 6. დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვის წესი
მუხლი 7. მოცულობითი გადაზიდვების აღრიცხვა
მუხლი 8. სატვირთო მომსახურების ღირებულების შემოსავალში აღების წესი
მუხლი 9. სარკინიგზო მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი
მუხლი 10. ტვირთის გადამისამართება საერთაშორისო გადაზიდვებისას
მუხლი 11. ტვირთმიმღებისათვის ტვირთის მოსვლასთან დაკავშირებული შეტყობინების გადაცემის პროცედურა
მუხლი 12. საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საბაჟო კონტროლის განხორციელება
მუხლი 13. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით პროცედურები

## ზოგადი ნაწილი

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილისN26 ბრძანებით დამტკიცებული„რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესები“-ს 434-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

2. სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების, აღრიცხვის, ექსპედირების და „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეტანის წესი ეფუძნება: არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დირექტორთა საბჭოს დადგენილებებს, დირექტორის ბრძანებებს და „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებით საფასურებს“.

3. სარკინიგზო სატვირთო მომსახურების სახეებია:

- **ტვირთის გადაზიდვა** - ტვირთის მიღება და გადაზიდვა რკინიგზის სადგურებს შორის.
- **სადგურის მომსახურება** - ვაგონების მიწოდება-გამოტანა მისასვლელ ლიანდაგებზე ( საერთო სარგებლობის და არასაერთო სარგებლობის) და მასთან დაკავშირებული სხვა კომერციული ოპერაციების შესრულება.
- **დამატებითი მომსახურება;**

- 24 საათზე მეტი მომსახურება;
- სამანევრო ლოკომოტივით მომსახურება;
- ტვირთის შენახვა;
- ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვა;
- საკეტ-საპლომბი მოწყობილობების რეალიზაცია;
- სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული სხვა სახის მომსახურება;
- და სხვა;

### მუხლი 1. კლიენტის რეგისტრაცია

1. ს.ს „საქართველოს რკინიგზა“-ს სატვირთო მომსახურების გაწევისათვის სავალდებულოა კლიენტის (მათ შორის არარეზიდენტის) ერთჯერადი რეგისტრაცია „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემა“- ში (შემდგომში - **ერთიანი ელექტრონული სისტემა**). რეგისტრაციისათვის სავალდებულოა შეივსოს **კლიენტის სარეგისტრაციო ბარათი** (დანართი 1 რეზიდენტებისათვის, დანართი 1.1 არარეზიდენტებისათვის) სადაც მიეთითება კლიენტის შესახებ საჭირო ინფორმაცია. თუ კლიენტს საიტზე cargo.railway.ge შესასვლელად არ გააჩნია იუზერი (სახელი და პაროლი) მაშინ ის ავსებს სარეგისტრაციო ფორმას ,,კლიენტის რეგისტრაცია საიტზე შესასვლელად“ დანართი 1.2. და სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის კლიენტის მომსახურების ცენტრში, რეგისტრირდება საიტის მომხმარებლად.

2. კლიენტის რეგისტრაცია ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში:

- „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის (შემდგომში სატვირთო გადაზიდვების **დეპარტამენტი**) კლიენტთა მომსახურების ცენტრში (შემდგომში **მომსახურების ცენტრი),** რკინიგზის სადგურებში.

რეგისტრაციის წარმატებით დასრულების დამადასტურებელია კლიენტისათვის ანგარიშმსწორებლის კოდის (კლიენტის კოდი) და იუზერის (სახელი და პაროლი) მინიჭება როლით ,,გადაზიდვის დავალების ფორმირება“. პირს როლით ,,გადაზიდვის დავალების ფორმირება“ ეძლევა ადმინისტრირების უფლება და შეუძლია დაარეგისტრიროს (ადმინისტრირება>>მომხმარებლის დამატება) თავისი მომხმარებლები (მინდობილი პირები) შესაბამისი როლის მინიჭებით, (ადმინისტრირება>>მომხმარებლის მენეჯერი) ასევე საჭიროებისამებრ გაუთიშოს ან ჩაურთოს როლი.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდა გადაზიდვა საქართველოს რკინიგზის სადგურის დანიშნულებით და კლიენტი არ არის რეგისტრირებული ერთიან ელექტრონულ სისტემაში, დანიშნულების სადგური ვალდებულია, შეავსებინოს კლიენტს სარეგისტრაციო ბარათი. თუ

დანიშნულების სადგური ჩართულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მაშინ იგი ახდენს კლიენტის რეგისტრაციას სისტემაში. მას შემდეგ რაც აღნიშნულ კლიენტს სისტემის მიერ მიენიჭება ანგარიშმსწორებლის კოდი, სადგური აკორექტირებს შესაბამის საგზაო უწყისს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ, დანიშნულების სადგური, არ არის ჩართული ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მაშინ იგი ტელეფონის საშუალებით უკავშირდება ფილიალ ,,ვორლდ ბიზნეს სოლუშენს"-ის ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორს შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24 და ახდენს კლიენტის რეგისტრაციას, ამასთან, საგზაო უწყისში მიუთითებს კლიენტის კოდს.

4. კლიენტი (რეზიდენტი და არარეზიდენტი) უფლებამოსილია გასცეს მინდობილობა სხვა კლიენტზე, რომელიც თავისი იუზერით შევა ერთიან ელექტრონულ სისტემა **cargo.railway.ge** -ზე და მისი სახელით შეასრულებს სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებულ ელექტრონული დოკუმენტაციის წარმოებას და ხელმოწერას.

კლიენტი რომელზეც გაიცა სხვა ორგანიზაციის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაცია) მინდობილობა ვალდებულია რკინიგზის სადგურში წარმოადგინოს:

ა) მინდობილობის გამცემი ორგანიზაციის მინდობილობა ქართულ ენაზე, ან უცხო ენაზე არსებული მინდობილობა ქართულად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული. რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად პარამეტრებს:

- მინდობილობის გამცემი ორგანიზაცია (ანგარიშმსწორებლის კოდი);
- მონდობილობის მქონე ორგანიზაცია ( საიდენტიფიკაციო და ანგარიშმსწორებლის კოდი);
- სადგურის დასახელება;
- მოქმედების ვადა;
- მინდობილი უფლებამოსილება;

ბ) მონდობილობის მქონე ორგანიზაციის მიერ თავის წარმომადგენლებზე გაცემული მინდობილობა მონაცემებით:

- მინდობილი პირის სახელი გვარი და პირადი ნომერი;
- მინდობილი უფლებამოსილება.

სადგურის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ელექტრონულ სისტემაში ატვირთავს და აფიქსირებს მინდობილობებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი (მინდობილობის მქონე პირები) მოახდენს შესაბამის საბუთის შექმნას და საბუთზე ხელმოწერის განხორციელებას.

5. ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლებს, რომლებიც სარგებლობენ ფუნქცია-როლით ,,გადაზიდვის დავალების ფორმირება" ევალებათ კლიენტთა მომსახურების ცენტრის მეშვეობით ან თავად მოახდინონ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის შესახებ მონაცემთა პერმანენტული კორექტირება. კლიენტს როლით ,,გადაზიდვის დავალების ფორმირება" სისტემის მეშვეობით აქვს შესაძლებლობა დაარეგისტრიროს ახალი მომხმარებელი როლით ,,გადაზიდვის დავალების ფორმირება" (ადმინისტრირება>>მომხმარებლის დამატება), ასევე კომპანიის სახელით დოკუმენტაციის წარმოებისა და ხელმოწერის უფლებები გაუთიშოს ძველ (თავის კომპანიაში არამომუშავე პირს, რომელიც განთავისუფლებულია, გადაყვანილია სხვა თანამდებობაზე ან მუშაობს სხვა კომპანიაში) მომხმარებელს- (ადმინისტრირება>> მომხმარებლის მენეჯერი). დაუშვებელია სისტემაში შესვლისათვის სარგებლობა იმ მომხმარებლის იუზერით, რომელიც კომპანიაში აღარ მუშაობს.

6. ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად აუცილებელია კომპიუტერთან მისაერთებელი სპეციალური წამკითხველი მოწყობილობა ,,Card reader"-ი, რომელშიც თავსდება ID ბარათი. ინსტრუქცია ,,Card reader"-ის ინსტალაციის შესახებ მოცემულია საიტზე www.id.ge.

7. ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად კომპანიის თანამშრომელს (ხელმომწერს) ესაჭიროება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ID ბარათი), რათა სამოქალაქო რეესტრის

სააგენტოს მიერ მოხდეს პირადობის დამადასტურებელი ინფორმაციის იდენტიფიცირება. ID ბარათთან ერთად საჭიროა ამ ბარათის PIN კოდი, რომელიც ფიქსირდება ბარათის გამოყენების დროს.

8. ღია და დახურულ ვაგონში ტვირთის განლაგებასა და დამაგრებაზე პასუხისმგებელი პირს გადაზიდვის საბუთში ხელმოწერის უფლების მისაღებად არეგისტრირებს კლიენტთა მომსახურების ცენტრი შესაბამისი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

## მუხლი 2. გადაზიდვის დავალება

1. სს „საქართველოს რკინიგზა"-ს სატვირთო მომსახურების მისაღებად აუცილებელია შეივსოს „ **მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე** " (შემდგომში **მოთხოვნა** ან **განაცხადი**) (დანართი 2). აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე ხდება სავარაუდო გადაზიდვის და მასთან დაკავშირებული სადგურის მომსახურების წინასწარი ღირებულების განსაზღვრა. სს „საქართველოს რკინიგზა"-ს გამგზავნი სადგურების მონაწილეობით (დატვირთვის შემთხვევაში) გადაზიდვის განხორციელებისას აუცილებელია, კლიენტმა „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" წარმოადგინოს მომსახურების ცენტრში სარკინიგზო მომსახურების მიწოდების თარიღის (წინა დღის) $18^{30}$ საათამდე (განაცხადის ერთიან ელექტრონულ სისტემაში გააქტიურების დრო). ხოლო საქართველოს რკინიგზის კუთვნილი რეფრიჟერატორული სექციების მოთხოვნისას მიწოდების თარიღამდე 48 საათით ადრე. $18^{30}$ საათიდან 24 საათამდე კლიენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი (გააქტიურებული) განაცხადი სისტემის მიერ ფიქსირდება და განიხილება, როგორც მომდევნო დღისთვის წარმოდგენილი განაცხადი.

გამონაკლის შემთხვევებში მიწოდების თარიღის წინა დღის $18^{30}$ წუთის შემდეგ და იმავე დღის მიწოდების მოთხოვნისას კონკრეტულ სადგურში მოძრავი შემადგენლობის (ვაგონი, ლოკომოტივი, სექცია) რესურსის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები"- თ (სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები, მუხლი VIII, მე-15 პუნქტით) განსაზღვრული თანხის გადახდის შემდეგ.

სავაგონო რესურსის არსებობა დასტურდება სგდ-ს მიერ ან კლიენტს ეძლევა დასაბუთებული უარი.

სგდ-ს მიერ მიწოდების მოთხოვნის დადასტურების შემდეგ, რკინიგზის მიზეზით ვაგონის მიუწოდებლობისას, წინა დღის $18^{30}$ საათის შემდეგ მიწოდების მოთხოვნისათვის გადახდილი თანხა აღდგება კლიენტის ბარათზე, სადგურის მიერ გამოწერილი საერთო ფორმის აქტის და სგდ-ს და სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის დანიშნულებით სადგურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

კლიენტი ვალდებულია მომდევნო დღისათვის (დღეებისათვის) ვაგონების მიწოდების მოთხოვნის განაცხადი დაადასტუროს განაცხადის წარმოდგენის დღის 24 საათამდე ხოლო იმავე დღის მოთხოვნის განაცხადი დაადასტუროს 20 საათამდე.

ზემოაღნიშნულ ვადაში განაცხადი მიიღება თუ გადაზიდვა არ საჭიროებს წინასწარ შეთანხმებას ან თუ კლიენტის წერილის საფუძველზე რკინიგზის შესაბამისი დეპარტამენტების მიერ გადაზიდვა წინასწარ არის შეთანხმებული (ან რკინიგზის შესაბამის დეპარტამენტებში საგარანტიო წერილის საფუძველზე გადაზიდვის დავალების დაშვების შემთხვევაში).

საერთაშორისო გადაზიდვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია განაცხადი წარმოადგინოს 10 (ათი) დღით ადრე განაცხადზე თანდართული წერილით ან/და АС «МЕСПЛАН»-ის შევსებული ბლანკით რკინიგზის შესაბამის დეპარტამენტში გადაზიდვის შეთანხმების უზრუნველსაყოფად.

განაცხადის მიღება დასაშვებია ნაკლებ ვადაში თუ კლიენტს მოთხოვნის წარმოდგენამდე წინასწარ, რკინიგზის შესაბამის დეპარტამენტში აქვს წარმოდგენილი შეთანხმების წერილი აღნიშნულ გადაზიდვაში მონაწილე რკინიგზებთან (რკინიგზასთან) გადაზიდვის შეთანხმებაზე (გაგზავნილია ელ-წერილი შეთანხმებაზე გადაზიდვაში მონაწილე რკინიგზებთან ან შეთანხმებულია გადაზიდვა). ასევე დასაშვებია განაცხადის მიღება და АС «МЕСПЛАН»-ის მოთხოვნის გაშვებასთან ერთად თანხმობის მიღების დალოდებამდე პარალერულ რეჟიმში

გადაზიდვის დავალების გაცემა, თანხმობის მიღების შემდგეგ გზავნილის გაფორმების პირობით, (ან რკინიგზის შესაბამის დეპარტამენტებში საგარანტიო წერილის საფუძველზე გადაზიდვის დავალების დაშვების შემთხვევაში). **შეთანხმებული პირობები აისახება განაცხადში (მოთხოვნაში).**

2. „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" უნდა იყოს დამოწმებული კლიენტის მიერ უფლებამოსილი **პირის ხელმოწერით და საწარმოს** ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში). მოთხოვნის სრულყოფილი დამუშავებისათვის აუცილებელია, აღნიშნული გადაზიდვის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციული გრაფის შევსება, ხოლო საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურების მონაწილეობით, ინვენტარული პარკის ვაგონით გადაზიდვის განხორციელებისას ან საკონტეინერო გზავნილის შემთხვევაში, სავალდებულოა, ფორმაში „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" დამატებით მიეთითოს გამგზავნ სადგურში ვაგონის დასატვირთად მიწოდების კონკრეტული თარიღები, ვაგონების რაოდენობა, ტვირთის წონა ან კონტეინერების რაოდენობა და კატეგორია. საერთაშორისო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად აუცილებელია „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე"- ფორმას თან დაურთოს დამატებითი ინფორმაციის დანართი ტვირთის გადაზიდვაზე სადაც AC «МЕСПЛАН»-ის სისტემაში შესათანხმებლად აუცილებელია მიუთითოს, დატვირთვის სავარაუდო თარიღი (საკუთარ და არენდირებულ ვაგონზე (კონტეინერზე), საკუთარ ღერძებზე მოძრავ შემადგენლობაზე), ტვირთის კოდი ეტსნგ-ს მიხედვით, დანიშნულების (ტრანზიტული) ქვეყანა, მოძრავი შემადგენლობის კუთვნილება, სახელმწიფოთაშორისო შეპირისპირების გამსვლელი სადგურების დასახელება (მარშრუტის მიხევით გამსვლელი სასაზღვრო სადგურები) და გადამხდელების სახელწოდება, (ექსპედიტორები) გამავალი ქვეყნების (ზორანის მიხედვით).

სს „საქართველოს რკინიგზა" უფლებამოსილია, უარი განაცხადოს არასრულყოფილად შევსებულ „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვის" მიღებაზე.

3. კლიენტის მიერ შევსებული და დამოწმებული „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" წარედგინება მომსახურების ცენტრს.

4. წარმოდგენილი (განაცხადი)-„მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" მოწმდება და სრულფასოვნების შემთხვევაში მიიღება დასტურდება მომსახურების ცენტრის სპეციალისტის (შემდგომში **ოპერატორის**) მიერ.

5. ოპერატორი ახდენს მატერიელური ფორმით მიღებული „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" შეტანას ერთიან ელექტრონულ სისტემაში. მატერიალური ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მომსახურების ცენტრში ინახება დადგენილი წესით.

6. ასევე შესაძლებელია, კლიენტმა ინტერნეტის მეშვეობით შეავსოს და დასადასტურებლად წარმოადგინოს (განაცხადი) - „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" (1 და 2 პუნქტში აღნიშნული პირობების დაცვით). ( www.cargo.railway.ge )

საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურების მონაწილეობის შემთხვევაში, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტი განიხილავს სისტემაში შეტანილ „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" და საკმარისი სავაგონო რესურსის არსებობის შემთხვევაში ადასტურებს სისტემაში. სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის დასტური ძალაშია სამუშაო დღის ბოლომდე.

კლიენტის მიერ 7 სამუშაო დღის განმავლობაში განაცხადის დაუდასტურებლობის შემთხვევაში აღნიშნული განაცხადი იხურება სისტემის მეშვეობით ავტომატურად.

ვაგონების მოთხოვნის განაცხადი რომელზეც არ არის კლიენტის დასტური, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს 18 საათზე უბრუნდება სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტს დასადასტურებლად.

მომსახურების ცენტრის ოპერატორი ამობეჭდავს მომსახურების წინასწარი ღირებულების დოკუმენტს (ინვოისს) საჭიროებისამებრ 2 ეგზემპლარად.

სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის დასტურის შემდეგ კლიენტი ახორცილებს მოთხოვნის დადასტურებას, ამ დროს სისტემა ავტომატურად ამოწმებს კლიენტის ანგარიშზე საკმარისი გამოყენებადი ნაშთის არსებობას და გამოყენებადი ნაშთის არსებობის შემთხვევაში განაცხადი გააქტიურდება. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გააჩნია საკმარისი თანხა მოთხოვნილი მომსახურების წინასწარი ღირებულების დასაფარავად, მას გადაეცემა ინვოისი და მოთხოვნის გააქტიურება მოხდება შესაბამისი თანხის სამუშაო დღის ბოლომდე გადახდის შემთხვევაში.

7. სატვირთო გადაზიდვების ფილიალის შესაბამის დეპარტამენტებთან განხილვის შემდგომ, მოთხოვნილი მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის არ არსებობის შემთხვევაში, (აღნიშნულ გადაზიდვაზე კომერციული აკრძალვის, საკმარისი რესურსის უქონლობის და სხვა შემთხვევაში) სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის შესაბამისი ოპერატორი უთითებს მოტივირებულ უარის მიზეზს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც ამობეჭდავს შესაბამის უარის წერილს საჭიროებისამებრ 2 ეგზემპლარად. ერთი გადაეცემა კლიენტს, მეორე რჩება მომსახურების ცენტრში.

8. მოთხოვნის გააქტიურების (კლიენტის დასტურის) შემთხვევაში, ხდება შესაბამისი თანხის დაბლოკვა კლიენტის გამოყენებადი ნაშთიდან. ხოლო კლიენტის უარის შემთხვევაში განაცხადი იხურება სისტემის მეშვეობით ავტომატურად.

9. მოთხოვნის გააქტიურების შემთხვევაში, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხდება **გადაზიდვის დავალების** ფორმირება. გადაზიდვაში მონაწილე სადგურები გადაზიდვის დავალებას ღებულობენ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხოლო სისტემაში ჩაურთველ სადგურებს გადაეცემათ **ფილიალ „ვორლდ ბიზნეს სოლუშენს"-ის ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორის** მეშვეობით. (ტელეფონის ნომრები 19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24) საქართველოს გამგზავნი სადგურების მონაწილეობით გაცემული გადაზიდვის დავალება ძალაშია გაცემიდან მომდევნო თვის ბოლომდე, ხოლო სხვა გადაზიდვის დავალება - ერთი წელი.

10. „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" მითითებული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებელია კლიენტი. გადაზიდვის დავალებაში მითითებული წინასწარი მონაცემების ფაქტობრივთან შესაბამისობის საბოლოო შემოწმებას ახდენს გამგზავნი (შემოსვლის) ან დანიშნულების (გასვლის) სადგურები და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ანგარიშსწორებას (უზრუნველყოფს დამატებით გადასახდელი თანხის ანაზღაურებას კლიენტისაგან).

11. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა არ განახორციელა საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურების მონაწილეობით ინვენტარული პარკის ვაგონებით (კონტეინერებით) დაგეგმილი, სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილის გადაზიდვის ათვისება, გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მას (გადაზიდვის დავალებაში მითითებული გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) ერიცხება აუთვისებლობის საფასური „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების" შესაბამისად. დაგეგმილი გადაზიდვის მოცულობა განისაზღვრება გადაზიდვის დავალებით: დატვირთული ინვენტარული ვაგონისათვის - ტონებში; საკონტეინერო გზავნილისათვის - ერთეულით.

12. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს აღარ სურს გაცემული გადაზიდვის დავალებით დაგეგმილი მომსახურებით სრულად სარგებლობა, მან უნდა მიმართოს შესაბამისი მოთხოვნით სს „საქართველოს რკინიგზა"-ს წერილობით ამ გადაზიდვის დავალების ფარგლებში გაწეული მომსახურების არ არსებობის შემთხვევაში ან დაგეგმილი გადაზიდვის ნაწილობრივ ათვისებისას, სს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესაბამისი დეპარტამენტების მიერ საკითხის განხილვის შემდეგ (სადგურებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე) ხდება აღნიშნული გადაზიდვის დავალების დახურვა და დარჩენილი დაბლოკილი თანხის განბლოკვა.

13. დაგეგმილი გადაზიდვის სრულად ათვისებისას დარჩენილი დაბლოკილი ნაშთის განბლოკვა ხორციელდება, სადგურებიდან მიღებული შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში შეტანისა და დამუშავების შემდეგ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში, ავტომატურად სისტემის მეშვეობით. ანალოგიური წესი ვრცელდება ნაწილობრივ ათვისებულ გადაზიდვაზეც, გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

14. კლიენტს უფლება აქვს, გადაზიდვის დავალების ფარგლებში მომსახურების ცენტრში და ინტერნეტის მეშვეობით მოითხოვოს დაგეგმილი დატვირთვის მონაცემების (თარიღი, ვაგონების/კონტეინერების რაოდენობა, ტვირთის წონა, ვაგონის ტიპის) კორექტირება, ახალი „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" ფორმის შევსების გზით (ძველი მოთხოვნის ნომრის მითითებით) ან ელექტრონულად ინტერნეტის მეშვეობით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაგეგმილი თარიღის მომდევნო რიცხვებში გადატანის (კორექტირების) მოთხოვნის შემთხვევაში:

- ვაგონის (კონტეინერის), საქართველოს რკინიგზის კუთვნილი რეფსექციის ყოველი შემდგომი კორექტირება, დასატვირთად მიწოდების დაგეგმილი თარიღის წინა დღის 18:00 საათამდე - ხდება

დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) დადგენილი საფასურის განაკვეთის გადახდის გარეშე.

საქართველოს კუთვნილი რეფსექციების პირველადი კორექტირება დაგეგმილ თარიღზე 48 საათით ადრე - ყოველგვარი დამატებითი საფასურების გადახდის გარეშე.

ბ) დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით კორექტირების შემთხვევაში:

ვაგონის (კონტეინერის) და საქართველოს რკინიგზის კუთვნილი რეფსექციის ყოველი შემდგომი დასატვირთად დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით (დაგეგმილი მიწოდების თარიღის წინა დღის 18:00 საათის შემდეგ ან გასული თარიღის შემთხვევაშიც) კორექტირებისას - დამატებითი საფასურის გადახდით, საქართველოს კუთვნილი რეფსექციების შემთხვევაში დაგეგმილ თარიღამდე 48 საათიან პერიოდში, დაგეგმილ მიწოდების დღეს და მომდევნო პერიოდში გადაწევისას, პირველადი კორექტირებისას (გადაწევა) - ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ყოველდღიურად რეფსექციის კორექტირების საფასურის გადახდით (სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები, მუხლი VIII, მე-14 პუნქტის მეორე აბზაცი).

გ) დაგეგმილ თარიღზე ადრე (თარიღის გადმოწევა) მოთხოვნის შემთხვევაში:

ვაგონის (კონტეინერის) და საქართველოს კუთვნილი რეფსექციების დატვირთვისას დაგეგმილ თარიღზე ადრე (თარიღის გადმოწევა) მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული რესურსის არსებობისას, შესაძლებელია ყოველგვარი დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, ხოლო იმავე დღისთვის გეგმის კორექტირებისას ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“- თ (მუხლი VIII, მე-15 პუნქტით) განსაზღვრული თანხის გადახდის შემდეგ.

დასატვირთად დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით (დაგეგმილი მიწოდების თარიღის წინა დღის 18:00 საათის შემდეგ) კორექტირების შემთხვევაში - დამატებითი საფასურის გადახდის პირობით.

15. მომსახურების ცენტრის ოპერატორს ან კლიენტს ინტერნეტის მეშვეობით აღნიშნული შეაქვს ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ახორციელებს მოთხოვნის კორექტირებას. გაკორექტირებული მოთხოვნის შესაბამისი ფორმა გადაეცემა კლიენტს ინტერნეტის მეშვეობით, გაკორექტირებულ მოთხოვნას კლიენტი ხედავს სგდ-ს დასტურის შემდეგ. სისტემაში ჩართული სადგურები ხელმძღვანელობენ კორექტირებული მოთხოვნით, ხოლო სისტემაში ჩაურთველ სადგურებს იგი გადაეცემათ ფილიალ ,,ვორლდ ბიზნეს სოლუშენს“-ის ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორის მეშვეობით (ტელეფონის ნომრები:19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24).

16. ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაში“ ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით (დაგეგმილი მიწოდების თარიღის წინა დღის 18:00 საათის შემდეგ) კორექტირებისას - მომსახურების ცენტრში ოპერატორს შეაქვს ახალი მონაცემები (ან კლიენტი ინტერნეტით აკორექტირებს) და სისტემის მეშვეობით სგდ-ს დასტურის დროს ხდება მოთხოვნის კორექტირება და კლიენტზე (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელზე) გამოყენებადი ნაშთიდან თანხის დაბლოკვა თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე რკინიგზის კუთვნილი ვაგონისათვის (კონტეინერისათვის) დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) დადგენილი საფასურის განაკვეთით (ვაგონის, კონტეინერის ტიპის), კორექტირებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის შესაბამისად.

17. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნით დადგენილ თარიღში ვერ ხერხდება ცარიელი ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიწოდება არა რკინიგზის მიზეზით, მაშინ სადგური მოთხოვნით დაგეგმილი დღისთვის კლიენტზე (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელზე) აფორმებს (ხსნის და ხურავს) საერთო ფორმის აქტს ვაგონთა საერთო რაოდენობაზე (ვაგონთა ნომრების მითითებით ან მიუთითებლად), რის შემდეგაც ვაგონი გადადის თავისუფალ განკარგვაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სადგური კლიენტზე (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელზე) ადგენს დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათს (შემდგომში - დარიცხვის ბარათი), სადაც უნდა აისახოს; გადაზიდვის დავალების, მოთხოვნისა და საერთო ფორმის აქტის ნომრები, მიწოდების დაგეგმილი თარიღი, ვაგონის (კონტეინერის) რაოდენობა. კლიენტს (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) აღნიშნულ მომსახურებაზე ერიცხება თანხა, თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე რკინიგზის კუთვნილი ვაგონისათვის (კონტეინერისათვის) დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) დადგენილი საფასურის განაკვეთით, დაგეგმილი ცარიელი ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიუწოდებელი რაოდენობის შესაბამისად.

საქართველოს კუთვნილი რეფსექციის შემთხვევაში თუ, ვერ ხერხდება სექციის მოთხოვნით დადგენილ თარიღში დასატვირთად მიწოდება არა რკინიგზის მიზეზით, მაშინ სადგური მოთხოვნით დაგეგმილ დღიდან კლიენტზე ხსნის საერთო ფორმის აქტს და კლიენტის არ გამოცხადების შემთხვევაში 48 საათიან პერიოდის გასვლის შემდეგ ხურავს მას. ამ პერიოდში არიცხავს თანხას ყოველდღიურად, თითოეულ დაწყებულ დღე-ღამეზე რკინიგზის კუთვნილი ვაგონებისათვის (კონტეინერისათვის) დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) დადგენილი საფასურის გადახდით". დაგეგმილი ცარიელი ვაგონის დასატვირთად მიუწოდებელი რაოდენობის შესაბამისად.

18. თუ დადგენილ თარიღში, დასატვირთად მიეწოდა ცარიელი ვაგონი, გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტები (საერთო ფორმის აქტი, სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო (შემდგომში - **სამახსოვრო**), ხოლო კლიენტი უარს აცხადებს მის დატვირთვაზე, სადგური ხურავს სამახსოვროს, გამოყავს ცარიელი ვაგონი, ადგენს დარიცხვის ბარათს, არიცხავს კლიენტს (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) დაგეგმილი სადგურის მომსახურების საფასურს კონკრეტული ვაგონის ტვირთამწეობიდან გამომდინარე და არსებობის შემთხვევაში, სადგურის დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) საფასურს.

თუ დადგენილ თარიღში კონტეინერის დასატვირთად მიეწოდა ცარიელი ვაგონი, გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტები ვაგონზე კონტეინერის რაოდენობისა და ფუტიანობის მითითებით (საერთო ფორმის აქტი, სადგურის მომსახურების და ტვირთის მიმღება ჩაბარების სამახსოვრო), ხოლო კლიენტი უარს აცხადებს კონტეინერის დატვირთვაზე, სადგური ხურავს სამახსოვროს, გამოყავს ცარიელი ვაგონი, ადგენს დარიცხვის ბარათს, არიცხავს კლიენტს (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელს) დაგეგმილი თითოეული კონტეინერის სადგურის მომსახურების საფასურს და არსებობის შემთხვევაში, კონტეინერზე სადგურის დამატებითი მომსახურების (24 საათზე მეტი მომსახურება) საფასურს.

მე-16, მე -17 და მე-18 მუხლებში აღნიშნულ მომსახურებას ერიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი (შედგომში - დღგ).

19. დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათის ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეტანისას ავტომატურად ხორციელდება დარიცხვა სისტემის მეშვეობით.

20. სადგური ვალდებულია, კლიენტის მომსახურებისას შეამოწმოს მისი ბალანსი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართული სადგურები ამოწმებენ სისტემიდან, ხოლო ჩაურთველი - ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორის მეშვეობით, შემდეგ ტელეფონის ნომრებზე 19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24 და უარყოფითი ნაშთის შემთხვევაში, უზრუნველყოს სხვაობის ანაზღაურებას. აღნიშნული წესი არ ეხება „სანდო კლიენტთა სია"-ში მყოფ კლიენტებს.

21. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნით დადგენილ თარიღში ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად მიწოდება ვერ მოხერხდა რკინიგზის მიზეზით, სადგური კლიენტისათვის მისაღებ უახლოეს თარიღში დასატვირთად აწვდის ვაგონს (კონტეინერს). ამასთან, სადგურის უფროსი აღნიშნულზე წერს ახსნა-განმარტებით ბარათს სატვირთო გადაზიდვების დირექტორის სახელზე, რომელშიც მიეთითება გადაზიდვის დავალების და მოთხოვნის ნომრები, მიწოდების დაგეგმილი თარიღი, ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობა, მოთხოვნით დადგენილ თარიღში ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად არ მიწოდების მიზეზი და წარუდგენს სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტს.

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილ თარიღში ვაგონის/კონტეინერის მიწოდება ვერ მოხერხდა რკინიგზის მიზეზით და კლიენტი სადგურის სახელზე განაცხადებს წერილობითი ფორმით უარს ვაგონის/კონტეინერის შემდგომ დღეებში დასატვირთად მიღების შესახებ, ამ შემთხვევაში კლიენტზე აუთვისებლობის საფასურის დარიცხვა არ ხორცილედება. კლიენტის წერილობითი მოთხოვნა სადგურის უფროსის შესაბამის ახსნა-განმარტებით ბარათთან და შესაბამის საერთო ფორმის აქტთან ერთად ეგზავნება სატვირთო გადაზიდვების დირექტორს, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტს და შემოსავლების აღრიცხვის სამსახურს შემდგომი რეაგირების მიზნით.

**22. კლიენტის მიერ „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე"- (განაცხადის) ელექტრონული ფორმის შევსებისა და საიტზე http://cargo.railway.ge „ერთიან ელექტრონულ სისტემაში" (ბილინგი) გადაზიდვის დავალების ფორმირების წესი.**

**22.1 მომხმარებლის (კლიენტის) რეგისტრაცია სს „საქართველოს რკინიგზის" ერთიან ელექტრონულ სისტემაში (ბილინგი).**

კლიენტი საიტზე **http://cargo.railway.ge** ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში" შესასვლელად რეგისტრირდება მომსახურების ცენტრში ან ინტერნეტის მეშვეობით და ღებულობს შესაბამის იუზერს (სახელი და პაროლი).

22.2 განაცხადების ინტერნეტის მეშვეობით წარმოდგენის მიზნით **http://cargo.railway.ge** -ზე მომსახურების ცენტრის მეშვეობით კლიენტის ადმინისტრირების ეკრანული ფორმა მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- კლიენტის დასახელება და ანგარიშმსწორებლის კოდი
- სახელი და გვარი
- ოფისის ტელეფონი
- მობილური
- მომხმარებელი
- პაროლი
- პაროლის გამეორება
- ელ-ფოსტა
- პირადი ნომერი
- მომხმარებლის როლი

**მომხმარებლის მენეჯერის ეკრანული ფორმა შეიცავს შემდეგ მონაცემებს:**

- სახელი გვარი
- მომხმარებელი
- მომხმარებლის როლის ჩამონათვალი (გად.დავალების ფორმირება, სამახსოვრო, საერთო ფორმის აქტი, დარიცხვის ბარათი, ტვირთის დამაგრებაზე პასუხისმგებელი პირი)
- პირადი ნომერი
- ელ-ფოსტის მისამართი
- ელ ფოსტის მისამართის კორექტირება
- პირადი ნომრის ჩაწერის შესაძლებლობა

22.3 **კლიენტის მიერ საიტზე http://cargo.railway.ge ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში" ინტერნეტის მეშვეობით გადაზიდვის დავალების ფორმირება.**

კლიენტი http://cargo.railway.ge საიტზე თავის იუზერზე (სახელი და პაროლი) შესვლისას ადასტურებს, რომ გაცნობილია საქართველოს სარკინიგზო კოდექსს; რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის წესებს; საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შეთანხმებას (СМГС); სს ,,საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის 2016 წლის 29 ნოემბრის №30/50 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურებს"- ცვლილებების გათვალისწინებით და სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების, აღრიცხვის, ექსპედირების ,,სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში" შეტანის წესის მოთხოვნებს და კისრულობს ვალდებულებას ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების შეტანისას, კორექტირებისას, იხელმძღვანელოს აღნიშნული ნორმატიული აქტებით. რის შემდგომ კლიენტი თანხმობის ღილაკზე დაჭერით დაიშვება ბილინგში.

კლიენტი ინტერნეტის მეშვეობით http://cargo.railway.ge -ზე აწარმოებს შემდეგ ძირითად ოპერაციებს:

- აკონტროლებს თავის ბალანსს რკინიგზის ანგარიშზე.
- გადაზიდვის დავალების გაფორმებისათვის ავსებს საჭირო ელექტრონულ ფორმას (გადაზიდვაზე, სადგურის მომსახურებაზე და სხვა).
- ტვირთის გადაზიდვის ღირებულებისა და სადგურების მომსახურების (ზორნის) საფასურების გათვლას, ინვოისების ფორმირებას.
- საქართველოს გამგზავნი სადგურების მონაწილეობით დატვირთვისას კლიენტი სისტემაში ავსებს „მოთხოვნა ვაგონების მიწოდებაზე" ელექტრონულ ფორმას.
- ახდენს გადაზიდვისა და სადგურის მომსახურების (ზორნის) ინვოისების აქტივიზაციას.
- ბილინგში ღებულობს „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" რკინიგზის თანხმობას ან უარს.

- ➢ კლიენტი ადასტურებს და თვითონ ბლოკავს თანხას კონკრეტული გადაზიდვის დავალებით განსაზღვრულ მომსახურებაზე, რკინიგზის ანგარიშზე კლიენტის გამოყენებადი ნაშთიდან ან მიუთითებს უარის მიზეზს.
- ➢ ღებულობს გაფორმებულ გადაზიდვის დავალებას ან მოთხოვნილი გადაზიდვის დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში ღებულობს უარს.
- ➢ სისტემაში ნახულობს მისი მოთხოვნით გაკეთებულ ინვოისებს და გადაზიდვის დავალებებს.

ბილინგში სგდ-ს და კლიენტის ელექტრონული თანხმობის ან უარის შეტყობინებას ამზადებს შესაბამისად:

- კომერციული თანხმობა/უარი - სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის მომსახურების ცენტრის ოპერატორი;
- სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის გადაზიდვების დაგეგმვის და სავაგონო პარკის რეგულირების ცენტრის თანხმობა/უარი - ცენტრის ოპერატორი;
- კლიენტის თანხმობა/უარი - კლიენტი ან მისი სახელით მომსახურების ცენტრის ოპერატორი.

**22.4. რიგ გადაზიდვებზე ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" შევსებული ფორმის წარმოდგენამდე (კლიენტის მიერ ბილინგში მონაცემების შეტანამდე) ტვირთის გადაზიდვა შესათანხმებელია სს „საქართველოს რკინიგზასთან"-, სხვა რკინიგზებთან ან შესაბამის უწყებებთან:**

განსაკუთრებული პირობებით გადაზიდვა (მალფუჭებადი, ტექნიკა გამცილებლის გარეშე, სპეციალიზირებული ცისტერნები იჯარის გარეშე, შესაბამისი ვაგონების ტიპით - 918, 908, 800, დახურული, ცისტერნა, მიტანის ვადების გადაცილების და სხვა შემთხვევებში);

არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა, ტვირთის დატვირთვის, განლაგების და დამაგრების ნახაზი- არაგაბარიტულობის ხარისხის (ინდექსის) დადგენა;

საერთაშორისო გადაზიდვებისას АС-МЕСПЛАН - შეთანხმება და შესაბამისი მონაცემების შეტანა АС-МЕСПЛАН-ის ელექტრონულ სისტემაში;

საქართველოს რკინიგზის ან სხა რკინიგზის რეფსექციით გადაზიდვა. უცხო ქვეყნების ვეტერინარიული სამსახურის და რკინიგზების თანხმობები;

ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობებით გათვალისწინებელი და გაუთვალისწინებელი ტვირთის გადაზიდვა;

საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვა (GNG)გნგ-სა და (OON)ოონ-ის კოდების შესაბამისად და პირველ და მეშვიდე კლასის საფრთხეშემცველ ტვირთზე, აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო უწყების თანხმობა;

მესამე ქვეყანაში გადაზიდვაზე მის მოსაზღვრე რკინიგზის ადმინისტრაციასთან შეთანხმება.

საკუთარ ღერძებზე მოძრავი შემადგენლობების გადაზიდვა (თბომავლები, ელმავლები, რკინიგზის სვლის მქონე ამწე და სხვა მექანიზმები);

კონვენციური აკრძალვის მოქმედების პერიოდში გამონაკლისი გადაზიდვა;

საკონტეინერო ოპერაციებისათვის გაუხსნელ სადგურებში გადაზიდვა, სადგურის ან მისასვლელი ლიანდაგის გახსნა;

არენდირებული ვაგონებით ტვირთის გადაზიდვა (АСУ-АРВАГ);

სახელშეკრულებო პირობებით (ცალკე ლოკომოტივით, სიჩქარის შეზღუდვით და სხვა) გადაზიდვა;

რკინიგზის ორგანიზაციებზე მიწერილი ვაგონების სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყენებისას. (გადაზიდვის დავალების გადამხდელმა (კლიენტმა) უნდა წარმოადგინოს მიწერილი ვაგონების ორგანიზაციის თანხმობა);

ცოცხალი მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის გადაზიდვა. (ვაგონების დასუფთავება, დეზინფექცია.);

კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევები სარკინიგზო სექტორში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვის ნორმატიული დოკუმენტების და წესების შესაბამისად.

შეთანხმებული მონაცემების პირობები აუცილებელია აისახოს (მიეთითოს) ინვოისის (განაცხადის) შენიშვნის გრაფაში. http://cargo.railway.ge- ზე ინტერნეტის მეშვეობით განაცხადის ელექტრონულად ფორმირებისას - კლიენტის მიერ, ხოლო მომსახურების ცენტრის მეშვეობით ფორმირებისას - მომსახურების ცენტრის ოპერატორის მიერ.

**22.5 „ მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე “კლიენტის მიერ ინტერნეტის მეშვეობით http://cargo.railway.ge -ზე „ერთიან ელექტრონულ სისტემაში” მონაცემების შეტანის დროს ან მომსახურების ცენტრში წარმოდგენისას გასათვალისწინებელი პირობა**

ტვირთის გადაზიდვის სხვადასხვა სატარიფო და გადაზიდვის პირობის გათვალისწინებით, კლიენტი (გადამხდელი) ვალდებულია, „ერთიან ელექტრონულ სისტემაში” http://cargo.railway.ge -ზე მონაცემების შეტანისას ან მომსახურების ცენტრში „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე” წარმოადგენისას განაცხადი შეავსოს ცალ-ცალკე თითოეულ გზავნილზე:

სხვადასხვა დასახელების ტვირთი;

სხვადასხვა გადამხდელით, ტვირთგამგზავნით და ტვირთმიმღებით;

სხვადასხვა სადგურების, ჩიხების დანიშნულებით;

სხვადასხვა ტიპისა და ღერძის ვაგონით (კონტეინერით);

გამცილებლით და გამცილებლის გარეშე;

სხვადასხვა საფრთხეშემცველელი ტვირთი და სხვა ტვირთები;

სხვადასხვა ხარისხის (ინდექსის) არაგაბარიტული და გაბარიტული;

წონით შეზღუდული და შეუზღუდავი უბნებისათვის;

სხვადასხვა წონითი კატეგორიით;

სხვადასხვა გადაზიდვის პირობით;

რკინიგზის და საკუთარ ვაგონზე (კონტეინერზე);

ჩვეულებრივი და ბლოკ მატარებლით;

ცარიელ ვაგონზე წონით და ღერძით (კონტეინერზე);

ვაგონზე გამცილებლისათვის, ვაგონის წონით და ვაგონის ღერძების რაოდენობით;

საკუთარ ღერძებზე წონით და ღერძის რაოდენობის მიხედვით;

სხვადასხვა გასვლის სასაზღვრო სადგურით;

სხვადასხვა საბაჟო რეჟიმით;

ცალკე შეჩერებაზე და ცალკე გადამისამართებაზე;

აღნიშნულის საფუძველზე ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოებს მონაცემების შეტანა, ინვოისისა და გადაზიდვის დავალების ფორმირება.

მათ შორის:

რკინიგზის ვაგონებზე (კონტეინერებზე) ცალკე, საკუთარ და იჯარაში მყოფ ვაგონებზე (კონტეინერებზე) ცალკე;

სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოხვედრილ წონებზე ცალ-ცალკე;

სხვადასხვა სახის კონტეინერებზე ცალ-ცალკე, დატვირთულზე-ცარიელზე ცალ-ცალკე;

ცარიელ ვაგონზე (კონტეინერზე) და საკუთარ ღერძებზე მოძრავ შემადგენლობებზე, როდესაც ითვლება ღერძების მიხედვით ან წონის მიხედვით და გადაზიდვის სახეობიდან გამომდინარე;

ცარიელ ვაგონებზე ცალკე, კონტეინერებზე ცალკე;

საფარ ვაგონებზე ცალკე;

თუ ტვირთს მიჰყვება გამცილებელი ცალკე ვაგონში;

არაგაბარიტულ ტვირთებზე (მცირეზე ნაკლები ცალკე ან ცალკე მცირეზე მეტი);

გზადმდებარე სადგურებში ვაგონების შეჩერებაზე ცალკე;

დანიშნულების სადგურიდან გადამისამართებაზე (გადაგზავნაზე) ცალკე;

ერთ წონით კატეგორიაში მყოფ ტვირთზე ცალკე და სხვა წონით კატეგორიაში მყოფ ტვირთზე ცალკე;

ერთ წონით კატეგორიაში მყოფ, მაგრამ სხვადასხვა ტვირთგამგზავნზე ან ტვირთმიმღებზე ცალ-ცალკე და ა.შ.

**22.6 კლიენტის მიერ http://cargo.railway.ge -ზე „ერთიან ელექტრონულ სისტემაში” მონაცემების შეტანისას ან მომსახურების ცენტრში წარმოდგენისას „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე” – (განაცხადის) შევსების წესი და გასათვალისწინებელი ძირითადი პირობები:**

- **გადამხდელი (განაცხადში - „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე” ფორმაში -„გადამხდელი”, პროგრამაში „კლიენტი”)** – შეიტანება დასახელება და კოდი (რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი) ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან ექსპედიტორის. ექსპედიტორის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს გადამხდელი თუ აღნიშნული ექსპედიტორი თავად არის ტვირთგამგზავნი ან

ტვირთმიმღები, ან კონკრეტულ გადაზიდვაზე ემსახურება ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს. თუ გადამხდელი არ არის ექსპედიტორი (არ აქვს გაფორმებული საექსპედიტორო ხელშეკრულება) მაშინ ის თავად უნდა იყოს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები, ხოლო ექსპედიტორის შემთხვევაში გადამხდელი შეიძლება ემსახურებოდეს სხვა ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს.

- **ტვირთგამგზავნი** – ტვირთის გამგზავნის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი, რომელიც აწარმოებს ტვირთის გაგზავნას გადაზიდვის ხელშეკრულებით-ზედნადებით. (ტრანზიტის, ექსპორტის ან იმპორტის დროს თუ ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები არის სხვა ქვეყანაში და არ არის საქართველოს რკინიგზაზე რეგისტრირებული კლიენტი, ელექტრონული განაცხადის შევსებისას ტვირთგამგზავნის დასახელების გრაფაში იწერება ,,1" და შენიშვნის გრაფაში მიეთითება ტვირთგამგზავნის დასახელება. საქართველოს რკინიგზიდან გაგზავნის შემთხვევაში ტვირთგამგზავნი უნდა იყოს დარეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს მინიჭებული რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი).
- **ტვირთმიმღები** – ტვირთის მიმღების დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი, რომელიც ღებულობს ტვირთს გადაზიდვის ხელშეკრულებით-ზედნადებით. (ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის დროს თუ სხვა ქვეყანაში არის ტვირთმიმღები და თუ იგი არ არის საქართველოს რკინიგზაზე დარეგისტრირებული, ელექტრონული განაცხადის შევსებისას ტვირთმიმღების დასახელების გრაფაში იწერება ,,1" და შენიშვნის გრაფაში მიეთითება ტვირთმიმღების სრული დასახელება. საქართველოს რკინიგზაზე ტვირთის მიღების შემთხვევაში ტვირთმიმღები უნდა იყოს დარეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს მინიჭებული რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი).
- **გამგზავნი სადგური** – გადაზიდვის საბუთების გამფორმებელი სადგური (საიდანაც ხდება ტვირთის გაგზავნა, მათ შორის პორტი, ბორანი) და სადგურის (პორტის, ბორნის) კოდი. მესამე ქვეყნების მონაწილეობის შემთხვევაში ქვეყნის დასახელება.
- **დანიშნულების სადგური** – გადაზიდვის საბუთებით ტვირთის მიმღები სადგური (სადაც ხდება ტვირთის მიღება, მათ შორის პორტი, ბორანი) და სადგურის (პორტის, ბორნის) კოდი. მესამე ქვეყნების მონაწილეობის შემთხვევაში ქვეყნის დასახელება.
- **მისასვლელი (ან საერთო სარგებლობის) ლიანდაგის დასახელება**: აღინიშნება შესაბამისად საერთო სარგებლობის ან მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი. ამავე დროს ტვირთგამზავნი ან ტვირთმიმღები უნდა იყოს მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე-მფლობელი (გაფორმებული უნდა ქონდეს რკინიგზასთან შესაბამისი ხელშეკრულება) ან უნდა იყოს მისი (მოსარგებლის) კონტრაჰენტი.
- **შემოსვლის სასაზღვრო სადგური** – ტვირთის (ვაგონის ან კონტეინერის) საქართველოს რკინიგზაზე შემოსვლის სასაზღვრო სადგური და სადგურის შესაბამისი კოდი, როდესაც ტვირთი შემოდის სხვა ქვეყნიდან (პორტიდან, ბორნიდან, სადახლო-შეპირაპირება, გარდაბანი-შეპირაპირება, ახალქალაქი-შეპირაპირება).
- **გასვლის სასაზღვრო სადგური** – ტვირთის (ვაგონის ან კონტეინრის) საქართველოს რკინიგზიდან გასვლის სასაზღვრო სადგური და სადგურის შესაბამისი კოდი, როდესაც ტვირთი გადის სხვა ქვეყანაში (პორტიდან, ბორნიდან, სადახლო-შეპირაპირება, გარდაბანი-შეპირაპირება, ახალქალაქი-შეპირაპირება).
- **გზავნილის სახეობა** – გულისხმობს ტვირთის გადაზიდვას სავაგონო, საკონტეინერო, ბლოკ-მატარებლით გზავნილის გაფორმებით.
- **ტვირთის დასახელება** – მიეთითება ტვირთის დასახელება გნგ-ს კოდის (საერთაშორისო ჰარმონიზირებული ნომეკლატურის) მიხედვით. ცარიელი ვაგონის ან კონტეინერის გადაზიდვისას იწერება ,,ცარიელი". თუ ცარიელი ვაგონი მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221000, 99222000, 99224000 განაცხადში მიეთითება მისი კოდი.
- **,,ГНГ" კოდი** – ტვირთის ,,გნგ"-ს კოდი 8 ციფრით. (ტვირთს გააჩნია საკუთარი დასახელების შესაბამისი გნგ-ს კოდი, საერთაშორისო ჰარმონიზირებული ნომეკლატურის მიხედვით.). თუ ცარიელი ვაგონი მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221000, 99222000, 99224000 განაცხადში მიეთითება მისი შესაბამისი გნგ კოდი.
- **,,ООН"-ის ნომერი (საფრთხეშემცველი)** – ტვირთზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მინიჭებული 4 ციფრიანი კოდი. საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის მოთხოვნისას.

➢ **ტვირთის წონა** – გადასაზიდი ტვირთის სრული მასა ბრუტო – ქვეშები და სხვა საჭირო სამარჯვების, ტარის შეფუთვის გათვალისწინებით. დამრგვალებული სრულ ტონამდე (ვაგონების დატვირთვა წონითი კატეგორიების გათვალისწინებით) ვაგონის ტვირთამწეობის ფარგლებში. ცარიელი ვაგონის გადაზიდვის შემთხვევაში, როდესაც მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221000, 99222000, 99224000 განაცხადში მიეთითება მათი წონა სხვა შემთხვევაში ცარიელ ვაგონზე მიეთითება ღერძების რაოდენობა.

➢ **საფრთხეშემცველობა** – საფრთხეშემცველი ტვირთების ჩამონათვალი სატვირთო გადაზიდვების და დამატებითი საფასურების მიხედვით (ცხრილი 4-ის ტვირთის სახეობის კოეფიციენტი საფრთხეშემცველი ტვირთების ჩამონათვალი)

➢ **მცირეზე მეტად არაგაბარიტული** – აღინიშნება არაგაბარიტული ტვირთი, გარდა მცირე ხარისხის (1-2 ქვედა, 1-3 გვერდით, 1-2 ზედა) არაგაბარიტული ტვირთებისა.

➢ **ტვირთის საბაჟო რეჟიმი** – მიეთითება ტვირთის გადაზიდვის საბაჟო რეჟიმი (ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, სხვა საერთაშორისო, ადგილობრივი) საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული ტვირთებისათვის (სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ან გასატანი ტვირთებისათვის) ხოლო ადგილობრივი გადაზიდვის შემთხვევაში-ადგილობრივი გადაზიდვის რეჟიმი (ქვეყნის შიგნით მიმდინარე გადაზიდვის შემთხვევაში თუ ტვირთი არ არის საბაჟო კონტროლზე).

➢ **დღგ-ს სტატუსი** – აღინიშნება, არის თუ არა ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელი (რკინიგზასთან მიმართებაში გადაზიდვა: იბეგრება დღგ-თი, დღგ-ს ნულოვანი გადამხდელი თუ განთავისუფლებული).

➢ **ვაგონის დატვირთვა** – ერთ ვაგონში ჩატვირთული ან ჩასატვირთი ტვირთის მასა-ბრუტო. (ტვირთის წონის საშუალო არითმეტიკული ვაგონების რაოდენობის გათვალისწინებით).

➢ **ვაგონის ტიპი** – ვაგონის სახეობა. რეფ. სექციის შემთხვევაში უთითებს - ,,რეფ.სექცია (6+1)”- ან შესაბამის კატეგორიას. ცარიელი ვაგონის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს თუ რისი ნაცალია ვაგონი.

➢ **ღერძების რაოდენობა** – მიეთითება ერთეული ვაგონის ღერძების რაოდენობა ანუ რამდენ ღერძიანია ვაგონი. ცარიელი ვაგონის გადაზიდვის შემთხვევაში, როდესაც მიდის საკუთარ ღერძებზე გარდა ცარიელი ვაგონისა გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221000, 99222000, 99224000.

➢ **გამცილებლების რაოდენობა** – აღინიშნება თუ რამდენი გამცილებელი აცილებს (გადაზიდვის წესებით განსაზღვრულ შემთხვევაში და კლიენტის მოთხოვნის მიხედვით) ტვირთს (ვაგონს) ადგილობრივი გადაზიდვისას არანაკლებ 2-სა, საერთაშორისო გადაზიდვისას არაუმეტეს 2-სა.

➢ **ვაგონის საკუთრება** – აღინიშნება ვაგონის მფლობელი – რკინიგზა, მესაკუთრე ან მოიჯარე. საკუთარი ან არენდირებული ვაგონებით გადაზიდვის შემთხვევაში მოსარგებლეს უნდა ჰქონდეს მოიჯარის თანხმობა. არენდირებული ვაგონების კურსირება უნდა იყოს შეთანხმებული და აისახებოდეს АСУ-АРВАГ-ში.

➢ **კონტეინერის ტიპი** – აღინიშნება კონტეინერის სახეობა (მისი კატეგორია).

➢ **კონტეინერის რაოდენობა** – აღინიშნება ერთეული კონტეინერის რაოდენობა.

➢ **კონტეინერის საკუთრება** – აღინიშნება კონტეინერის მფლობელი – რკინიგზა, იჯარა, საკუთარი.

➢ **გადამისამართება** – ტვირთის გადამისამართების მოთხოვნა. როგორც დანიშნულების სადგურიდან ასევე გზადმდებარე სადგურში შეჩერებისას და გადაგზავნისას (გადამისამართებისას), შეჩერების ან გადამისამართების, გადაგზავნის უფლება აქვს ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან მისი თანხმობით-ექსპედიტორს.

➢ **საკუთარი თბომავლით სარგებლობა გამგზავნ სადგურში:**

➢ **საკუთარი თბომავლით სარგებლობა მიმღებ სადგურში:**

ეს ველები გამოიყენება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, კლიენტის ლოკომოტივით მომსახურებისას შესაბამისი მომსახურების საფასურის დარიცხვის პირობით.

➢ **სახელშეკრულებო გამგზავნ სადგურში გადამხდელი:**

➢ **სახელშეკრულებო დანიშნულების სადგურში გადამხდელი:**

ეს ველები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გამგზავნი ან დანიშნულების სადგურიდან (სადგურში) წარმოებს დახურული (გაუქმებული) სადგურიდან (სადგურში) ტვირთის ან ცარიელ და საკუთარ ღერძებზე (როდესაც ითვლება წონით) მოძრავი შემადგენლობის მიწოდების ან გამოტანის

მოთხოვნა, გამგზავნი ან დანიშნულების სადგურის მომსახურების საფასურზე დამატებით, არაკომერციული სადგურის მომსახურების საფასურის დარიცხვის პირობით.

- ცალკე ელმავლით:

ეს ველი გამოიყენება ცალკე ელმავლით ან/და შეზღუდული სიჩქარით გადაზიდვის მოთხოვნისას თუ ტვირთს, ვაგონს, ცარიელი, საკუთარ ღერძზე მოძრავ ტექნიკას, სჭირდება ცალკე ელმავლით ან/და შეზღუდული სიჩქარით გადაზიდვა. ამ დროს გადაზიდვის მომსახურების დარიცხვისას გამოიყენება ცალკე ელმავლით შეზღუდული სიჩქარით გადაზიდვის ტარიფი.

- სახელშეკრულებო თანხა:

ეს ველი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ გადაზიდვას ესაჭიროება დამატებითი მომსახურების დარიცხვა, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით ან **სხვა დამატებითი მოთხოვნის (პირობის) საფუძველზე**. აღნიშნული თანხა ემატება გადაზიდვის მომსახურების თანხას და ჯამში აისახება გადაზიდვის მომსახურების თანხაში.

- **ძირითადი გადაზიდვის საბუთი** – გადამისამართების ან შეჩერების და გადამისამართების (გადაგზავნის) დროს პირველადი ზედნადების ან საგზაო უწყისის ნომერი.

- **შენიშვნა:** შენიშვნაში აღინიშნება კლიენტის მოთხოვნები და აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც არ აისახება განაცხადის ფორმაში, მათ შორის:
  - ერთ ვაგონში თავსებადი სხვადასხვა დასახელების ტვირთების გადაზიდვის დროს, განაცხადში იწერება ერთი ტვირთის დასახელება თავისი გნგ-ს კოდით, ხოლო დანარჩენი ტვირთების ჩამონათვალი თავისი გნგ-ს კოდით მიეთითება განაცხადის შენიშვნის გრაფაში.
  - არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვის შემთხვევაში აუცილებელია შენიშვნაში მიეთითოს არაგაბარიტულობის ხარისხი (ინდექსი).
  - თუ ერთი მიმართულებით ერთი გამგზავნისა და მიმღების შემთხვევაში უნდა გადაიზიდოს ერთნაირი ტიპის კონტეინერები ერთნაირი სატარიფო პირობით, მაშინ ტვირთის დასახელებაში იწერება უმეტესი რაოდენობის დასახელების ტვირთი ხოლო დანარჩები ტვირთების დასახელება მიეთითება შენიშვნაში.
  - თუ ერთი ვაგონით გადაიზიდება სხვადასხვა დასახელების ტვირთი სხვადასხვა სატარიფო პირობით მაშინ ტვირთის დასახელებაში და გნგ-ს კოდში მიეთითება უფრო მაღალი ტარიფის მქონე ტვირთის დასახელება და ტვირთის წონაში მიეთითება ყველა ტვირთის წონის ჯამი, ხოლო დანარჩენი ტვირთების დასახელება მიეთითება შენიშვნაში.
  - რეფ-სექციების და რეფ-კონტეინერების ბმულის გადაზიდვისას თუ ტვირთი მიდის ერთი დანიშნულების სადგურში შენიშვნაში შეიძლება მიეთითოს სხვადასხვა მიმღებების დასახელება ტვირთის წონა და ვაგონის რაოდენობა.
  - ღია მოძრავი შემადგენლობით ტვირთის (გარდა ნაყარი ტვირთისა) გადაზიდვისას, შენიშვნაში უნდა მიეთითოს ტვირთის ზომები. ისეთი ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, რომლის განლაგება და დამაგრება გათვალისწინებულია ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობებით, საჭიროა შესაბამისი თავისა და პუნქტის მითითება. ტვირთის განლაგებისა და დამაგრების ტექნიკური პირობებით გაუთვალისწინებელი ტვირთის გადაზიდვისას აუცილებელია ტვირთის შესაბამისი განლაგებისა და დამაგრების შეთანხმებული ნახაზის არსებობა.
  - გადამისამართების შემთხვევაში ვაგონის № ზედნადების № და გადამისამართების პირობა.
  - იმპორტის ამ ტრანზიტის შემთხვევაში ვაგონის № , ზედნადების №.
  - მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში შესაბამისი შეთანხმების არსებობისას მიეთითება მისი №, თარიღი, და გადაზიდვის პირობა.
  - განსაკუთრებული პირობებით გადაზიდვის არსებობისას მიეთითება შესაბამისი შეთანხმებების ელ წერილების № თარიღი და გადაზიდვის პირობა.
  - საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისას მიეთითება ოონ-ის ნომერი.
  - ნაკრები ტვირთის შემთხვევაში მიეთითება თითოეული ტვირთის დასახელება.
  - და სხვა პირობა კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებით.

➢ **განაცხადს თან უნდა დაერთოს** აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა საბუთი და თანხმობის წერილები, რომელთა რაოდენობა აღინიშნება განაცხადში. (ვაგონის №, ზედნადების № და სხვა.)

➢ **მომსახურების მიმღების დასახელება (გადაზიდვის, გამგზავნი ან დანიშნულების სადგურში, სადგურის (პირველი 24 საათის) მომსახურების მიმღები, გამგზავნი და დანიშნულების სადგურში 24 საათზე მეტი მომსახურების მიმღები და ყველა მომსახურების მიმღები.)** – ფიქსირდება გადამხდელის დასახელება, რომელიც იხდის ზემოთ აღნიშნულ გრაფებში მითითებულ მომსახურებას.

- კლიენტმა (გადამხდელმა) აუცილებელია შეავსოს ყველა სავალდებულო გრაფა, მათ შორის გადაზიდვის მომსახურების გრაფაში მიეთითება გადაზიდვის მომსახურების გადამხდელის დასახელება, თუ გამგზავნი ან/და დანიშნულების ან/და პირიქით სადგური საქართველოს რკინიგზის სადგურია აუცილებელია შესაბამისად გამგზავნი და დანიშნულების სადგურის მომსახურების გადამხდელის მითითება და 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელის მითითება (თუ სადგურის მომსახურების გადამხდელი არ არის ტვირთგამგზავნი ან/და ტვირთმიმღები მაშინ კეთდება ცალკე მომსახურების ინვოისი-სადგურის მომსახურების და 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელზე).
- თუ ყველა მომსახურების გადამხდელი არის ერთი და იგივე, ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" ფორმაში ივსება მხოლოდ ყველა მომსახურების მიმღების გრაფა.
- ორგანიზაციის დასახელების, სახელი და გვარის, ხელმოწერისა და ბეჭდის ადგილის გრაფებს ავსებს შესაბამისი მომსახურეობის მიმღები, ადასტურებს ხელმოწერით და ბეჭდის არსებობის შემთხვევაში ადასტურებს ბეჭდით. თუ რომელიმე მომსახურეობის მიმღები გადამხდელის, ტვირთგამგზავნის და ტვირთმიმღების გარდა არის სხვა ორგანიზაცია, იგი ამავე განაცხადში ავსებს, შესაბამის გრაფებს, დასახელების, სახელისა და გვარის მითითებით, აწერს ხელს და ადასტურებს ბეჭდით.

გადამხდელში არარეზიდენტი კლიენტის მითითების შემთხვევაში, კლიენტის მიერ განაცხადში და სისტემური კონტროლის მეშვეობით პროგრამაში არ უნდა დაფიქსირდეს არარეზიდენტი რაიმე მომსახურების გადამხდელად.

საკონტაქტო ინფორმაცია - კლიენტი ვალდებულია დააფიქსიროს განაცხადში.

## მუხლი 3. სატვირთო გადაზიდვების და გაწეული მომსახურების დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი

### 3.1 დარიცხვის პირველადი დოკუმენტები

სს „საქართველოს რკინიგზით" სატვირთო გადაზიდვების და მომსახურების საფასურების დარიცხვის პირველად დოკუმენტურ საფუძველს წარმოადგენს:

ა) გადაზიდვის ღირებულების:

საერთაშორისო გადაზიდვისას - საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შეთანხმებით (СМГС) დადგენილი გადაზიდვის საბუთი (დანართი №3);

ციმ/სმგს ზედნადები (დანართი 3.1);

ადგილობრივი გადაზიდვისას - ტვირთის გადაზიდვის საბუთი, ფორმა გუ-29 (დანართი №4);

ადგილობრივი გადაზიდვების ელექტრონულ ფორმატში წარმოებისას - ტვირთის გადაზიდვის ზედნადები. (დანართი№11);

ბ) სადგურის მომსახურების საფასურის:

სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო, ფორმა გუ-45 (დანართი №5);

გ) საქართველოს რკინიგზაზე გამგზავნ სადგურში, ჯამში მსვლელობის გზაზე და დანიშნულების სადგურში კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი მომსახურებისას რკინიგზის დამატებითი მომსახურების საფასურის:

საერთო ფორმის აქტი (ფორმა გუ-23) (დანართი №6);

სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო (ფორმა გუ-45);

დ) კლიენტის მოთხოვნით დამატებით რკინიგზის კუთვნილი სამანევრო ლოკომოტივით მომსახურების საფასურის, ტვირთის დახურულ საწყობში ან ღია მოედნზე შენახვის საფასურის, რკინიგზის საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების საფასურის, საკეტ-საპლომბი მოწყობილობების რეალიზაციის საფასურის, სახელშეკრულებო მომსახურების საფასურის, ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით კორექტირების საფასურის, მიწოდებული ვაგონის არშემდაგრი დატვირთვისას სადგურის მომსახურების საფასურის და არსებობის შემთხვევაში 24 სთ-ზე მეტი მომსახურების საფასურის და სხვა საფასური (გამონაკლის შემთხვევაში გადაზიდვისა და სადგურის მომსახურეობის საფასური), რომელზეც არ არის გათვალისწინებული პირველადი დარიცხვის დოკუმენტი - დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი (დანართი №7);

ე) ვაგონის (კონტეინერის) მოთხოვნის შემთხვევაში, არშემდგარი დატვირთვისას, **აუთვისებლობის საფასურის:**

მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე;

გადაზიდვის დავალება;

დარიცხვის პირველადი დოკუმენტების შევსება ნებადართულია კომპიუტერული საშუალებების გამოყენებით, ან ხელით - მელნიანი კალმით, ხოლო ცალკეული მონაცემები აღინიშნება შტემპელით. საბუთებში შეტანილი მონაცემების ცვლილებებსა და დამატებებს საბუთის შემდგენელი რკინიგზის სადგურის უფროსი ან უფროსის მოადგილე ამოწმებს ხელმოწერითა და სადგურის შტემპელით.

დარიცხვის პირველადი დოკუმენტები ასევე იწარმოება ელექტრონულ ფორმატში:

ა) ადგილობრივი გადაზიდვისას - გადაზიდვის საბუთი (ზედნადები), საერთო ფორმის აქტი, სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო, დარიცხვის ბარათი იწარმოება მხოლოდ ელექტრონულად, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა:

1) სისტემაში ჩაურთველი სადგურები დოკუმენტაციაში შესატან ინფორმაციის გადასცემენ ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორს ( ტელეფონის ნომრები:19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24).

2) გადამისამართების შემთხვევაში გადამისამართებული გზავნილის გადაზიდვის საბუთი (ზედნადები) გაფორმდება მატერიალური ფორმით.

3) გამონაკლის სიტუაციაში, როდესაც ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული დოკუმენტაციის წარმოება, დოკუმენტაციაში შესატანი ინფორმაცია გადაეცემა ინფორმაციული უზრუნველყოფის სექტორს ( ტელეფონის ნომრები:19 94 24; 19 99 79; 16 53 47; 16 57 23; 16 57 24).

ბ) საერთაშორისო გადაზიდვისას - საერთო ფორმის აქტი, სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო, დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი იწარმოება ელექტრონულად. საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილი გადაზიდვის საბუთები კი მატერიალური ფორმით.

### 3.2 გადაზიდვის საბუთი

3.2.1 საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვის ზედნადები (СМГС)

1951 წლის 1 ნოემბრის საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების შესახებ შეთანხმება საფუძველზე მოქმედი საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების საბუთი, რომლის ფორმა და შევსების წესი განსაზღვრულია აღნიშნული შეთანხმების დანართი 1-ის „ტვირთის გადაზიდვის წესების“ მე- 2 თავის მე- 7 მუხლით და ამავე დანართის პირველი დანართის შესაბამისად.

ზედნადები წარმოადგენს კომპექსურ დოკუმენტს რომელიც შედგება 6 დანომრილი ფურცლისაგან და საჭირო რაოდენობის ზედნადების ფურცლის ,,საგზაო უწყისი (დამატებითი ეგზემპლარი)“ ეგზემპლარისაგან ტრანზიტული გადამზიდავებისთვის და სახელშეკრულებო გადამზიდავისათვის:

1 - ზედნადების დედანი (მიმღებისათვის);

2 - საგზაო უწყისი (მიმღებზე ტვირთის გამცემი გადამზიდავისათვის);

3 - ტვირთის გაცემის ფურცელი (მიმღებზე ტვირთის გამცემი გადამზიდავისათვის);

4 - ზედნადების დუბლიკატი (გამგზავნისათვის);

5 - ტვირთის მიღების ფურცელი (სახელშეკრულებო გადამზიდავისათვის);

6 - ტვირთის მოსვლაზე შეტყობინების ფურცელი (მიმღებისათვის).

ზედნადების 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-6 ფურცლები თან მიყვება ტვირთს დანიშნულების სადგურამდე, ,,საგზაო უწყისი (დამატებითი ეგზემპლარი)" ტრანზიტული გადამზიდავებისთვის ზედნადების მე-4 ფურცელი ეძლევა გამგზავნს, მე-5 რჩება სახელშეკრულებო გადამზიდავს.

ზედნადების ბლანკები იბეჭდება გამგზავნი ქვეყნის ენაზე და რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაციის სამუშაო ენაზე .

ელექტრონული საერთაშორისო გადაზიდვის ზედნადების (СМГС) წარმოებისას - გაგზავნის, დანიშნულების და გზადმდებარე სადგურში СМГС შესაბამისი გრაფები ივსება გადამზიდველის წარმომადგენელის, ასევე გამგზავნის, მიმღების ან მათი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების შესახებ შეთანხმება (СМГС)" პირველი დანართის „ტვირთის გადაზიდვის წესის" მე-8 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

სრულად შევსებულ ელექტრონული ზედნადების PDF ფორმატის ფაილს, კლიენტი და გადამზიდველი ელექტრონულად აწერს ხელს. ხელმოწერილი ზედნადების ყველა ეგზემპლარის ამობეჭდვა ხორციელდება A4 ფორმატის ქაღალდზე, ამობეჭდილ ზედნადებზე ასახულია სისტემის მიერ მინიჭებული ზედნადების უნიკალური ნომერი და სერია. აღნიშნულ ზედნადებს გადამზიდველი ადასტურებს კალენდარული შტემპელის დასმით.

3.2.2 **ციმ/სმგს ზედნადები** - ციმ/სმგს ზედნადების წარმოებისას გაგზავნის, დანიშნულების და გზადმდებარე სადგურში ციმ/სმგს ზედნადების შესაბამისი გრაფები ივსება გადამზიდველის წარმომადგენელის, ასევე გამგზავნის, მიმღების ან მათი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ციმ/სმგს-ის სახელმძღავანელოს მოთხოვნათა შესაბამისად.

3.2.3 **ფორმა გუ-29** გამოიყენება ადგილობრივ გადაზიდვაში, რომლის ფორმა და შევსების წესი განსაზღვრულია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის N26 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით ".

ფორმა გუ-29 წარმოადგენს გადაზიდვის საბუთების კომპლექტს, რომელიც შედგება:

1. საგზაო უწყისი;
2. საგზაო უწყისის ყუა;
3. ტვირთის მიღების ქვითარი.

გამგზავნი სადგური ღებულობს ტვირთს ტვირთგამგზავნისაგან და ამის დასტურად მას ეძლევა ტვირთის მიღების ქვითარი, რომელიც, თავის მხრივ, საგზაო უწყისის ყუაზე აწერს ხელს. საგზაო უწყისის ყუა რჩება გამგზავნ რკინიგზის სადგურში, რომელიც შემდგომ იგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში.

საგზაო უწყისი თან ახლავს ტვირთს დანიშნულების სადგურამდე. ტვირთმიმღები ტვირთის მიღებას ადასტურებს საგზაო უწყისში ხელმოწერით, რომელიც შემდგომ სადგურის მიერ იგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში.

### 3.2.4 ადგილობრივი გადაზიდვის ელექტრონული ზედნადები

ელექტრონული ზედნადები იწარმოება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1. ტვირთგამგზავნი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ახორცილებს ელექტრონული ზედნადების შესაბამისი გრაფების შევსებას და წარუდგენს რკინიგზას. არასწორი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში რკინიგზა ელექტრონილად აძლევს უარს. მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში ტვირთგამგზავნი ვალდებულია გააფორმოს ახალი. სრულყოფილი მონაცემების მიღების შემდგომ, რკინიგზა ავსებს მისთვის განკუთვნილ გრაფებს, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ ტვირთგამგზავნისა და გადამზიდველის მიერ ხორციელდება ზედნადების ელექტრონული ხელმოწერა.

2. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვისას, ელექტრონული ზედნადების ინფორმაცია რკინიგზის მეშვეობით ელექტრონულად ეგზავნება საბაჟო ორგანოს. საბაჟო ორგანოს მიერ სათანადო სტატუსის მინიჭების შემდეგ ხორციელდება ელექტრონული ზედნადების ხელმოწერა კლიენტისა და გადამზიდველის მიერ შესაბამისი თანმიმდევრობით.

3. გამგზავნ სადგურში ტვირთის გადაზიდვის ზედნადებში განხორცილებული საბოლოო ორმხრივი ხელმოწერები ადასტურებს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმებას.

4. ტვირთის გადაზიდვის ზედნადებში კლიენტისა და გადამზიდველის მიერ ელ. ხელმოწერების განხორციელების შემდეგ ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, გარდა ცალკეული შემთხვევებისა.

5. დანიშნულების სადგურში გადამზიდველის მიერ ტვირთის გაცემა დასტურდება ტვირთის გადაზიდვის ზედნადებში ტვირთმიმღების და გადამზიდველის მიერ ელ. ხელმოწერით.

6. ელექტრონული ზედნადებით გადაზიდული ტვირთის გადამისამართებისას, გადამისამართების სადგურში კლიენტის (გამგზავნი/მიმღები - იმის მეხედვით ვინ განახორციელებს გადამისამართებას) ელ. ხელმოწერის საფუძველზე დაიხურება ზედნადები. ამის შემდგომ, არსებული წესის შესაბამისად, მატერიალური ფორმით კლიენტი წარმოადგენს ზედნადებს და ,,რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების" V თავის მოთხოვნათა შესაბამისად ფორმდება გადაზიდვის დოკუმენტების კომპლექტი.

7. გაგზავნის, დანიშნულების და გზადმდებარე სადგურში ზედნადების შესაბამისი გრაფები ივსება გადამზიდველის წარმომადგენელის, ასევე გამგზავნის, მიმღების ან მათი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ წინამდებარე ცხრილის შესაბამისად:

| ავსებს | გრაფის დასახელება | შესატანი ინფორმაცია |
|---|---|---|
| გამგზავნი | 1- გამგზავნი | - ტვირთგამგზავნის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი<br>ასევე შესაძლებელია მიეთითოს ტვირთგამგზავნის სხვა რეკვიზიტები |
| გამგზავნი | 2- გამგზავნი სადგური | - ტვირთის გამგზავნი სადგურის დასახელება და კოდი. |
| გამგზავნი | 3 - გამგზავნის განცხადებები | - ტვირთგამგზავნის მითითება ტვირთის გადაზიდვის და გაცემასთან დაკავშირებული შეფერხებებისას.<br>- მალფუჭებადი ტვირთის დაცვის საშუალებები და ტემპერატურული |

| | | |
|---|---|---|
| | | რეჟიმი.<br><br>- მიეთითება ტრანსპორტის სახეობა, იმ შემთხვევაში თუ ტვირთის მიღება ან გაგზავნა ხორციელდება სხვა სახეობის ტრანსპორტის მონაწილეობით.<br><br>- <u>გამგზავნის  მიერ მოწოდებული</u> ვაგონისა და კონტეინერის დაზიანებები, გამოვლენილი ტვირთის ან ვაგონის გადასაზიდად წარდგენისას.<br><br>- ავტოსატრანსპორტო ტექნიკის გადაზიდვისას აღნიშვნა "გადაზიდვა მსხვრევადი დეტალების დაცვის გარეშე", " ავტომობილის №__ ავტომობილის გასაღები.<br><br>- შეყინვადი ტვირთის გადაზიდვისას მიღებული პროფილაქტიკურ ზომები.<br><br>- ტვირთგამცილებლის უფლებამოსილებები.<br><br>- ფასგამოცხადებული ტვირთის გადაზიდვისას აღნიშვნა - "ტვირთის გამოცხადებული ღირებულება__სიტყვიერად თანხა)".<br><br>- ღია მოძრავ შემადგენლობაზე გაბარიტული ტვირთის დამაგრებისა და განლაგების გამოყენებული პირობების აღნიშვნები. „ტპ პუქტი - თავი - ", ან "ნახაზი №__",<br><br>- ტვირთის განლაგების  და დამაგრების ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დამდასტურებელი უფლებამოსილი პირის რეკვიზიტები.<br><br>- გადატვირთვისას ერთი სიგანის ლიანდის ვაგონებიდან სხვა სიგანის ლიანდის ვაგონებში, როდესაც ვაგონი წარდგენილია გამგზავნის მიერ მიეთითება „გადატვირთვის შემდეგ სადგურიდან--- (მიეთითება გადამტვირთავი სადგურის დასახელება) |

| | | |
|---|---|---|
| | | ვაგონი გაიგზავნოს სადგურზე--- (მიეთიეთება სადგურის და მიმღების დასახელება)“. |
| გამგზავნი | 4- მიმღები | ტვირთმიმღების დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი<br>ასევე შესაძლებელია მიეთითოს ტვირთმიმღების სხვა რეკვიზიტები |
| გამგზავნი | 5- დანიშნულების სადგური | - ტვირთის დანიშნულების სადგურის დასახელება და კოდი. |
| გამგზავნი | 6-ტვირთის გამომგზავნი და დანიშნულების ქვეყნები | ტვირთის გამომგზავნი და დანიშნულების ქვეყნების დასახელება და სტანდარტით დადგენილი კოდი |
| გამგზავნი | 7-ვაგონი | - ვაგონის მიწერის სარკინიგზო ადმინისტრაციის კოდი ვაგონის №, |
| ტვირთგამგზავნი | 7.1. | ვაგონის მფლობელის დასახელება და ვაგონის მესაკუთრე ადმინისტრაციის კოდი.<br><br>- რეფრიჟერატორული სექციით გადაზიდვისას დამატებით დაისმება აღნიშვნა ”რს___(რეფ. სექციის ნომერი)(____)(მიეთითება სატვირთო ვაგონების რაოდენობა სექციაში და მექანიკური ვაგონის ნომერი).<br><br>- ტვირთის ბმულებით გადაზიდვისას მიეთითება ყველა ვაგონის ნომერი და დაისმება აღნიშვნა ”ბმული”.<br><br>- ტვირთის საკუთარ ღერძებზე გადაზიდვისას მიეთითება ტექნიკის ნომერი, ვაგონის ნომერი ან სხვა სატრანსპორტო საშუალების ნომერი. |
| გადამზიდველი | 8- ვაგონის კუთვნილება | -„ინვენტარული“რკინიგზათა ადმინისტრაციების კუთვნილი ვაგონი;<br>„საკუთარი“ - სატვირთო ვაგონების პარკის ავტომატიზირებულს მონაცემთა ბაზაში საკუთრების ნიშანთვისების შესაბამისობით დარეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილი ვაგონი |

| | | |
|---|---|---|
| გადამზიდველი | 9- ტვირთამწეობა | მიეთითება ვაგონის ტვირთამწეობა ტონებში |
| | 10 - ღერძები | მიეთითება ღერძების რაოდენობა |
| | 11-ტარის მასა | მიეთითება ვაგონის ტარის მასა |
| | 12 - ცისტერნის ტიპი | მიეთითება ცისტერნის დაკალიბრების ტიპი. |
| გადამზიდველი | 13 - ტვირთის წონა(გადატვირთვის შემდგომ) | მიეთითება ტვირთის წონა, გადატვირთული თითოეულ ვაგონში. |
| გადამზიდველი | 14- ადგილების რაოდენობა (გადატვირთვის შემდგომ) | მიეთითება ტვირთის ადგილების რაოდენობა, გადატვირთული თითოეულ ვაგონში. |
| გამგზავნი | 15- ტვირთის დასახელება | - მიეთითება ტვირთის დასახელება და რვანიშნა კოდი, ტვირთების ჰარმონიზებული ნომენკლატურის მიხედვით.<br>ნაკრები ტვირთის შემთხვევაში მიეთითება მაქსიმალური კოეფიციენტის მქონე ტვირთის დასახელება და რვანიშნა კოდი, ტვირთების ჰარმონიზებული ნომენკლატურის მიხედვით. სხვა დანარჩენი ტვირთები მიეთითება შესაბამისი წონით შენიშვნის სახით.<br><br>- ასევე, ტვირთზე დატანილი ნიშნები, მარკირება და ნომრები.<br><br>- საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისას მიეთითება ტვირთის დასახელება და ინფორმაცია ”საფრთხეშემცველი ტვირთების გადაზიდვის წესები”-ს შესაბამისად.<br><br>-განსაკუთრებული პირობებით ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა: ”განსაკუთრებული პირობებით |

| | | |
|---|---|---|
| | | გადაზიდვა".<br><br>- მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა "მალფუჭებადი", ხოლო, ტვირთის დახურული ვაგონებით, ვენტილირებით გადაზიდვისას, ასევე კეთდება აღნიშვნა"ვენტილირებით".<br><br>- შეყინვადი ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა "შეყინვადი".<br><br>- ცხოველების გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა "ცხოველები" და "გორაკიდან არ დაუშვათ".<br>- ადვილადაალებდი ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა - "ადვილადაალებადი", "საფარი 0-0-1".<br><br>- ტვირთის გადაზიდვისას გამცილებლის თანხლებით კეთდება აღნიშვნა: "გამგზავნის გამცილებლის თანხლებით"თუ გამცილებელი იმყოფება ცალკე ვაგონში ან აცილებს რამდენიმე ვაგონს. დამატებით კეთდება აღნიშვნა გამცილებელი იმყოფება ვაგონში №____გამცილებლის სახელი და გვარი, ასევე მისი საპასპორტო მონაცემები. მსვლელობის გზაზე გამცილებლის ცვლილებისას კეთდება აღნიშვნა "გამცილებლის ცვლილება სადგურზე - (სადგურის დასახელება)".<br>- ტვირთის გადასაზიდი მოწყობილობებით გადაზიდვისას ტვირთის დასახელებასთან ერთად მიეთითება აღნიშნული მოწყობილობების დასახელება.<br>- ინტერმოდალური სატრანსპორტო საშუალებების (გარდა კონტეინერებისა) გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა: " სათადარიგო საბურავი_____ერთეული" " გორაკიდან არ დაუშვათ".<br>- საშუალოტონაჟიანი უნივერსალური კონტეინერის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა "კონტეინერი"___(ცხრანიშნა ნომერი)".<br>- დიდტონაჟონაჟიანი კონტეინერის გადაზიდვისას მიეთითება კონტეინერის |

| | | |
|---|---|---|
| | | თერთმეტნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც შედგება ოთხი ლათინური ანბანის ასოსაგან (პირველი სამი ასო განსაზღვრავს კონტეინერის მესაკუთრეს, მეოთხე- ”U”აღნიშნავს უნივერსალურ სატვირთო კონტეინერს) და შვიდი ციფრისაგან. კონტეინერის ნომრის შემდეგ იწერება კონტეინერის ოთხნიშნა ტიპოზომის კოდი და ფრჩხილებში მიეთითება კონტეინერის ბრუტო მასა.<br>- ტვირთის ბმულებით გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა ”გორაკიდან არ დაუშვათ”.<br>- არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა ”არაგაბარიტული ტვირთი ______ (არაგაბარიტულობის ინდექსი)”.<br>- არაგაბარიტული ტვირთის და ტვირთის ტრანსპორტიორებით გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა ”გორაკიდან არ დაუშვათ’ ან ”გორაკზე არ გაატაროთ” (აღნიშვნის აუცილებლობას განსაზღვრავს გადამზიდველი).<br>- შეზღუდული სიჩქარით ტვირთის გადაზიდვისას კეთდება აღნიშვნა”სიჩქარე არაუმეტეს___კმ/სთ.<br>- ასევე აღნიშვნები:<br>„ცალკე ელმავლით“; „ორმაგი წევა“; ,,საკონტეინერო მატარებელი“ ,,მარშრუტი“ „რეკლამაცია“ და სხვა. |
| გამგზავნი | 16-შეფუთვის სახე | - მიეთითება შეფუთვის სახე.<br>- ტვირთის პაკეტებით გადაზიდვისას მრიცხველში მიეთითება - ”პაკეტი”, მნიშვნელში - პაკეტში ტვირთის ერთეულის შეფუთვის სახე, თუ ტვირთის ერთეული არ არის შეფუთული - აღნიშვნა”შეფუთვის გარეშე”.<br>- ტვირთის შეფუთვის გარეშე გადაზიდვისას მიეთითება”შეფუთვის გარეშე”. |
| გამგზავნი | 17-ადგილების რაოდენობა | - ციფრებით მიეთითება ადგილების რაოდენობა შესაბამისი ტვირთის დასახელების გასწვრივ.<br>- ტვირთის დაყრით, ჩაყრით და |

| | | |
|---|---|---|
| | | ჩასხმით გადაზიდვისას მიეთითება ,,დაყრით" ,, ჩაყრით " ,, ჩასხმით".<br>- ღია მოძრავ შემადგენლობაზე ან ღია ტიპის კონტეინერით გადაზიდვისას სადაც ტვირთის ადგილების რაოდენობა 100 (ასზე) მეტია მიეთითება "დაყრით".<br>- პაკეტებით ტვირთის გადაზიდვისას "/"-ით მიეთითება: მრიცხველში პაკეტების რაოდენობა, მნიშვნელში პაკეტებში მოთვსებული ტვირთის საერთო რაოდენობა.<br>- ტვირთის ინტერმოდალური სატრასნპორტო ერთეული (ИТЕ) და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებით (АТС) გადაზიდვისას მიეთითება მასში დატვირთული ტვირთის ადგილების რაოდენობა.<br>- ცარიელი ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეული (ИТЕ) და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების (АТС) გადაზიდვისას მიეთითება მათი რაოდენობა.<br>- მრავალჯერადი გამოყენების გადაზიდვის მოწყობილობებით ტვირთის გადაზიდვისას მიეთითება ამ მოწყობილობების რაოდენობა. |
| გამგზავნი | 18 -"წონა (კგ-ში)" | - მიეთითება ტვირთის ბრუტო წონა (შეფუთვის ჩათვლით) თითოეული ტვირთვისთვის ტვირთის დასახელებას გასწვრივ. (მათ შორის ტვირთის წონა, საკუთარ ღერძებზე).<br>- ინტერმოდალური სატრასნპორტო ერთეული (ИТЕ) და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების (АТС) ტარის წონა.<br>- გადასაზიდი მოწყობილობების წონა, რომელიც არ შედის ვაგონის ტარის წონაში.<br>- ტვირთის საერთო ბრუტო მასა. |

| | | |
|---|---|---|
| გამგზავნი ან გადამზიდველი იმის მიხედვით თუ ვინ ახორციელებს ვაგონის ფიზიკურ დატვირთვას. | 19 -”პლომბი” | - მიეთითება ვაგონზე, ინტერმოდალურ სატრასნპორტო ერთეულზე (ИТЕ) და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე (АТС) დადებული პლომბების რაოდენობა და ნიშნები. საკეტ-საპლომბი მოწყობილობების გამოყენებისას აღნიშნული მოწყობილობების დასახელება და საკონტროლო ნიშნები, რკინიგზის შემოკლებული დასახელება. |
| გამგზავნი | 20- ”დატვირთულია” | - დაისმის აღნიშვნა ”გამგზავნი“ ან “გადამზიდველი“ იმის მიხედვით თუ ვინ განახორციელა დატვირთვა. |
| გამგზავნი | 21- ”ტვირთის მასის განსაზღვრის წესი” | - ,, აწონვით” (სასწორის ტიპის მითითებით)<br>- ,,ტრაფარეტით“<br>- ,,სტანდარტით”<br>- ,,აზომვით“<br>- ,,გაზომვით“<br>- ,,მრიცხველით“ |
| გამგზავნი | 22 - გადაზიდვის დავალება | მიეთითება გადაზიდვის დავალების ნომერი |
| გამგზავნი | 23 - ”გადაზიდვის ღირებულების გადამხდელი” | - მიეთითება გადაზიდვის ღირებულების გადამხდელის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი |
| გამგზავნი | 24 - ,,გამგზავნის მიერ თანდართული საბუთები“ | - თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი. ასევე მიეთითება თანდართული დოკუმენტების ასლების რაოდენობა. |

| | | |
|---|---|---|
| გამგზავნი | 25 - ,,ინფორმაცია, რომელიც არ არის განკუთვნილი გადამზიდველისთვის , ხელშეკრულების № __მიწოდებაზე". | - იწერება ინფორმაცია, რომელიც არ არის განკუთვნილიგადამზიდველისათვის.<br>- ადმინისტრაციული ფორმალობებისათვის აუცილებელი დოკუმენტები, რომელიც არ არის თანდართული ზედნადებზე, კეთდება აღნიშვნა „-------(დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი) წარდგენილია ---------(ადმინისტრაციული კონტროლის ორგანოს დასახელება)" |
| გადამზიდველი | 26 -"გადაზიდვის ხელშეკრულების დადების თარიღი". | - გამგზავნი სადგურის მიერ მიეთითება გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და დრო. |
| გადამზიდველი | 27-"მოსვლის თარიღი" | - აღინიშნება დანიშნულების სადგურში ტვირთის შესვლის თარიღი და დრო. |
| შესაბამისი სახელმწიფო უწყება/გადამზიდველი/გამგზავნი | 28 - "საბაჟო, ადმინისტრაციული უწყებები" | - მიეთითება საბაჟო (ტვირთის რეჟიმი და სტატუსი) და სახელმწიფო უწყებების მიერ გაკეთებული აღნიშვნები. |
| გადამზიდველი | 29 - "გზავნილის №_" | - მიეთითება ტვირთის გადაზიდვის ზედნადების სერია, უნიკალური ნომერი საბუთის გამფორმებელი სარკინიგზო ადმინისტრაციის კოდი. |
| გადამზიდველი | 30 - "გადამზიდველის აღნიშვნები" | მიეთითება:<br>- ტვირთის განლაგების და დამაგრების ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადასტურება გადამზიდველის უფლებამოსილი პირის სახელის, გვარის და თანამდებობის მითითებით,<br>- "ვაგონის გახსნის აქტი___(თარიღი), სადგური __ ____რკინიგზა", ვაგონის გახსნის შემთხვევაში.<br>- "____(თანდართული დოკუმენტის დასახელება)№___ ამოღებულია სადგურ____ ", თანდართული დოკუმენტების ამოღების შემთხვევაში.<br>- "___(რაოდენობა) პლომბები/ საკეტ-საპლომბი მოწყობილობები ნიშნებით____ შეიცვალა____(რაოდენობა) პლომბებით/საკეტ-საპლომბი |

| | | |
|---|---|---|
| | | მოწყობილობებით ნიშნებით ___” ან<br>” ___(რაოდენობა ) პლომბები/საკეტ-საპლომბი მოწყობილობები ნიშნებით___ დადებული არარსებული პლომბების ნაცვლად”- გადამზიდველის მიერ პლომბების შეცვლის ან დადების შემთხვევაში.<br>- ”გადამისამართდა სადგურ___(სადგურის დასახელება) მიმღები _______(მიმღების დასახელება) საფუძველზე ____ (დოკუმენტის დასახელება და თარიღი)”<br>- ”____( დოკუმენტის დასახელება, ნომერი, გაფორმების თარიღი, რომელიც შედგენილია გადამზიდველის მიერ მსვლელობის გზაზე, ტვირთის გადაზიდვის გარემოების დასაფიქსირებლად, რომელიც გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს ტვირთის გადაზიდვის პროცესზე)”.<br>- ” ტვირთის წონის შემოწმებისას აღმოჩნდა___კგ”- ტვირთის გადაზიდვის ზედნადებში-უწყისში მითითებულ მონაცემთან შეუსაბამობის აღმოჩენისას.<br>- ”აქტი ვაგონის დაზიანების შესახებ №__(მიეთითება აქტის ნომერი) ____ (თარიღი), ___( სადგურის დასახელება) |
| გადამზიდველი | 31 - ”კომერციული აქტი” | - მიეთითება კომერციული აქტის ნომერი, კომერციული აქტის შედგენის თარიღი და გაკეთდება აქტის შემდგენი სადგურის შესაბამისი აღნიშვნები. |
| გადამზიდველი | 32 - ”მიტანის ვადის გაგრძელება” | - მიეთითება ტვირთის შეჩერების სადგურის დასახელება და გაკეთდება აღნიშვნები, ასევე, მიეთითება შეყოვნების ხანგრძლივობა და შეჩერების მიზეზის კოდი, რომელიც იძლევა მიტანის ვადის გაგრძელების საშუალებას.<br>- კოდის მნიშვნელობა:<br>1- საბაჟო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ფორმალობების შესრულება;<br>2- ტვირთის შემადგენლობის შემოწმება;<br>3- ტვირთის მასის შემოწმება;<br>4- ტვირთის ადგილების შემოწმება;<br>5- გადაზიდვის ხელშეკრულების ცვლილება; |

| | | |
|---|---|---|
| | | 6- გადაზიდვის შეფერხება;<br>7- ცხოველების მოვლა;<br>8- ტვირთის ან შეფუთვის გასწორება, რომელიც არ იყო გამოწვეული გადამზიდველის მიზეზით;<br>9- ტვირთის გადატვირთვა, რომელიც არ იყო გამოწვეული გადამზიდველის მიზეზით;<br>10- სხვა მიზეზები. (მიეთითება ტვირთის შეყოვნების სხვა კონკრეტული მიზეზი). |
| გადამზიდველი | 33 - "შეტყობინება ტვირთის მოსვლაზე" | - მიეთითება ტვირთის მოსვლის შესახებ შეტყობინების გადაცემის თარიღი და დრო. |
| მიმღები/ გადამზიდველი | 34 -"ტვირთის გაცემა" | - დაისმის მიმღების მიერ ტვირთის მიღების თარიღი ასევე, გადამზიდველის მიერ მიეთითება ტვირთის გაცემის ფაქტიური დრო |
| გადამზიდველი | 35 -"უბანი" | - მიეთითება გამგზავნი და დანიშნულების სადგურების დასახელება და კოდი. |
| გადამზიდველი | 36 -"მანძილი, კმ" | - გამგზავნ და დანიშნულების სადგურებს შორის მანძილი |
| გადამზიდველი | 37 -" საანგარიშო მასა, კგ" | - მიეთითება საანგარიშო (სატარიფო/სახელშეკრულებო) წონა. |
| გადამზიდველი | 38 - გამცილებელი" | - მიეთითება გამცილებლების რაოდენობა |
| გადამზიდველი | 39 - "ტვირთის კოდი" | - მიეთითება ტვირთის კოდი ტვირთის ჰარმონიზებული ნომენკლატურის მიხედვით. |
| გადამზიდველი | 40 -" ტარიფი" | - მიეთითება გამოყენებული ტარიფის დასახელება და კოდი ან ხელშეკრულების ნოემრი |
| გადამზიდველი | 41 - „გაცვლითი კურსი" | - გადაზიდვის ხელშეკურლების გაფორმების დღეს ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ დადგენილი უცხოური (სატარიფო) ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი |

| | | |
|---|---|---|
| გადამზიდველი | 42 -" სატარფო ვალუტა" | - მიეთითება ვალუტა, რომლითაც სატარიფო პოლიტიკის ან სახელშეკრულებო პირობების თანახმად დადგენილია გადაზიდვის ტარიფები |
| გადამზიდველი | 43 - გადაზიდვის ღირებულება | - მიეთითება გადაზიდვის ღირებულება გაანგარიშებული სატარიფო ვალუტაში. |
| გადამზიდველი | 44- "ანგარიშსწორების ვალუტა" | - ეროვნული ვალუტა. |
| გადამზიდველი | 45 – „გადაზიდვის ღირებულება" | - მიეთითება გადაზიდვის ღირებულება გაანგარიშებული ეროვნულ ვალუტაში. |
| გადამზიდველი | 46 - "გამცილებლის საფასური" | - მიეთითება გამცილებლის მგზავრობის საფასური, სატარიფო ვალუტაში. |
| გადამზიდველი | 47-"გამცილებლის საფასური" | - მიეთითება გამცილებლის მგზავრობის საფასური, ეროვნულ ვალუტაში. |
| გადამზიდველი | 48 | - 43-ე და 46-ე გრაფებში მითითებული თანხების ჯამი |
| გადამზიდველი | 49 | - 44-ე და 47-ე გრაფებში მითითებული თანხების ჯამი |
| გადამზიდველი | 50 -,,აღნიშვნები გადაზიდვის ღირებულების გამოთვლისა და გადახდის შესახებ" | - მიეთითება აღნიშვნები, რომელიც აუცილებელია გადამზიდველისათვის გადაზიდვის ღირებულების გამოთვლისა და გადახდის უზრუნველყოფის მიზნით. |
| გადამზიდველი | 51- „დამატებით ინფორმაცია გადახდების შესახებ" | - აღნიშვნები გადაზიდვის დავალებით აღებული და სადგურში დამატებით გადახდილი თანხების შესახებ |

### 3.3 სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო

სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო (ფორმა გუ-45) ფორმდება სადგურის მომსახურების გაწევისას: ინვენტარული პარკის ვაგონების (კონტეინერების) მიწოდება - გამოტანის, ხოლო საკუთარი ვაგონებისათვის (კონტეინერებისათვის) მიწოდების ან გამოტანის და სადგურის სხვა მომსახურების დროს.

დანომრილი სამახსოვროების ცარიელი ბლანკები ეგზავნება სადგურებს, რომელიც წარმოადგენს შიდა მკაცრი აღრიცხვის საბუთს.

აკრძალულია ერთი სამახსოვროთი რამოდენიმე კლიენტზე გაწეული მომსახურების აღრიცხვა, მათ შორის ერთ ვაგონზე რამდენიმე კონტეინერის მიწოდების შემთხვევაშიც.

სამახსოვროში აღინიშნება:

- **რკინიგზის სადგური** - სამახსოვროს გამფორმებელი რკინიგზის სადგურის დასახელება და კოდი ან/და სტრიქონული შტემპელი;
- **გაფორმების თარიღი** - სამახსოვროს გაფორმების თარიღი;
- **კლიენტი** - მომსახურების მიმღები კლიენტის (ტვირთმიმღები ან ტვირთგამგზავნი) დასახელება;
- **ფარეხი/ჩიხი -** ჩიხის (მისასვლელი ლიანდაგი) დასახელება;
- **ლიანდაგი -** საერთო სარგებლობის ან არასაერთო სარგებლობის ლიანდაგი;
- **ვაგონებზე ოპერაცია -** დასატვირთად, დასაცლელად ან სხვა;
- **თბომავლის მესაკუთრე -** სამანევრო ლოკომოტივის მესაკუთრე (რკინიგზა ან კლიენტი);
- **ჩიხის მესაკუთრე** - რკინიგზა ან კლიენტი;
- **ოპერაციის დაწყების დრო** - დასატვირთად ან დასაცლელად მისაწოდებელი ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო;
- **დატვირთვის დასრულების დრო -** ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო;
- **ოპერაციის დასრულების დრო:**

ა) დაცლისას - დაცლის დასრულების დრო;

ბ) დატვირთვისას - ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის შემდგომ ყველა სათანადო საბუთების სადგურში საბოლოო ჩაბარების დრო.

დაცლა - დატვირთვის დასრულების შესახებ კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს სადგურს.

- **ვაგონი/კონტეინერი** - ერთდროულად მიწოდებული ყველა ვაგონის (კონტეინერის) ნომერი.
- **საგზაო უწყისი** - საგზაო უწყისის გამფორმებელი რკინგზის კოდი, სერია და ნომერი;
- **მიწოდების დრო** - ვაგონების (კონტეინერების) დაცლა/დატვირთვის ფრონტზე ჩაყენების თარიღი და დრო;
- **ვაგონების აკრეფის დრო** - მისასვლელი ლიანდაგის დაცლა / დატვირთვის ფრონტიდან ვაგონების (კონტეინერების) გამოტანის თარიღი და დრო;

სადგურში კლიენტის მიზეზით დამატებითი მომსახურების, კერძოდ 24 საათზე მეტი მომსახურების დროის აღრიცხვა ხდება:

- სამახსოვროში მითითებული ოპერაციის დაწყებიდან ოპერაციის დასრულებამდე დროის ინტერვალისა და საერთო ფორმის აქტებით აღრიცხული მოცდენის დროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეკრებით;
- საკუთარი ვაგონების საკუთარ ჩიხში საკუთარი თბომავლით მიწოდებისას ან გამოტანისას მხოლოდ საერთო ფორმის აქტებით აღრიცხული მოცდენის დროებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვაგონის (კონტეინერის), თბომავლის და ჩიხის მესაკუთრის მიხედვით სამახსოვროში ოპერაციის დაწყების, მიწოდების, დატვირთვის დასრულების და ოპერაციის დასრულების დროები განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის შესაბამისად:

| № | ვაგონი (კონტეინერი) | თბომავალი მესაკუთრე | ჩიხის მესაკუთრე | ოპერაციის დაწყების დრო | მიწოდების დრო | დატვირთვის დასრულების დრო | ოპერაციის დასრულების დრო |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინვენტარული | რკინიგზა | რკინიგზა / კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | ვაგონების (კონტეინერების) დაცლა/დატვირთვის ფრონტზე ჩაყენების თარიღი და დრო | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო | დაცლის დასრულების დრო. დატვირთვისას - ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის შემდგომ ყველა სათანადო საბუთების სადგურში საბოლოო ჩაბარების დრო. |
| 2 | ინვენტარული | საკუთარი | რკინიგზა / კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო | ვაგონის (კონტეინერის) სადგურში მოყვანის დრო. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | საკუთარი | რკინიგზა/ საკუთარი | რკინიგზა | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | ვაგონების (კონტეინერების) დაცლა/დატვირთვის ფრონტზე ჩაყენების თარიღი და დრო | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო | დაცლის დასრულების დრო. დატვირთვისას - ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის შემდგომ ყველა სათანადო საბუთების სადგურში საბოლოო ჩაბარების დრო. |
| 4 | საკუთარი | რკინიგზა | კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო | - | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო |
| 5 | საკუთარი | საკუთარი | კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო | - | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო |
| 6 | ინვენტარული | **რკინიგზა + საკუთარი** ( მიწოდება - გამოტანაში მონაწილეობს, როგორც რკინიგზის ასევე საკუთარი თბომავალი) | კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | კლიენტისათვის ვაგონების (კონტეინერების) გადაცემის - ჩაბარების თარიღი და დრო | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო; | კლიენტისგან ვაგონების (კონტეინერების) გადმოცემის - მიღების თარიღი და დრო |
| 7 | საკუთარი | **რკინიგზა + საკუთარი** ( მიწოდება - გამოტანაში მონაწილეობს, როგორც რკინიგზის ასევე საკუთარი თბომავალი) | კლიენტი | ვაგონების (კონტეინერების) სადგურიდან მიწოდების დაწყების თარიღი და დრო | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო | - | იგივე რაც ოპერაციის დაწყების დრო |
| 8 | საკუთარი * | **რკინიგზა** | კლიენტი | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო; | - | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო; | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის შემდგომ ყველა სათანადო საბუთების სადგურში საბოლოო ჩაბარების დრო. |
| 9 | საკუთარი * | **საკუთარი** | კლიენტი | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო; | - | ვაგონის ტვირთით/კონტეინერით ფიზიკურად დატვირთვის და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბვის დრო; | ვაგონის (კონტეინერის ) სადგურში მოყვანის დრო. |

* საკუთარი ვაგონის დატვირთვისას საკუთარ ჩიხში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სადგურის მომსახურების გაწევას, მაგრამ არ ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვის ოპერაცია, სამახსოვროში უნდა მოინიშნოს ვაგონებზე ოპერაცია - „სხვა“ და გრაფაში „ოპერაციის დაწყების დრო“ მიეთითოს მომსახურების დაწყების თარიღი და დრო, ხოლო გრაფაში „ ოპერაციის დასრულების დრო “ მომსახურების დასრულების თარიღი და დრო.

ვაგონების (კონტეინერების) დაცლის შემდგომ დატვირთვისას, სადგურის მომსახურებების აღრიცხვა ერთი სამახსოვროთი იკრძალება.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მისასვლელი ლიანდაგიდან გამოყვანის გარეშე დატვირთვა ხდება იმავე ვაგონში, რომელიც მიწოდებული იყო დასაცლელად, მაშინ დატვირთვაზე შედგენილი სამახსოვროს ოპერაციის დაწყების და მიწოდების დროდ უნდა მიეთითოს დაცლაზე მიწოდებისას შედგენილ სამახსოვროში ოპერაციის დასრულების დროს დამატებული ვაგონის ტექნიკური შემოწმებისათვის საჭირო დრო.

იმ შემთხვევაში, თუ ვაგონი (კონტეინერი) მიწოდებული იყო დაცლა-დატვირთვის ფრონტზე და დატვირთვა ან დაცლა არ განხორციელდა რკინიგზის ან არარკინიგზის მიზეზით, მაშინ სამახსოვროში შესაბამისი ვაგონის გასწვრივ შენიშვნის გრაფაში კეთდება ჩანაწერი: „არ დაიცალა-კლიენტის მიზეზით“/„არ დაიცალა-რკინიგზის მიზეზით“ ან „არ დაიტვირთა-კლიენტის მიზეზით“ / „არ დაიტვირთა-რკინიგზის მიზეზით“.

სავალდებულოა, სამახსოვროში ყველა გრაფის შევსება, გარდა:

- აკრეფის დროისა, საკუთარი ვაგონების საკუთარ ჩიხში მიწოდებისას;
- მიწოდების და აკრეფის დროისა, როდესაც ადგილი აქვს სადგურის მომსახურების გაწევას, მაგრამ არ ხდება ვაგონების დაცლა/დატვირთვის ოპერაცია (სამახსოვროში მონიშნულია ვაგონებზე ოპერაცია - „სხვა“);
- აკრეფის დროისა, თუ კლიენტის მიერ მისასვლელი ლიანდაგიდან გამოყვანის გარეშე დატვირთვა ხდება იმავე ვაგონში, რომელიც მიწოდებული იყო დასაცლელად ან დაცლა - დატვირთვა ხდება საერთო სარგებლობის ლიანდაგებში;

სამახსოვროს ხელს აწერენ ჩამბარებელი და მიმღები მხარეები:

- დაცლა - დატვირთვის ფრონტზე ვაგონების დაცლა - დატვირთვის შემდეგ;
- სადგურის ლიანდაგზე ვაგონების მიღება - ჩაბარების შემდეგ;
- კლიენტის კუთვნილ გადასაყენებელ ლიანდაგზე მიღება-ჩაბარების შემდეგ.

მესამე და მეოთხე ეგზემპლარზე ასევე ხელს აწერს რკინიგზის სადგურის კლიენტის მომსახურების ოპერატორი, რომელმაც მიიღო სამახსოვრო მისი შემდგენელი სატვირთო მომსახურების სპეციალისტისაგან.

სამახსოვრო სრულყოფილად შედგენილად ითვლება, როცა ყველა აუცილებელი გრაფა შევსებულია და დამოწმებულია შესაბამისი ხელმოწერებით.

სამახსოვრო იწარმოება ელექტრონულ ფორმატში. ელექტრონულ ფორმატში წარმებული სამახსოვრო ელ.ხელმოწერებით დასტურდება კლიენტის და რკინიგზის მიერ შესაბამისი თანმიმდევრობით. ელ.სამახსოვრო საჭიროების შემთხვევაში მატრიალური ფორმით შესაძლებელია ამოღებულ იქნას კლიენტის მიერ http://cargo.railway.ge-დან ან რკინიგზის მიერ სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემიდან.

გამონაკლის შემთხვევაში, სამახსოვრო მატერიალური ფორმით იწარმოება ოთხ ეგზემპლარად: პირველი ეგზემპლარი ეგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურს, მეორე გადაეცემა - კლიენტს, მესამე რჩება რკინიგზის სადგურის კლიენტის მომსახურების ოპერატორს, მეოთხე - სამახსოვროს შემდგენელ სატვირთო მომსახურების სპეციალისტს.

### 3.4. საერთო ფორმის აქტი

საერთო ფორმის აქტი იწარმოება ელექტრონულ ფორმატში. მასზე ელექტრონულად ხელს აწერენ ის პირები რომლებიც მონაწილეობენ იმ გარემოებათა დადასტურებაში, რაც გახდა აქტის შედგენის საფუძველი. გამგზავნ, გზადმდებარე და დანიშნულების სადგურებში ელ. ფორმატში ,,კლიენტის მიზეზით“ წარმოებულ საერთო ფორმის აქტს ადასტურებს კლიენტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ელ. ხელმოწერით. გამონაკლის შემთხვევაში თუ კლიენტის მხრიდან გზადმდებარე სადგურში ვერ მოხერხდება ,,კლიენტის მიზეზით“ გაფორმებული ელექტრონული საერთო ფორმის აქტის ხელმოწერა, მაშინ მისი დადასტურება ელექტრონული ხელმოწერით უნდა განხორციელდეს ტვირთის დანიშნულების სადგურში, წინააღმდეგ შემთხვევაში გზავნილი ტვირთმიმღებზე არ გაიცემა.

გამონაკლის შემთხვევაში, საერთო ფორმის აქტი მატერიალური ფორმით იწარმოება ოთხ ეგზემპლარად: პირველი ეგზემპლარი ეგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურს, მეორე გადაეცემა - კლიენტს, მესამე რჩება რკინიგზის სადგურის კლიენტის მომსახურების ოპერატორს, მეოთხე - აქტის შემდგენელ სატვირთო მომსახურების სპეციალისტს. თუ საერთო ფორმის აქტი გაფორმდა მსვლელობის გზაზე მეოთხე პირი რჩება გამფორმებელ სადგურში, დანარჩენი სამი მიჰყვება გადაზიდვის საბუთებს საქართველოს რკინიგზის დანიშნულების სადგურამდე ან გამსვლელ - სასაზღვრო სადგურამდე, საიდანაც პირველი პირი იგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში, მეორე გადაეცემა კლიენტს, მესამე რჩება სადგურში. საერთო ფორმის აქტზე ხელს აწერენ ის პირები (არანაკლებ ორისა), რომლებიც მონაწილეობენ იმ გარემოებათა დადასტურებაში, რაც გახდა აქტის შედგენის საფუძველი. საერთო ფორმის აქტს ხელმოწერით ადასტურებს სადგურის უფლებამოსილი პირი და მოწმდება სადგურის სტრიქონული შტემპელით.

მატერიალური სახის დანომრილი საერთო ფორმის აქტების ცარიელი ბლანკები ეგზავნება სადგურებს, რომელიც წარმოადგენს შიდა მკაცრი აღრიცხვის საბუთს.

საერთო ფორმის აქტის შედგენა (ფორმა გუ-23) ხდება საქართველოს რკინიგზაზე გამგზავნ სადგურში, მსვლელობის გზაზე და დანიშნულების სადგურში მომსახურების გაწევის შეყოვნებისას, ვაგონების (კონტეინერების) შეფერხების ყველა შემთხვევაზე, გარდა შეპირაპირების სადგურებში და მსვლელობის გზაზე მატარებელთა დასამუშავებლად საჭირო ტექნოლოგიური პროცესისა, როდესაც აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის დრო არ აღემატება 24 საათს. იმ შემთხვევაში, თუ მატარებლის ფორმირების მოლოდინში ვაგონების (კონტეინერების) შეყოვნება ხდება 24 საათზე მეტი დროით, სადგური ადგენს საერთო ფორმის აქტს შეყოვნების კონკრეტული მიზეზის მითითებით.

შიდა სასადგურო გადაზიდვისას საერთო ფორმის აქტის შედგენის შემთხვევაში, შენიშვნის ველში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი:

- **„შიდა სასადგურო გადაზიდვა - დატვირთვა“** ;
- **„შიდა სასადგურო გადაზიდვა - დაცლა“;**
- **„შიდა სასადგურო გადაზიდვა - სხვა გაგზავნა“;**

**„შიდა სასადგურო გადაზიდვა - სხვა მიღება“.**

საერთო ფორმის აქტში სავალდებულოა ყველა გრაფის შევსება გარდა, გრაფებისა „მატარებლის №“; რკინიგზის სადგური(დან); რკინიგზის სადგური (მდე );

საერთო ფორმის აქტი რომელიც ასახავს დაუცველ გადაზიდვას ,,რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 434-ე მუხლით განსაზღვრულს ან/და აქტში დაფიქსირებული გარემოების დამოწმებაში მონაწილეობს მესამე მხარე (ადმინისტრაციული ორგანოები და სხვა) და მათი მხრიდან ვერ ხორციელდება დოკუმენტის ელექტრონული ხელმოწერა, მაშინ სადგურის მუშაკი ახორციელებს ელექტრონული სისტემიდან რკინიგზის მხრიდან გაფორმებული და ხელმოწერილი საერთო ფორმის აქტის საჭირო რაოდენობის ამობეჭდვას, რომელიც უნდა დადასტურდეს რკინიგზის მხრიდან არანაკლებ ორი პირის და ყველა მხარის უფლებამოსილი პირების მატერიალური ხელმოწერით.

**3.4.1 დანიშნულების სადგურის წერილობითი მომართვის საფუძველზე, გზადმდებარე სადგურებში, ვაგონების (კონტეინერების) კლიენტის მიზეზით დაყოვნების დროის ელექტრონული სისტემით აღრიცხვა.**

სს „საქართველოს რკინიგზის“ დანიშნულების სადგურის მხრიდან, ტვირთმიმღების მიზეზით, ვაგონების (კონტეინერების) მიუღებლობის გამო, დანიშნულების სადგურისა და სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე, ვაგონები (კონტეინერები) შეიძლება შეჩერებულ იქნას საქართველოს რკინიგზის გზადმდებარე სადგურებში ,,რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 413 მუხლის და ,,საქართველოს სარკინიგზო კოდექსის“ 25 მუხლის შესაბამისად.

გამგზავნ და გზადმდებარე სადგურებში ვაგონების (კონტეინერების) შეჩერების საფუძველია:

ა) ტვირთმიმღების (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი), დაცლა-დატვირთვის მისასვლელი ლიანდაგის (პორტის, ტერმინალის და სხვა) მესაკუთრის (მფლობელის, მოსარგებლის) მხრიდან წერილობითი მომართვა, ტვირთის გზადმდებარე სადგურებში დროებით შეჩერების შესახებ, რის საფუძველზე ტვირთის დანიშნულების სადგური DOCFLOW-ს საშუალებით ახორციელებს სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის წერილობით ინფორმირებულობას კლიენტის წერილის თანდართვით.

ბ) ტვირთმიმღების (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის), დაცლა-დატვირთვის მისასვლელი ლიანდაგის (პორტის, ტერმინალის და სხვა) მესაკუთრის (მფლობელის, მოსარგებლის) მხრიდან წერილობითი მომართვის არ არსებობის შემთხვევაში - ტვირთის დანიშნულების სადგურის წერილობითი მომართვა, რომელიც განპირობებულია დანიშნულების სადგურში (მისასვლელ ლიანდაგში, ასევე პორტში, ტერმინალში და სხვა) კლიენტის მისამართით შემოსული ვაგონების (კონტეინერების) არსებობით, რომლებზეც კლიენტის მხრიდან შეფერხებით ან საერთოდ არ ხორციელდება შესაბამისი მოცულობის სატვირთო ოპერაციები (დაცლა, დატვირთვა, ცარიელი

საკუთარი მოძრავი შემადგენლობის გაფორმება, გადამისამართება და სხვა) და შედეგად საოპერაციო აუცილებლობიდან გამომდინარე, დანიშნულების სადგურს არ გააჩნია დამატებით ვაგონების მისაღებად საჭირო ტექნიკური საშუალება.

გამგზავნ და გზადმდებარე სადგურებში, ავტომატურად დაფორმირებული საერთო ფორმის აქტებით, ელექტრონული სისტემა ვაგონების (კონტეინერების) კლიენტის მიზეზით შეყოვნებას აღრიცხავს შემდეგი წესის შესაბამისად:

დანიშნულების სადგურის მიერ, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (DOCFLOW) მეშვეობით, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტში და გზადმდებარე სადგურებში (გამგზავნ სადგურში თუ საქართველოს რკინიგზის სადგურია) იგზავნება წერილი, ვაგონების (კონტეინერების) კლიენტის მიზეზით შეჩერების შესახებ, სადაც მითითებული იქნება შეჩერების საფუძველი ან მიზეზი, 3.4.1 მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ პუნქტების შესაბამისად;

დანიშნულების სადგური, გზადმდებარე სადგურებში ვაგონების შეყოვნების ავტომატური აღრიცხვის, სისტემის გააქტიურების ინიცირებას ახორციელებს ელექტრონულად სისტემა “Shipping 2003“-ში;

სისტემაში (Shipping 2003) ვაგონების (კონტეინერების) შეჩერების შესახებ წერილის გაფორმებისას, დანიშნულების სადგურის მიერ ივსება მონაცემები, რომლებიც შემდგომში პროგრამულად უზრუნველყოფენ გამგზავნ (საქართველოს რკინიგზის სადგურის შემთხვევაში) და გზადმდებარე სადგურებში შეყოვნების აღრიცხვას;

მას შემდეგ, რაც დანიშნულების სადგური მოახდენს სისტემაში (Shipping 2003) ზემოაღნიშნული წერილის მომზადებას, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი, ელექტრონულად ადასტურებს მას, რის შემდეგაც დანიშნულების სადგურის მიმართვას ენიჭება ნომერი და აქტიურდება გზადმდებარე სადგურებში შეყოვნების ავტომატური აღრიცხვა, შედეგად საერთო ფორმის აქტები ავტომატურად ფორმირდება სატვირთო საოპერაციო სისტემა ,,RAPL“-ში;

გამგზავნ (საქართველოს რკინიგზის სადგურის შემთხვევაში) და გზადმდებარე სადგურებში, ვაგონების (კონტეინერების) შეყოვნების და აქტებით მისი აღრიცხვის დაწყების შესახებ, ტვირთმიმღების (ექსპედიტორის) ინფორმირება ხდება “Cargo.railway.ge”-ზე და მეილზე შეტყობინების გაგზავნით;

გზადმდებარე სადგურებში შეჩერებულ ვაგონებზე (კონტეინერებზე) შედგენილი ავტომატური საერთო ფორმის აქტები დასტურდება რკინიგზის ელექტრონული შტამპით, ხოლო დანიშნულების სადგურში ტვირთის გაცემისას კლიენტი ვალდებულია მოახდინოს გზადმდებარე სადგურებში დაფორმირებული საერთო ფორმის აქტების ელექტრონული ხელმოწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთი არ გაიცემა ,,კლიენტის“ მიზეზით;

ავტომატურად დაფორმირებული აქტების მეშვეობით, კლიენტის მიზეზით გზადმდებარე სადგურებში (გამგზავნ სადგურში თუ საქართველოს რკინიგზის სადგურია) ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების დროის აღრიცხვა იწყება:

ა) შეყოვნების აღრიცხვის სისტემაში მითითებული შეყოვნების დაწყების პირველივე წუთიდან თუ ამ მომენტისათვის ვაგონი (კონტეინერი) უკვე იმყოფება გზადმდებარე სადგურში;

ბ) გზადმდებარე სადგურში ვაგონის (კონტეინერის) შესვლის მომენტიდან, თუ ამ დროისთვის უკვე გააქტიურებულია შეყოვნების ელექტრონული აღრიცხვა;

ა) და ბ) შემთხვევებში სადგურებში მატარებლების დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური დროიდან და საწარმოო პრაქტიკიდან გამომდინარე თუ გზადმდებარე სადგურებში ვაგონი (კონტეინერი) შეყოვნდა ქვემოაღნიშნული დროზე ნაკლები პერიოდით, სისტემა მათზე შეყოვნების დარიცხვას არ ახორციელებს, კერძოდ: სადახლო და გარდაბანი 3 სთ, ზესტაფონი და ხაშური - 2სთ 10წთ, თბილისი-მახარისხებელი და სამტრედია - 2სთ 45წთ, სხვა დანარჩენი სადგურის შემთხვევაში - 1 სთ;

გ) საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურის შემთხვევაში თუ შეყოვნება გააქტიურდა:

- ვაგონებზე (კონტეინერებზე) „ოპერაციის დასრულების“ დროის შემდგომ - შეყოვნების აღრიცხვის სისტემაში მითითებული შეყოვნების დაწყების დროით;
- ვაგონებზე (კონტეინერებზე) საკუთარი ვაგონების რკინიგზის თბომავლით მომსახურებისას ,,ვაგონების აკრეფის დროის" შემდგომ - შეყოვნების აღრიცხვის სისტემაში მითითებული შეყოვნების დაწყების დროით;
- ვაგონებზე (კონტეინერებზე) „ოპერაციის დასრულების“ დრომდე - „ოპერაციის დასრულების“ დროით;
- ვაგონებზე (კონტეინერებზე) საკუთარი ვაგონების რკინიგზის თბომავლით მომსახურებისას ,,ვაგონების აკრეფის“ დრომდე - „ვაგონების აკრეფის“ დროით;

გზადმდებარე სადგურებში (გამგზავნ სადგურში თუ საქართველოს რკინიგზის სადგურია) შეჩერებული ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნებაზე შედგენილ საერთო ფორმის აქტებში, შეყოვნების დასრულების აღრიცხვას სისტემა ახორციელებს:

ა) სადგურიდან ვაგონების (კონტეინერების) გასვლის დროს;

ბ) ვაგონის (კონტეინერის) გადამისამართების შემთხვევაში, ოპერაციის დაწყების დროს;

**შეყოვნების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მოქმედების შეჩერება ან მასში კორექტირების შეტანა**

დანიშნულების სადგურის მიერ, დოკუმენტბრუნვის (DOCFLOW) პროგრამის მეშვეობით, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტში და გზადმდებარე სადგურებში იგზავნება წერილი, ვაგონების (კონტეინერების) მიღებაზე შეზღუდვის მოხსნის შესახებ, სადაც მითითებული იქნება შეზღუდვის მოხსნის საფუძველი მათ შორის კლიენტის წერილობითი მომართვა (კლიენტის წერილის არსებობის შემთხვევაში, წერილს უნდა დაერთოს „მიბმული ფაილის“ სახით) და სხვა;

სისტემაში (Shipping 2003) ვაგონების (კონტეინერების) შეჩერების შესახებ წერილში დანიშნულების სადგურის მიერ პროგრამულად ხდება „წერილის ვაგონების შეჩერებაზე“ შეჩერების მოქმედების დასრულების იმ დროის მითითება, რა დროსაც დანიშნულების სადგური მუთითებს (DOCFLOW)-ს მეშვეობით შეზღუდვის მოხსნის შესახებ წერილში;

მას შემდეგ, რაც დანიშნულების სადგური მოახდენს სისტემაში (Shipping 2003) წერილში შეჩერების დასრულების დროის მითითებას, სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი, ელექტრონულად ადასტურებს აღნიშნულს, რის შემდეგაც ვაგონზე (კონტეინერზე) მოიხსნება შეზღუდვა შეჩერების შესახებ;

გზადმდებარე სადგურებში, ვაგონების (კონტეინერების) მიღების შეზღუდვის მოხსნაზე კლიენტების ინფორმირება ხდება “Cargo.railway.ge”-ს და მეილის საშუალებით;

კლიენტის მიზეზით ავტომატურად დაფორმირებული საერთო ფორმის აქტების პარალელურად, სატვირთო საოპერაციო სისტემა ,,RAPL“-ი იძლევა საშუალებას საქართველოს რკინიგზის სადგურების მიერ გაიხსნას ელექტრონული საერთო ფორმის აქტები, როგორც არაკლიენტის ასევე კლიენტის მიზეზით, რომელთა გადატანა „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემაში (Billing)“ არ უნდა განხორციელდეს.

**3.5 დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი**

სადგურში დამატებითი მომსახურების გაწევისას: კლიენტის მოთხოვნით დამატებით რკინიგზის კუთვნილი სამანევრო ლოკომოტივით მომსახურებისას, ტვირთის დახურულ საწყობში ან ღია მოედანზე შენახვისას, რკინიგზის საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისას, საკეტ-საპლომბი მოწყობილობების რეალიზაციისას, სწრაფი დაბრუნების რეჟიმში მყოფი ვაგონებით სარგებლობისას, ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად დაგეგმილი მიწოდების თარიღის დაგვიანებით კორექტირებისას, მიწოდებული ვაგონის არშემდგარი დატვირთვისას სადგურის მომსახურების საფასურის, მიმდინარე-ახსნითი სტანდარტული შეკეთებისას, ვაგონის დაჩქარებული წესით გამოყოფისას, ვაგონის/კონტეინერის

რეგულირების წესით შემოყვანისას და სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული სხვა სახის მომსახურებისას იწარმოება დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი.

სავალდებულოა შესაბამისი მომსახურების ყველა გრაფის შევსება.

დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი იწარმოება ელექტრონულ ფორმატში. ელექტრონული წესით წარმოებული დარიცხვის ბარათი დასტურდება რკინიგზისა და კლიენტის ელ. ხელმოწერებით.

გამონაკლის შემთხვევაში, დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი მატერიალური სახით იწარმოება სამ ეგზემპლარად: პირველი ეგზემპლარი ეგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურს; მეორე გადაეცემა კლიენტს; მესამე რჩება რკინიგზის სადგურში.

დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათს ხელს აწერს სადგურის უფროსი ან მისი მოადგილე ან კლიენტის მომსახურების ოპერატორი და კლიენტი.

დანომრილი დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათის ცარიელი ბლანკები ეგზავნება სადგურებს, რომელიც წარმოადგენს შიდა მკაცრი აღრიცხვის საბუთს.

### 3.6 სატვირთო გადაზიდვის დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში წარმოების ცალკეული პირობები

**3.6.1 გამონაკლისი შემთხვევები** - სატვირთო გადაზიდვების დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში წარმოებისას, როდესაც რკინიგზის მიზეზით ვერ ხერხდება ელექტრონული ფორმატში დოკუმენტების წარმოება ან/და ელ. ხელმოწერა - სადგური ვალდებულია -შეადგინოს აქტი (ჩვეულებრივი ფორმის) შეფერხების მიზეზის და პერიოდის დაიქსირებით, არ შეაფერხოს მიწოდება/გამოტანისა და დაცლა/დატვირთვის ოპერაციები. პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ უზრუნველყოს ელექტრონულ ფორმატში შესაბამისი დოკუმენტაცის წარმოება ოპერაციის განხორციელების ფაქტიური დროის მითითებით და შესაბამისი ხელმოწერებით.

#### 3.6.2 ტვირთის გადასაზიდად მიღებისას ელექტრონული ფორმატში გადაზიდვის დოკუმენტაციის წარმოების გამონაკლისი პირობა

რკინიგზაზე მოქმედი წესების შესაბამისად, გზავნილის გაფორმების (განიხვრის) დროს წარმოადგენს გადაზიდვის დოკუმენტზე კალენდარული შტემპელის დასმის თარიღი, ხოლო სისტემაში პროგრამულად განიხვრა ხორციელდება იმ დროით, როცა PDF ფაილი დაფორმირდება კლიენტისათვის ხელმოწერის მიზნით გადასაგზავნად. იმ შემთხვევაში, როდესაც ელ. ზედნადების PDF ფაილის დაფორმირება (განიხვრა) და ტვირთის გადასაზიდად მიღება ( ელ. ზედნადებზე კალენდარული შტემპელის დასმის თარიღი) ვერ ხორციელდება ერთი და იგივე თარიღში, საჭიროა:

ა) თუ კლიენტის ხელმოწერა ზედნადებზე და ,,სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროში“ ,,ოპერაციის დასრულების“ თარიღის შეტანა განხორციელდა საანგარიშო დღის 24 სთ-მდე, სადგურს ტვირთის გადასაზიდად მიღებისას, ელექტონული შტამპის იმავე დღის თარიღით დასასმელად, მიეცეს ვადა მომდევნო დღის 02:00 სთ-მდე.

ბ) თუ კლიენტის ხელმოწერა ზედნადებზე ან ,,სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროში“ ,,ოპერაციის დასრულების“ თარიღის შეტანა ვერ განხორციელდა საანგარიშო დღის 24 სთ-მდე, უნდა მოხდეს ფორმირებული ელექტრონული ზედნადების შესაბამისი PDF-ის ავტომატურად გაუქმება და მისი ახალი თარიღით დაფორმირება სადგურის მიერ.

#### 3.6.3 კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, სადგურიდან გაგზავნამდე, გადასაზიდად გაფორმებული დატვირთული ვაგონის გადაზიდვაზე უარის შემთხვევაში, უკან დატვირთვის ადგილზე მიწოდებით

კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მსგავსი გადაზიდვის გაუქმება- გასაწევი მომსახურების საფასურების სრულად გადახდის შემდეგ, რისთვისაც სადგურის თანამშრომლის მიერ სატვირთო გადაზიდვების საოპერაციო სისტემაში შესაბამის ზედნადებში დანიშნულების სადგური უნდა შეიცვალოს ზედნადების გამფორმებელი სადგურით. გადაზიდვის ღირებულება არ

გაითვალისწინება სისტემის მიერ, ხოლო სადგურის 24 საათზე მეტი მომსახურების საფასური დაიანგარიშება ვაგონზე დატვირთვის ოპერაციის დაწყებიდან დაცლის ოპერაციის დასრულებამდე, არსებული წესის შესაბამისად.

### 3.6.4 საკუთარი ჩიხიდან საკუთარი ვაგონით ტვირთის გადამისამართება

რკინიგზაზე მოქმედი წესებით დანიშნულების სადგურში საკუთარი (იჯარა, არენდირებული) ვაგონით მისული ტვირთის კლიენტის კუთვნილ ლიანდაგში ვაგონზე ოპერაციით _ ,,დასაცლელად“ მიწოდების შემდეგ ,,ოპერაციის დასრულების დრო“ არის იგივე, რაც ,,მიწოდების დრო“ ან იგივე რაც ,,ოპერაციის დაწყების დრო“. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ვაგონი ფიზიკურად არ არის დაცლილი, ელექტრონულ სისტემაში გაფორმებულია ვაგონის დაცლის ოპერაცია. ამავე ვაგონით ტვირთის გადამისამართების შემთხვევაში საჭიროა სისტემურად ვაგონს კვლავ აღუდგეს „დატვირთულის“ სტატუსი, რისთვისაც უნდა შედგეს გადამისამართების სათანადო გადაზიდვის დავალება და გაფორმდეს ელექტრონული სამახსოვრო „დატვირთვაზე“. სისტემა მას აღიქვავს როგორც დატვირთულს და შესაძლებელი იქნება მისი გადამისამართება არსებული წესებით.

### 3.6.5 საკუთარი ვაგონის საკუთარ ჩიხში მიწოდება/გამოტანისას ხელმოწერების გახორციელების წესი

საკუთარი (იჯარა, არენდირებული) ვაგონის საკუთარ ჩიხში მიწოდებისას ,,ოპერაციის დაწყების დრო“ იგივეა რაც ,,მიწოდების დრო“ და იგივეა რაც ,,ოპერაციის დასრულების დრო“, სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების“ მიხედვით გამგზავნი ან დანიშნულების სადგურის მომსახურება საკუთარი ვაგონებისთვის გულისხმობს მხოლოდ მიწოდების ან გამოტანის ოპერაციას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთარი (იჯარა, არენდირებული) ვაგონის საკუთარ ჩიხში მიწოდებისას ან გამოტანისას ,,სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროზე“ ხელმოწერა რკინიგზის წარმომადგენლის და კლიენტის მხრიდან გახორციელდეს თითოჯერ, ვინაიდან რეალურად ერთი სამახსოვროთი ხდება მხოლოდ ვაგონის კლიენტისთვის ჩაბარების ან მისგან მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურება.

### 3.6.6 სარკინიგზო ბორნების მომსახურებისას სამახსოვროს წარმოების წესი

ბორანზე აგორება-ჩამოგორების მომსახურების საფასურების აღება ხდება ელ. სამახსოვროთი, რომელიც „სატვირთო საოპერაციო სისტემის“ მიერ ფორმირდება ავტომატურად. აღნიშნული სამახსოვროების ელ. ხელმოწერით დადასტურება არ ხორციელდება.

## 3.7. ელექტრონული სატვირთო საბუთების კორექტირება.

ელექტრონულ ფორმატში წარმოებული დოკუმენტაციის კორექტირება გახორციელდეს დანართი 12-ის - ,,ელექტრონული სატვირთო საბუთების კორექტირების ინსტრუქციის“ - მიხედვით.

## 3.8. გზადმდებარე სადგურებში რკინიგზისგან დამოუკიდებელი მიზეზით ტვირთის გადაზიდვის შეფერხებისას მოქმედების წესი

გზადმდებარე სადგურებში, რკინიგზისგან დამოუკიდებელი მიზეზით (ადმინისტრაციული უწყებების მხრიდან შესაბამისი ფორმალობების განსახორციელებლად შეჩერება, ტვირთგამგზავნის მიერ გადაზიდვის წესების მოთხოვნის უგულებელყოფა და სხვა მიზეზები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების და ექსპედიტორის მიერ ადგილობრივი თუ საერთაშორისო სარკინიგზო ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად) ვაგონის/კონტეინერის გადაზიდვის შეფერხებისას, რკინიგზის სადგური მოქმედებს არსებული წესების შესაბამისად და ახორცილებს მომსახურების თანხების დარიცხვას, კერძოდ:

ა) ვაგონის/კონტეინერის მატარებლიდან ახსნის გარეშე - გზადმდებარე სადგური ახდენს 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის აღრიცხვას საერთო ფორმის აქტით, ფაქტიური დროით - გზადმდებარე სადგურში შეფერხების გამოვლენის მომენტიდან შეფერხების აღმოფხვრის მომენტამდე ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ცხრილის განსაზღვრული საფასურების შესაბამისად;

ბ) ვაგონის/კონტეინერის მატარებლიდან ახსნის შემთხვევაში, ვაგონს (მათ შორის კონტეინერებით დატვირთულს) ერიცხება ,,გზამდებარე სადგურებში კლიენტის მიზეზით გადაზიდვის შეფერხების აღმოფხვრის მომსახურების საფასური" ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების" შესაბამისად, რომელიც მოიცავს რკინიგზის სადგურის ფარგლებში (სპეციალიზებული ლიანდაგი, საერთო სარგებლობის ლიანდაგი, ტექნიკური მომსახურების პუნქტი, სავაგონო დეპო, მისასვლელი ლიანდაგი და სხვა) კლიენტის მიზეზით სავაგონო/საკონტეინერო გზავნილის ახსნას, შესაბამის ლოკაციაზე განთავსებას, პრობლემის აღმოფხვრის შემდგომ მატარებელში დაბრუნებას და საჭიროების შემთხვევაში გადაზიდვის დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. ამასთან ერთად, გზადმდებარე სადგური ახდენს 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის აღრიცხვას ამ მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) თუ გზამდებარე სადგურში სავაგონო/საკონტეინერო გზავნილის ახსნის შემდგომ, კლიენტის მოთხოვნით წუნის აღმოფხვრის მიზნით მისი გადაგზავნა ხორციელდება სხვა სადგურში, წუნის აღმომფხვრელი სადგური დამატებით არიცხავს ,,გზამდებარე სადგურებში კლიენტის მიზეზით გადაზიდვის შეფერხების აღმოფხვრის მომსახურების საფასურს". ამასთან ერთად, წუნის აღმომფხვრელი გზადმდებარე სადგური ახდენს 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის აღრიცხვას ამ მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. თუ შეფერხების აღმოსაფხვრელად საჭიროა ვაგონის სხვა სადგურში ტრანსპორტირება, რომელიც არ მდებარეობს დაგეგმილი გადაზიდვის მარშრუტის მიმართულებით, კლიენტს დამატებით ერიცხება გადაზიდვის ღირებულების საფასურიც.

გზამდებარე სადგურებში კლიენტის მიზეზით გადაზიდვის შეფერხების აღმოფხვრის მომსახურების საფასური" არ ერიცხება:

- მხოლოდ ტექნიკური მიზეზით სტანდარტულ-არასტანდარტულ მიმდინარე ახსნით შეკეთებაზე ახსნილ ვაგონებს. საკუთარი/იჯარით გაცემული ვაგონების სტანდარტული-არასტანდარტული მიმდინარე ახსნითი შეკეთების პროცესი და საფასურები რეგულირდება ცალკე წესით.
- დანიშნულების სადგურის წერილობითი მომართვის საფუძველზე, გზადმდებარე სადგურებში, ვაგონების (კონტეინერების) კლიენტის მიზეზით დაყოვნებისას.

## მუხლი 4. შესწორების ვაუჩერი

შესწორების ვაუჩერის (დანართი №8 ) გამოყენებისა და შევსების წესი განსაზღვრულია სს „საქართველოს რკინიგზა"-ს გენერალური დირექტორის 2006 წლის 17 ოქტომბრის N724/გ ბრძანებით.

შესწორების ვაუჩერი დგება იმ ფაქტის შესახებ, რომელიც ხდება ცნობილი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ და ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ იყო შესაბამისად ასახული.

შესწორების ვაუჩერის შედგენის საფუძველი შეიძლება იყოს:

- **რევიზიის აქტები** - სატვირთო და კომერციული საქმიანობის დოკუმენტური შემოწმების აქტები შიდა სარევიზიო სამსახურების ან გარე უწყებების მიერ;

- **ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილი შეტყობინებები** - საბაჟო რეჟიმის ცვლილების შესახებ;
- **სასამართლოს გადაწყვეტილებები** - სადაო თანხების დარიცხვის ან მოხსნის შესახებ;
- **სადგურის უფროსის ან სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის ოპერატორების მოხსენებითი ბარათები** - რკინიგზის თანამშრომლების მიერ დარიცხვის ან გადახდის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების არასწორად შედგენის ან ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეცდომით შეტანის შესახებ;
- სხვა.

შესწორების ვაუჩერი დგება იმ შემთხვევაში, თუ ,,სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში" მოხდა კლიენტზე თანხის არასწორი გატარება. შესწორების ოპერაციების სახეებია: გადახდის/ვალის კორექტირება; დარიცხვის კორექტირება; დღგ-ს კორექტირება. გრაფაში ,,შესწორების თანხა" კორექტირების თანხა მიეთითოს საჭიროებისამებრ მინუსით ან პლიუსით.

შესწორების ვაუჩერს ადგენს განყოფილების უფროსი ან მთავარი ბუღალტერი ან უფროსი ოპერატორი. შესწორების ვაუჩერში უნდა აღინიშნოს შედგენის თარიღი; კლიენტის დასახელება და მისი სს ,,საქართველოს რკინიგზასთან" ანგარიშსწორების კოდი; ოპერაციის სახე; საწყისი თანხა; საბოლოო თანხა. ერთი ვაუჩერით ნებადართულია ერთ კლიენტზე ხუთი შესწორების ოპერაციის განხორციელება, ხოლო გრაფაში ,,შესწორების მიზეზი" მიეთითოს შესწორების საფუძველი და წერილობითი განცხადების ნომერი.

შესწორების ვაუჩერი შედგეს 2 ეგზემპლარად, რომელსაც ხელს მოაწერენ შემსრულებელი, განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი, ცენტრის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ერთი ეგზემპლარი თან დაერთოს წერილობით დოკუმენტს და უნდა ინახებოდეს შესწორების განმხორციელებელთან, ხოლო მეორე უნდა გადაეცეს კლიენტს.

## მუხლი 5. გადახდების მიღების წესი

სს „ საქართველოს რკინიგზის" სატვირთო გადაზიდვებისა და დამატებითი მომსახურების ანაზღაურება შესაძლებელია უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორებით. ანგარიშსწორების ვალუტებს წარმოადგენს ლარი, აშშ დოლარი, შვეიცარული ფრანკი, გირვანქა სტერლინგი და ევრო გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით.

უნაღდო ანგარიშსწორების წარმოება შესაძლებელია სს „საქართველოს რკინიგზის" საბანკო ანგარიშებზე (დანართი №9) მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად და ასევე ინტერნეტბანკინგის გამოყენებით.

სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამასახურის გადახდების განყოფილება ახდენს თითოეული დადასტურებული გადარიცხვის დაფიქსირებას „ერთიან ელექტრონულ სისტემაში" კლიენტის შესაბამის ბარათზე ასახვით.

სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამასახური ახდენს პერიოდულ დადარებას ბანკში ჩარიცხული თანხებისა და სისტემაში ასახული გადახდების იდენტურობის დადგენის მიზნით.

სატვირთო მომსახურების ღირებულების დაგვიანებით გადახდის შემდეგ კლიენტის მიერ გადახდილი თანხით თავდაპირველად დაიფარება საურავი, ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდგომ სადგურის დამატებითი მომსახურება (24 საათზე მეტი, რკინიგზის საშუალებით დატვირთვა - გადმოტვირთვა, რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივი, ტვირთის შენახვა, საკეტ - საპლომბი მოწყობილობა, სწრაფი დაბრუნების რეჟიმი და სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული სხვა სახის მომსახურება), ხოლო ბოლოს სადგურის მომსახურება და გადაზიდვის ღირებულება.

კლიენტის მხრიდან ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელია სატვირთო ოპერაციებისათვის გახსნილ სადგურებში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელება ნებადართულია :

- კლიენტის მომსახურების ოპერატორისათვის;
- კლიენტის მომსახურების უფროსი ოპერატორისათვის;
- სადგურის უფროსის მოადგილისათვის;
- სადგურის უფროსისათვის.

აღნიშნული პირები მატერიალურად პასუხისმგებლები არიან ფულადი ოპერაციების განხორციელების სისწორეზე და შესაძლო დანაკლისის შემთხვევაში პირადად აგებენ პასუხს შესაბამის თანხაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სადგურში ნაღდი ანგარიშსწორებისას თანხის მიღება ხდება სხვადასხვა ანაკრეფის ქვითრით, ფორმა გუ-57 (დანართი №10). აღნიშნული ქვითარი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხის საბუთს, რომელიც შედგება სამი ეგზემპლარისაგან. პირველი გადაეცემა კლიენტს, მეორე იგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამასახურში, ხოლო მესამე - რჩება სადგურში.

სავალდებულოა სხვადასხვა ანაკრეფის ქვითარში ყველა გრაფის სრულად შევსება.

დანომრილი ქვითარი ეგზავნება სადგურებს და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის საბუთს.

სალაროს საოპერაციო დღის დაწყება იდენტურია კალენდარული დღის დაწყების დროისა.

## მუხლი 6. დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვის წესი

დღგ-ს დარიცხვა ან გათავისუფლება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ყველა სახის სარკინიგზო მომსახურებაზე (გადაზიდვის ღირებულება, დამატებითი საფასურები).

საბაჟო რეჟიმები დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ქვენორმატიული აქტების შესაბამისად, კერძოდ:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს N257 ბრძანება ,,საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორემბის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" .

კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერა ხორციელდება შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 2 თებერვლის №14 წინასწარი გადაწყვეტილების (შპს „საქართველოს რკინიგზის" მიერ განხორციელებული დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების თაობაზე) შესაბამისად.

**დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურები ფორმირდება ავტომატურად საანგარიშო თვის დახურვის შემდეგ და აიტვირთება შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე.**

## მუხლი 7. მოცულობითი გადაზიდვების აღრიცხვა

მოცულობითი შეღავათის კოეფიციენტებისა და მოცულობითი ტარიფების გავრცელების პირობები განსაზღვრულია სს „ საქართველოს რკინიგზის" ,, სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების " მე - 7 მუხლით.

მოცულობითი შეღავათის კოეფიციენტები და მოცულობითი ტარიფები ვრცელდება კალენდარული წლის (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის) განმავლობაში გადაზიდულ ტვირთებზე, ხოლო გადაზიდულ მოცულობაში ჩაითვლება ტვირთის ის რაოდენობა, რომლის დანიშნულების სადგურში მისვლის თარიღი ან საქართველოს გამსვლელი სასაზღვრო სადგურის გადაკვეთის (გადაცემის) თარიღი შეესაბამება მოცულობითი შეღავათის კოეფიციენტების და მოცულობითი ტარიფების გავრცელების პერიოდს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## მუხლი 8. სატვირთო მომსახურების ღირებულების შემოსავალში აღების წესი

8.1 **ტვირთის გადაზიდვის ღირებულების** შემოსავალში აღება ხდება დანიშნულების სადგურში მისვლის თარიღის (კალენდარულ შტემპელზე მითითებული) ან საქართველოს გამსვლელი სასაზღვრო სადგურის გადაკვეთის (გადაცემის) თარიღის მიხედვით.

8.2 **სადგურის მომსახურების ღირებულების** შემოსავალში აღება ხდება სადგურის მომსახურების დასრულების დღით, კერძოდ, სამახსოვროში მითითებული ოპერაციის დასრულების თარიღის მიხედვით.

8.4 **დამატებითი მომსახურების საფასურების (გარდა 24 საათზე მეტისა)** შემოსავალში აღება ხდება სადგურში დამატებითი მომსახურების გაწევის მომენტისათვის, კერძოდ, დარიცხვის ბარათის გაფორმების თარიღის მიხედვით.

8.5 **აუთვისებლობის საფასურის** შემოსავალში აღება ხდება გადაზიდვის დავალების მითითებული მოქმედების ვადის დასრულების თარიღის მიხედვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კლიენტი წერილობით ითხოვს გადაზიდვის დავალების გაუქმებას, გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში აუთვისებლობის საფასურის შემოსავალში აღება მოხდება კლიენტის წერილის სს „ საქართველოს რკინიგზის “ კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.

აუთვისებლობის საფასურის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის ბოლო დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კლიენტი წერილობით ითხოვს გადაზიდვის დავალების გაუქმებას, გადაზიდვის დავალების მოქმედების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში, აუთვისებლობის საფასურის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება კლიენტის წერილის კანცელარიაში რეგისტრირების თარიღის მიხედვით.

## მუხლი 9. სარკინიგზო მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი

სს „საქართველოს რკინიგზა“ უფლებამოსილია, უარი განაცხადოს სარკინიგზო მომსახურების გაწევაზე, თუ კლიენტს (გადამხდელი, ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები) გააჩნია სატვირთო გადაზიდვებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) აღნიშნულ დავალიანებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა და გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული;

ბ) აღნიშნულ დავალიანებაზე არსებობს რკინიგზის წინააღმდეგ მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება;

გ) არ არის გასული 14 დღიანი ვადა კლიენტისათვის დავალიანების ნებაყოფლობით დაფარვის შესახებ წერილობითი მიმართვის წარდგენიდან;

დ) კლიენტთან გაფორმებულია ვალის აღიარების/განწილვადების ხელშეკრულება;

ე) კლიენტს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ გააჩნია ვადამოსული ფულადი მოთხოვნა და თანახმაა სატვირთო გადაზიდვებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანება დაიფაროს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით;

ვ) კლიენტთან გაფორმებულია ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ზემოაღნიშნულს.

## მუხლი 10. ტვირთის გადამისამართება საერთაშორისო გადაზიდვებისას

რკინიგზით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვებისას საქართველოს რკინიგზის სადგურების დანიშნულებით (მათ შორის გზადმდებარე სადგურებში შეჩერებული) ვაგონებით/კონტეინერებით მიღებული ტვირთის გადამისამართება სხვა ქვეყნის რკინიგზის სადგურის, ასევე საქართველოს რკინიგზის სადგურებში დატვირთული ვაგონების/ კონტეინერების სხვა ქვეყნის დანიშნულებით გადამისამართება ხორციელდება:

1. ტვირთგამგზავნის/ტვირთმიმღების განაცხადის საფუძველზე, ტვირთმიმღებზე ტვირთის ფაქტიურ გაცემამდე, ახალი ზედნადების გაფორმებით, საბაჟო ორგანოების მიერ გადამისამართებაზე თანხმობის შემთხვევაში.
2. სხვა ქვეყნების გადამზიდავებთან გადაზიდვის შეთანხმების არსებობისას, ,,საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შეთანხმების“ (СМГС) მოთხოვნათა შესაბამისად;
3. საკუთარი/იჯარა მოძრავი შემადგენლობის სხვა ქვეყნის რკინიგზის სადგურში გადამისამართება შესაძლებელია მხოლოდ მისი მფლობელის/მოიჯარის შესაბამისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე;
4. მალფუჭებადი ტვირთის გადამისამართება დასაშვებია იმ პირობით, რომ ტვირთი შეიძლება მიტანილი იქნას ახალი დანიშნულების სადგურამდე ხარისხის სერტიფიკატში მითითებულ ვადაში

და მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვის წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით;

5. დაუშვებელია ტვირთის გადამისამართება დანაკლისის, დაზიანების (გაფუჭების) ნიშნებით, ასევე გაუმართავი დამღით, (სსმ), ტემპერატურის რეჟიმის დარღვევით და გზადმდებარე სადგურების აქტებით;

6. ტვირთის მისამართის შეცვლის ნებართვაში (გადაზიდვის დავალებაში) მიეთითება ახალ დანიშნულების და გზადმდებარე სარკინიგზო ადმინისტრაციებთან (გადამზიდავებთან) შეთანხმების საფუძვლები (ელ. წერილის N და თარიღი, N) და საკუთარი/იჯარა მოძრავი შემადგენლობის გადამისამართებისას მისი მფლობელის/მოიჯარის თანხმობა (ელ-წერილის N და თარიღი ან სხვა საფუძველი);

გადამისამართების ნებართვის გაცემის შემდეგ სადგურის მიერ გადამისამართება ხორციელდება:

6.1 შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან გზავნილის შესაბამის საბაჟო რეჟიმში (რეექსპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი ან სხვა საბაჟო რეჟიმში) მოქცევის შემდგომ;

6.2 ტვირთის გადაზიდვის ახალი საბუთების გაფორმებით;

6.3 ,,სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურებით'' დადგენილი საფასურების გადახდის შემდგომ;

6.4 ძველ საბუთში მიეთითება გადამისამართების საფუძველი, ახალი ზედნადების ნომერი და გასვლის სასაზღვრო სადგურის დასახელება;

6.5 გადაზიდვის ახალი ზედნადების შესაბამის გრაფაში, რომელიც განკუთვნილია გადამზიდველის აღნიშვნებისთვის და გადამისამართების რკინიგზის სადგურზე დარჩენილ შესაბამის ეგზეპლარზე ,,ტვირთის მიღების ფურცელზე“ ზედა ნაწილში კეთდება ჩანაწერი - "ტვირთის გადამისამართების საფუძველი _____ (საბუთის დასახელება ) თარიღი __ _____ ___ N _____, თავდაპირველი ზედნადები N _____ სადგური და გამგზავნი რკინიგზა __________ შემოსვლის სასაზღვრო სადგური ________ (მიეთითოს შემოსვლის სასაზღვრო რკინიგზის სადგურის დასახელება)". ჩანაწერი მოწმდება რკინიგზის სადგურზე გადამზიდავის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და გადამზიდველის კალენდარული შტემპელით.

6.6 ვაგონის/კონტეინერის გადამისამართება ტვირთგამგზავნის გამართული პირველადი დამღებით ან საკეტ-საპლომბი მოწყობილობით (სსმ) ხორციელდება დამღის და სსმ მოხსნის გარეშე, რომლებიც შემდგომ ითვლება ახალი ტვირთგამგზავნის დამღად, (სსმ). ამ შემთხვევაში, ზედნადების ტვირთის დასახელების შესაბამის გრაფაში, ტვირთის დასახელების ქვევით, ტვირთმიმღები აკეთებს შენიშვნას: ”ვაგონი გადამისამართებულია თავდაპირველი ტვირთგამგზავნის გამართული დამღებით“ (სსმ).

ტვირთმიმღებს ასევე აქვს უფლება გადამისამართება განახორციელოს არსებული თავდაპირველი ტვირთგამგზავნის დამღის (სსმ) მოხსნით და ახლის დადებით, საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტვირთის დანიშნულების ადგილის შეცვლის ყველა შემთხვევაში, ტვირთმიმღები, რომლის განაცხადის საფუძველზეც განხორციელდა ასეთი ცვლილება, შესაბამისად პასუხისმგებელია თავდაპირველი ტვირთგამგზავნის წინაშე ამ ცვლილების შედეგების შესახებ.

გადამისამართების განმცხადებელი (ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები) პასუხისმგებელია გადამზიდავის წინაშე გადამისამართების განაცხადში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე.

საქართველოს რკინიგზის გავლით ტრანზიტულად მიმავალი ვაგონების/კონტეინერების გადამისამართება ხდება რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილი წესის შესაბამისად''.

## მუხლი 11. ტვირთმიმღებისათვის ტვირთის მოსვლასთან დაკავშირებული შეტყობინების გადაცემის პროცედურა

11.1 სს „საქართველოს რკინიგზის“ სადგურები, რომლებიც გადაზიდვის პროცესში მონაწილეობენ როგორც დანიშნულების სადგურები, უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან ტვირთმიმღებს შეატყობინონ ტვირთის მოსვლის შესახებ და დაიწყონ მომსახურების დროის აღრიცხვა შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სატვირთო ოპერაციებისათვის გახსნილი ყველა სადგური ვალდებულია ტვირთის (ვაგონის) მოსვლიდან არაუგვიანეს 2 საათისა შეატყობინოს ტვირთმიმღებს ტვირთის მოსვლის შესახებ, შეტყობინების გადაცემის ზუსტი დროიდან გახსნას საერთო ფორმის აქტი და დაიწყოს მომსახურების დროის აღრიცხვა კლიენტის მიზეზით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ტვირთმიმღების მიზეზით ვაგონის სადგურში შემოსვლიდან ორ საათში იხსნება საერთო ფორმის აქტი და იწყება მომსახურების დროის აღრიცხვა კლიენტის მიზეზით.

11.2 სატვირთო ოპერაციებისათვის გახსნილი სადგურები, დადგენილი წესით ახორცილებენ, ტვირთის მოსვლის შესახებ, ტვირთმიმღებების მიერ ტვირთის მოსვლის შეტყობინების მიმღები პასუხისმგებელი პირებისათვის, შეტყობინების გადაცემას 24 საათიან რეჟიმში, ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში აუცილებელი ჩანაწერის გაკეთებით, შესაბამისი პირის - სახელი, გვარის, შეტყობინების გადაცემის ზუსტი დროის და ტელეფონის ნომრის მითითებით.

ტვირთმიმღების მიზეზით, საკონტაქტო პირისათვის შეტყობინების ვერ გადაცემის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, კონკრეტული მიზეზის (ტელეფონი გამორთულია; აბონენტი მიუწვდომელია; აბონენტი არ პასუხობს და სხვა) აუცილებელ დაფიქსირებას ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში.

11.3 სატვირთო ოპერაციებისათვის გახსნილ სადგურებში, რომლებშიც საშტატო განრიგით ღამის ცვლაში არ არის გათვალიწინებული კომერციული ქმედების მუშაობა, საღამოს 20:00 სთ-დან დილის 08:00 სთ-მდე პერიოდში შემოსულ ტვირთზე ტვირთმიმღებს გადაეცემა შეტყობინება, მის სახელზე შემოსული ტვირთის შესახებ მომდევნო სამუშაო დღის არაუგვიანეს 10:00 საათისა. (20:00-დან 00:00-მდე შემოსული ტვირთისათვის არაუგვიანეს მომდევნო დღის 10:00 საათისა, ხოლო 00:00-საათიდან 08:00-მდე შემოსული ტვირთისათვის არაუგვიანეს იმავე დღის 10:00 საათისა). შესაბამისად, საერთო ფორმის აქტი იწარმოება ფაქტიურად გადაცემული შეტყობინების დროით.

## მუხლი 12. საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საბაჟო კონტროლის განხორციელება

საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საბაჟო კონტროლის განხორციელება, რაც შეიძლება მოიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის რაოდენობის ან/და საქონლის სახეობათა რაოდენობის სისწორის ან/და საქონლის მიმართ დაწესებული აკრძალვებსა და შეზღუდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმებას და რომლის განხორცილების შედეგად სს ,,საქართველოს რკინიგზას“ წარმოექმნება დამატებით საექსპლუატაციო ხარჯები, ტვირთმიმღები ან სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებულია, წარმოადგინოს წერილობითი მოთხოვნა, აღნიშნული კონტროლის განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების სრულად ანაზღაურების შესახებ. წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ სს ,,საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტი და შესაბამის სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ არსებული წესების მოთხოვნათა შესაბამისად. კლიენტის (ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან მათი უფლებამოსილი პირი) წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, სატვირთო გადაზიდვების დეპარატმენტთან შეთანხმებით, სადგური ახორციელებს ვაგონების (კონტეინერების) მიწოდებას საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით. საბაჟო პროცედურების განხორციელების განმავლობაში სადგურის 24 საათზე მეტი მომსახურების დროის აღრიცხვა გრძელდება საერთო ფორმის აქტის საშუალებით კლიენტის მიზეზით (შენიშვნის გრაფაში საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული მიწოდების ფაქტის მითითებით), რომელიც იხურება საბაჟო პროცედურების დასრულების შემდეგ. აღნიშნული აქტის დახურვის შემდგომ თუ ზემოაღნიშნული საბაჟო პროცედურა განხორციელდა ტვირთის საბოლოო დანიშნულების მისასვლელ ლიანდაგში, დანიშნულების სადგური ვაგონებზე (კონტეინერებზე) ახორციელებს სამახსოვროს გახსნას აქტის დახურვის დროით.

## მუხლი 13. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით პროცედურები

,,საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბაჟო ზედამხედველობის შესახებ ინსტრუქციის“ მოთხოვნათა შესაბამისად სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით;

გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია, საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება ხდება რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე გაკეთებული აღნიშვნით (დამღა, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს, ხოლო ექსპორტის და გარე გადამუშავების პროცედურების გამოყენებისას, საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების ან დროებით შემოტანის პროცედურებში მყოფი საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტით გატანისას, აგრეთვე დროებით შენახვის ადგილიდან საქონლის რეექსპორტისას, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცეული დეფექტური საქონლის ან საქართველოს საქონლის სტატუს ჩამორთმეული საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში რეექსპორტისას – ტვირთგამგზავნს.

აღნიშნულ შემთხვევებში რკინიგზის სადგური მოქმედებს საბაჟო ორგანოდან მიღებული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) .

რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით საქონლის გადადგილების მიზნით სს „საქართველოს რკინიგზასა“ და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სადგურებიდან/ში სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილით ტვირთის გადაზიდვისას (ტრანზიტი, ბორანი, იმპორტი, ექსპორტი და სხვა) სს „საქართველოს რკინიგზის“ გამგზავნი ან სასაზღვრო სადგური მიმდინარე რეჟიმში უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის ვაგონებით/კონტეინერებით გადაზიდვისას, ამ სატრანსპორტო საშუალებებზე გაფორმებული საგზაო უწყისებიდან სს „საქართველოს რკინიგზის“ საოპერაციო სისტემის მონაცემთა ბაზიდან შემდეგი მონაცემების მიწოდებას:

- საგზაო უწყისის სერია და ნომერი;
- საგზაო უწყისის გამფორმებელი ქვეყნის კოდი;
- საგზაო უწყისის ტიპი (სავაგონო,საკონტეინერო);
- შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გასვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გამგზავნის კოდი;
- გამგზავნის დასახელება;
- მიმღების კოდი;
- მიმღების დასახელება;
- ვაგონის ნომერი;
- კონტეინერის სუფიქსი და ნომერი;
- კონტეინერის ტარა;
- ტვირთის წონა;
- ტვირთის კოდი;
- ტვირთის დასახელება;

- გამგზავნი(დამატებითი ინფორმაცია);
- მიმღები(დამატებითი ინფორმაცია);
- შეფუთვის ტიპი;
- შეფუთული ადგილების რაოდენობა;
- პლომბების რაოდენობა;
- პლომბების ნიშნები;
- ტვირთის გამგზავნი ქვეყანა;
- ტვირთის დანიშნულების ქვეყანა;

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ, შემოსავლების სამსახური პროგრამულად ელექტრონულ სისტემაში ახორციელებს ვაგონისათვის/კონტეინერისათვის ერთ-ერთი შემდეგი პირველადი სტატუსის მინიჭებას: (სტატუსი ენიჭება ცალკეულ ვაგონს, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევაში – კონტეინერს, რომელსაც პარალელურ რეჟიმში ხედავს სადგური)

ა) „აყვანილია კონტროლზე“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია ვაგონის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) „უარყოფილია“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ დაუშვებელია ვაგონის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და ვაგონი უნდა ჩაითვალოს არმიღებულად;

გ) „დროებით შეჩერებულია“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ვაგონის გადაადგილება შეჩერებულია შემოყვანა/გაგზავნა, ვიდრე აღნიშნულ ვაგონს/კონტეინერს მიენიჭება სტატუსი „აყვანილია კონტროლზე“ ან „უარყოფილია“.

**სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვისას დგინდება შემდეგი პროცედურები:**

**13.1. სს „საქართველოს რკინიგზის“ სადგურებიდან სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილით ტვირთის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგზავნისას,** სს „საქართველოს რკინიგზის“ გამგზავნი სადგური მიმდინარე რეჟიმში უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის ვაგონებით/კონტეინერებით გადაზიდვისას, ამ სატრანსპორტო საშუალებებზე გაფორმებული სარკინიგზო სატვირთო დოკუმენტაციიდან სს „საქართველოს რკინიგზის“ საოპერაციო სისტემის მეშვეობით, შემდეგი მონაცემების მიწოდებას:

- საგზაო უწყისის სერია და ნომერი;
- საგზაო უწყისის გამფორმებელი ქვეყნის კოდი;
- საგზაო უწყისის ტიპი (სავაგონო,საკონტეინერო);
- შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გასვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გამგზავნის კოდი;
- გამგზავნის დასახელება;
- მიმღების კოდი;
- მიმღების დასახელება;
- ვაგონის ნომერი;
- კონტეინერის სუფიქსი და ნომერი;
- კონტეინერის ტარა;
- ტვირთის წონა;
- ტვირთის კოდი;
- ტვირთის დასახელება;
- გამგზავნი(დამატებითი ინფორმაცია);
- მიმღები(დამატებითი ინფორმაცია);
- შეფუთვის ტიპი;
- შეფუთული ადგილების რაოდენობა;

- პლომბების რაოდენობა;
- პლომბების ნიშნები;
- ტვირთის გამგზავნი ქვეყანა;
- ტვირთის დანიშნულების ქვეყანა;

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, შემოსავლების სამსახური პროგრამულად ელექტრონულ სისტემაში ვაგონს/კონტეინერს ანიჭებს სტატუსს - „აყვანილია კონტროლზე" – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია ვაგონის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; (სტატუსი ენიჭება ცალკეულ ვაგონს, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევაში – კონტეინერს, რომელსაც პარალელურ რეჟიმში ხედავს სადგური).

საბაჟო ორგანოს მიერ სტატუსის - „აყვანილია კონრტოლზე" მინიჭებისას ვაგონი/კონტეინერი იგზავნება დანიშნულებით და აღნიშნული გადაზიდვის შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზის" სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახური საბაჟო კონტროლის შესახებ ინფორმაციას იღებს სისტემის საშუალებით.

მინიჭებული სტატუსით - „აყვანილია კონტროლზე" ვაგონის/კონტეინერის სასაზღვრო სადგურში მისვლისთანავე სადგური ახორციელებს პროგრამაში ვაგონის/კონტეინერის ახალი სტატუსის მინიჭებას - „გამოცხადებულია რკინიგზაზე", რასაც პარალელურ რეჟიმში ხედავს საბაჟო ორგანო.

სასაზღვრო სადგურის მიერ სტატუსის -„გამოცხადებულია რკინიგზაზე" პროგრამაში მინიჭების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო გამშვები პუნქტი პროგრამულად ანიჭებს სტატუსს - „მოხსნილია კონტროლიდან", რასაც სისტემაში ხედავს რკინიგზის სადგური და ამის შემდეგ შესაძლებელია ვაგონმა/კონტეინერმა დატოვოს საქართველოს საზღვარი.

13.2. **თუ სს „საქართველოს რკინიგზის" გამგზავნი სადგურებიდან არ განხორციელდა ტვირთის გაგზავნა**, გამგზავნის (დეკლარანტის) მოთხოვნით ან ამავე მიზნით შეჩერდა მსვლელობის გზაზე საბაჟო ორგანოს ნებართვით, დეკლარაცია უქმდება, ხოლო ელექტრონულ სისტემაში საბაჟო ორგანოს მიერ კონტროლზე აყანილ დატვირთულ ვაგონზე/კონტეინერზე მინიჭებული სტატუსი „აყვანილია კონტროლზე" საბაჟოს მიერ იცვლება სტატუსით „მოხსნილია კონტროლიდან".

ასეთ შემთხვევაში სადგური, სადაც ეს პროცედურა განხორციელდა (გამგზავნი ან გზადმდებარე სადგური) ვალდებულია სს „საქართველოს რკინიგზის" სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურს, სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო დამუშავების მიზნით, გაუგზავნოს გაუქმებული ან შესწორებული სარკინიგზო სატვირთო დოკუმენტაცია.

**13.3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის სარკინიგზო ტრანსპორტით შემოტანისას,** სასაზღვრო გამშვები სადგური მიმდინარე რეჟიმში უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის ვაგონებით/კონტეინერებით გადაზიდვისას, ამ სატრანსორტო საშუალებებზე გაფორმებული საგზაო უწყისებიდან სს „საქართველოს რკინიგზის" საოპერაციო სისტემის მეშვეობით, შემდეგი მონაცემების მიწოდებას:

- საგზაო უწყისის სერია და ნომერი;
- საგზაო უწყისის გამფორმებელი ქვეყნის კოდი;
- საგზაო უწყისის ტიპი (სავაგონო,საკონტეინერო);
- შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გასვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გამგზავნის კოდი;
- გამგზავნის დასახელება;
- მიმღების კოდი;
- მიმღების დასახელება;
- ვაგონის ნომერი;

- კონტეინერის სუფიქსი და ნომერი;
- კონტეინერის ტარა;
- ტვირთის წონა;
- ტვირთის კოდი;
- ტვირთის დასახელება.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, შემოსავლების სამსახური პროგრამულად ელექტრონულ სისტემაში ვაგონს/კონტეინერს ანიჭებს სტატუსს - „აყვანილია კონტროლზე“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია ვაგონის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; (სტატუსი ენიჭება ცალკეულ ვაგონს, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევაში – კონტეინერს, რომელსაც პარალელურ რეჟიმში ხედავს სადგური).

საბაჟო ორგანოს მიერ სტატუსის - „აყვანილია კონტროლზე“ მინიჭების შემთხვევაში ვაგონი/კონტეინერი იგზავნება დანიშნულების სადგურში. ვაგონის/კონტეინერის დანიშნულების სადგურში მისვლისთანავე, დანიშნულების სადგური ახორციელებს პროგრამაში ვაგონზე/კონტეინერზე ახალი სტატუსის მინიჭებას - „გამოცხადებულია რკინიგზაზე“. (თუ ვაგონი/კონტეინერი მიეწოდა საბაჟო საწყობში/ტერმინალში, მაშინ გამოცხადებას ახორციელებს საბაჟო საწყობი/ტერმინალი - ამ შემთხვევაში ენიჭება სტატუსი ,,გამოცხადებულია ტერმინალზე“).

დანიშნულების სადგურის მიერ სტატუსის - „გამოცხადებულია რკინიგზაზე“ პროგრამაში მინიჭების შემდეგ, საბაჟო ორგანო პროგრამულად ანიჭებს სტატუსს -„მოხსნილია კონტროლიდან“, რასაც სისტემაში ხედავს სადგური და ამის შემდეგ დანიშნულების სადგური უფლებამოსილია საქონელი (სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილი) გასცეს ტვირთმიმღებზე, მისასვლელ ან საერთო სარგებლობის ლიანდაგში.

ვაგონებით/კონტეინერებით ავტო-სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვისას ასევე ხორციელდება ზემოაღნიშნულის ანალოგიური პროცედურა.

თუ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულია საბაჟო საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობა, დანიშნულების სადგური უფლებამოსილია მიაწოდოს საქონელი (სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილი) ზემოაღნიშნულ საწყობში მოცემული პროცედურის გარეშე.

ასევე, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს ნებართვით სადგური მოცემული პროცედურის (დანიშნულების სადგურის მიერ „გამოცხადებულია რკინიგზაზე“ ან/და საბაჟოს მიერ ,,მოხსნილია კონტროლიდან“ სტატუსის მინიჭება) გარეშე უფლებამოსილია მიაწოდოს საქონელი (სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილს) საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილებში.

საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით ოქროს სიის მონაწილის კუთვნილი საქონლის (სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილი) შემოტანისას დანიშნულების სადგურს უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში საქონელი მიაწოდოს ოქროს სიის მონაწილის კუთვნილ საწყობში, რომელზეც გაცემულია შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ნებართვა, აღნიშნული უნდა გადამოწმდეს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rs.ge ან მის მიერ შერჩეულ საბაჟო საწყობის დანიშნულებით, ასევე ზემოაღნიშნული პროცედურების გარეშე.

**ა)** საქონლის წინასწარი დეკლარირებისას (C ნომრის მინიჭებისას) ხორციელდება იგივე პროცედურა, იმ განსხვავებით, რომ სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ელექტრონულ პროგრამაში, შესაბამის გრაფაში დამატებით შეყავს წინასწარი დეკლარირების აღმნიშვნელი C ნომერი. C ნომრის მონიჭების შემთხვევაში ტვირთი რჩება საბაჟო კონტროლზე აყვანილად და დანიშნულების სადგური ახორციელებს სტატუსის ,,გამოცხადებულია რკინიგზაზე” მინიჭებას, ხოლო საბაჟოს მიერ სტატუსის ,,მოხსნილია კონტროლიდან” მინიჭების შემდეგ სადგური უფლებამოსილია საქონელი გასცეს ტვირთმიმღებზე, მისასვლელ ან საერთო სარგებლობის ლიანდაგზე დასაცლელად;

**ბ)** საქონლის წინასწარი დეკლარირებისას (A ტიპის დეკლარირება) საქონელს გააჩნია A ნომრიანი დეკლარაცია და საზღვრიდანვე ითვლება კონტროლიდან მოხსნილად. სასაზღვრო სადგურში A ნომრიანი დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საქონელი დანიშნულების სადგურში გაიშვება საბაჟო დეპარტამენტისაგან ყოველგვარი ელექტრონული დასტურის გარეშე და დანიშნულების სადგური უფლებამოსილია საქონელი გასცეს ტვირთმიმღებზე, მისასვლელ ან საერთო სარგებლობის ლიანდაგზე დასაცლელად.

,,საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად გარკვეულ შემთხვევებში სარკინიგზო გადაზიდვისას, სასაზღვრო საბაჟო ორგანოს, ტვირთმფლობელის (კლიენტის) მიერ წარედგინება ქვემოთ აღნიშნული ფორმები და ტვირთის შემდგომი გადაადგილება დაცლა-დატვირთვის ადგილამდე ხდება ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების ელექტრონული ან სხვა სახის კონტროლზე აყვანის გარეშე მოცემული ფორმების საფუძველზე.

აღნიშნული შემთხვევებია:

1) ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი გადაადგილდება - ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის სააგენტოს მიერ ,,ეროვნული საზღვრებზე გადაადგილებისას პროცედურებთან დაკავშირებით“ 2005 წელს მიღებული შეთანხმებით განსაზღვრული ,,ფორმა 302“-ით.

2) ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი გადაადგილდება - ამავე ორგანიზაციის ,,კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური ჯგუფის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით’’ გათვალისწინებული ,, საზღვრის კვეთის ფორმები“ -ით.

3) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის ან მასთან დაკავშირებული წვრთნების ჩატარება ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით, პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში ტვირთი გადაადგილდება - ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ ,,საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ ინსტრუქციის“ „დანართი N5-04“ - ით.

**13.4. თუ ტვირთი (სავაგონო ან საკონტეინერო გზავნილი) შემოდის მეზობელი ქვეყნის რკინიგზიდან და ტოვებს საქართველოს ტერიტორიას სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელით,** შემოსვლისას სასაზღვრო გამშვები სადგური მიმდინარე რეჟიმში უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის ვაგონებით/კონტეინერებით გადაზიდვისას, ამ სატრანსორტო საშუალებებზე გაფორმებული საგზაო უწყისებიდან, სს „საქართველოს რკინიგზის“ საოპერაციო სისტემის მეშვეობით, შემდეგი მონაცემების მიწოდებას:

- საგზაო უწყისის სერია და ნომერი;
- საგზაო უწყისის გამფორმებელი ქვეყნის კოდი;
- საგზაო უწყისის ტიპი (სავაგონო,საკონტეინერო);
- შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გასვლის სასაზღვრო პუნქტი;
- გამგზავნის კოდი;
- გამგზავნის დასახელება;
- მიმღების კოდი;
- მიმღების დასახელება;
- ვაგონის ნომერი;
- კონტეინერის სუფიქსი და ნომერი;
- კონტეინერის ტარა;
- ტვირთის წონა;
- ტვირთის კოდი;
- ტვირთის დასახელება;

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, შემოსავლების სამსახური პროგრამულად ელექტრონულ სისტემაში ვაგონს/კონტეინერს ანიჭებს სტატუსს - „აყვანილია კონტროლზე“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდგომ შესაძლებელია ვაგონის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; (სტატუსი ენიჭება ცალკეულ ვაგონს, ხოლო საკონტეინერო გადაზიდვის შემთხვევაში – კონტეინერს, რომელსაც პარალელურ რეჟიმში ხედავს სადგური).

საბაჟო ორგანოს მიერ სტატუსი - „აყვანილია კონტროლზე“ მინიჭების შემთხვევაში ვაგონი/კონტეინერი იგზავნება გასვლის სასზღვრო სადგურში. გასვლის სასაზღვრო სადგურში შესვლისას, სადგური ახორციელებს პროგრამაში ვაგონზე/კონტეინერზე ახალი სტატუსის მინიჭებას - „გამოცხადებულია რკინიგზაზე“. გასვლის სასაზღვრო სადგურის მიერ სტატუსის - „გამოცხადებულია რკინიგზაზე“ პროგრამაში მინიჭების შემდგომ, ვაგონის/კონტეინერის ბორანზე განთავსებისას საბაჟო ორგანო პროგრამულად ანიჭებს სტატუსს -„მოხსნილია კონტროლიდან“, რასაც სისტემაში ხედავს გასვლის სასაზღვრო სადგური.

ანალოგიური პროცედურა სრულდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ტვირთი (სავაგონო ან საკონტეინერო) შემოდის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელით და ტოვებს საქართველოს ტერიტორიას სახმელეთო სასაზღვრო სადგურების გავლით.

რომლის გააქტიურებითაც გამოდის ჩანართი, სადაც გასაკორექტირებელი „მიწოდების თარიღის მიხედვით ძებნის“, ან „ვაგონის მიხედვით ძებნის“ ან „სამახსოვროს ნომრის“ მითითებით, სისტემა გამოიტანს შესაბამის ჩანაწერს,



ჩანაწერზე მაუსის ღილაკის ორჯერ დაკლილებისას იხსენბა ახალი ჩანართი,



ჩანართში მონიშნულ ჩანაწერზე  მაუსის ღილაკის ორჯერ დაკლილებისას იხსნება ფანჯარა „ვაგონების/კონტეინერების დამატება“, სადაც კორექტირებადია ველები: „ოპერაციის დასრულების თარიღი“  „აკრეფის თარიღი“ და „შენიშვნა“, ინფორმაციის შეყვანის შემდეგ ღილაკზე „კორექტირება“ დაჭერით შესაძლებელია გაკრექტირებული ჩანაწერის შენახვა.

ღილაკით „წაშლა“ ხდება ოპერაციის თარიღების გაუქმება და სამახსოვრო გადადის მენიუ: **მიწოდება დასატვირთად/დასაცლელად.**



# 5. საგზაო უწყისის კორექტირება:

საგზაო უწყისის კორექტირება ხდება პროგრამა რაპლში მენიუდან: **კომერციული საბუთები/ანგარიშები/საგზაო უწყისის დათვალიერება**



რომლის გააქტიურებითაც გამოდის ჩანართი, სადაც გასაკორექტირებელი საგზაო უწყისის ნომრის მითითებით სისტემა გამოიტანს შესაბამის ჩანაწერს



ამორჩეულ გასაკორექტირებელ დოკუმენტზე ორჯერ დაკლიკებით იხსნება საგზაო უწყისის ფორმა, სადაც კორექტირებას ექვემდებარება აქტიური ველები: „გადახდის ტიპი“, „დეკლარაციის N“, „ტვირთის რეჟიმი“, „ტვ.გამგ.ქვეყაანა“, „ტვ.დანიშ.ქვეყანა“, „გადამხდელი“, „მიმღები“, „დანიშნულების სადგური“, „გამგზავნი ქვეყანა“, „დანიშნულების ქვეყანა“, „მარშრუტის სასაზღვრო სადგური“, „ტექნიკური ვაგონი“, „შენიშვნა“. გაკორექტირებულ ინფორმაციას ვინახავთ შენახვის ღილაკით(მწვანე ალამი).



ვაგონზე ჩანაწერში ინფორმაციის გაკორექტირებისათვის, მაუსის მარჯვენა ღილაკით გამოგვაქვს ბრძანებები,



სადაც ბრძანება „კორექტირების“ გააქტიურებით იხსნება ფანჯარა:



გზავნილის სახეობა **„საკონტეინერო“-ს** შემთხვევაში კორექტირებადია პლომბებზე ინფორმაცია და კონტეინერზე შემდეგი სახის ინფორმაცია: „კონტეინერის ტიპი“, „სუფიქსი“, „კონტეინერის ნომერი“, „კონტეინერის ზომა“, „განაცხადის ნომერი“, „კონტეინერის საკუთრება“, „დეკლარაცის N“, „ტარა“, „მესაკუთრე ქვეყანა“, „ტვირთი“, „შეფუთვის ტიპი“, „წონა“, „პლომბები“, “ადგილები“, „საშიში ტვირთი“, „არაგაბარიტულობა“. ცვლილებების შენახვა ხდება ღილაკით - „შენახვა“.

კორექტირებების დასრულების შემდეგ ხდება რკინიგზის დასტურის მინიჭება, რის შემდეგაც კლიენტი აკეთებს ელ. ხელმოწერას და სადგურიაძლევს რკინიგზის შტამპს.

გზავნილის სახეობა **„სავაგონო“-ს** შემთხვევაში კორექტირებადია აქტიური ველები: „ვაგონის N“, „განაცხადის ნომერი“, „ტვირთი“, „წონა“, „გამცილებლები“, „არაგაბარიტულობა“, „დეკლარაციის N“, „შეფუთვის სახე“, „ადგილები“, „პლომბების რ-ბა“ და პლომბებზე ინფორმაცია. ცვლილებების შენახვა ხდება ღილაკით - „შენახვა“.



# 6. საერთო ფორმის აქტის კორექტირება:

საერთო ფორმის აქტის კორექტირება ხდება პროგრამა რაპლში მენიუდან: **კომერციული საბუთები/საერთო ფორმის აქტი:**



რომლის გააქტიურებითაც გამოდის ჩანართი, სადაც გასაკორექტირებელი საერთო ფორმის აქტის ნომრის მითითებით სისტემა გამოიტანს შესაბამის ჩანაწერს:



რაზეც მაუსის ორჯერ დაკლიკებით იხსნება ფანჯარა კორექტირებისთვის:



სადაც კორექტირებას ექვემდებარება აქტიური ველები. გაკორექტირებულ ინფორმაციას ვინახავთ შენახვის ღილაკით(მწვანე ალამი).

ვაგონზე ინფორმაციის კორექტირებისთვის ვაგონზე ჩანაწერს ვხსნით მაუსის ორჯერ დაკლიკებით. იხსნება ფანჯარა, სადაც კორექტირებადია აქტიური ველები:



შენახვის ღილაკის (მწვანე ალამი) მეშვეობით ვინახავთ ცვლილებებს, რის შემდეგადაც იხსნება შემდეგი ველები კორექტირებისთვის: დოკუმენტის N და განაცხადის N.



ასევე შენახვის ღილაკის (მწვანე პლიუსი) მეშვეობით ვინახავთ ცვლილებებს.

ამის შემდეგ ხდება დოკუმენტის PDF ღილაკით დაფორმირება, რომელზეც კლიენტი აკეთებს ელექტრონულ ხელმოწერას, ხოლო რკინიგზის მხარე ადასტურებს რკინიგზის შტამპით.

# 7 . დარიცხვის ბარათის კორექტირება:

დარიცხვის ბარათის კორექტირება ხდება პროგრამა რაპლში მენიუდან: **კომერციული საბუთები/დარიცხვის ბარათი:**



რომლის გააქტიურებითაც გამოდის ჩანართი, სადაც გასაკორექტირებელი დარიცხვის ბარათის ნომრის მითითებით სისტემა გამოიტანს შესაბამის ჩანაწერს:



რაზეც მაუსის ორჯერ დაკლიკებით იხსნება ფანჯარა კორექტირებისთვის:



სადაც პირველად კორექტირებადია შემდეგი ველები: თარიღი, კლიენტი და შენიშვნის ველი. ცვლილებების შენახვა ხდება შენახვის ღილაკით (მწვანე ალამი).

არსებული მომსახურების კორექტირება არაა შესაძლებელი, იგი უნდა წაიშალოს და ახლიდან დაემატოს სასურველი მომსახურება.




ცვლილებების შენახვის შემდეგ კეთდება რკინიგზის ხელმოწერა,



რომლის შემდეგაც კლიენტს აქვს საშუალება გააკეთოს დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა. რკინიგზის მხარე აკეთებს საბოლოო ხელმოწერას.

## საბაჟო დეპარტამენტში დასაგზავნი წერილი (დანართი 13)

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“

საბაჟო დეპარტამენტს

გთხოვთ მოქვცეთ უფლება, ჩვენს მიერ (წელი, რიცხვი, თვე,) სადგურ ------ დროებითი შენახვის მიზნით, შეჩერებული ვაგონი N----- ზედდებული N---- ტვირთის აღრიცხვის მოწმობის N---- გავაგზავნოთ დანიშნულების სადგურში---- ან მივაწოდოთ საბაჟო ტერმინალში ------.

სადგურის უფროსი

(ხელმოწერა)

ბეჭედი

# სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვის და დარიცხვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოების, აღრიცხვის, ექსპედირების და სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეტანის წესი

(თავი II)

**სარჩევი:**

მუხლი 1. კომერციული და სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტების მიერ „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" მიღება დამუშავების და გადაზიდვის დავალების ფორმირების წესი;

მუხლი 2. გადაზიდვის დავალების ფორმირებისათვის აუცილებელი ეკრანული ფორმები;

მუხლი 3. სატვირთო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების საბუთების ექსპედირება;

მუხლი 4. ,,სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემა"-ში ვალუტის კურსის შეტანის წესი;

მუხლი 5. სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში საბუთების მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების წესი;

მუხლი 6. ერთიან ელეტრონული სისტემაში საბუთების შეტანისათვის აუცილებელი ეკრანული ფორმები;

მუხლი 7. ერთიანი ელექტრონული სისტემა და სატარიფო პოლიტიკის რეგულირების წესი;

მუხლი 8. ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში" რეალიზებული ალგორითმების აღწერა;

მუხლი 9. აუთვისებლობის საფასურის დარიცხვის წესი;

**მუხლი 1. სატვირთო გადაზიდვის დეპარტამენტის მიერ „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“ მიღება-დამუშავების და გადაზიდვის დავალების ფორმირების წესი.**

**1.1. კლიენტის მიერ ინტერნეტის მეშვეობით http://cargo.railway.ge -ზე ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში” მონაცემების შეტანის დროს ან მომსახურების ცენტრში ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“ ფორმის წარმოდგენისას სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტთან შეთანხმების წესი.**

**მომსახურების ცენტრის სპეციალისტი** (შემდგომში **ოპერატორი)** აწარმოებს კლიენტის რეგისტაციას რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდის მისანიჭებლად;

**ოპერატორს** ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში” შეაქვს კლიენტის მიერ მომსახურების ცენტრში წარმოდგენილი ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე” ფორმით წარმოდგენილი მონაცემები და აფორმირებს წინასწარი განიხვრის ინვოისებს, გადაზიდვის დავალებებს და აკეთებს კორექტირებებს.

გადაზიდვების დაგეგმვისა და სავაგონო პარკის რეგულირების ცენტრი საერთაშორისო გადაზიდვებისას აწარმოებს შესათანხმებელი მონაცემების შეტანას АС-МЕСПЛАН ელექტრონულ სისტემაში;

მომსახურების ცენტრი **ოპერატორების** მეშვეობით, განიხილავს და ღებულობს გადაწყვეტილებებს კლიენტის მიერ ინტერნეტის მეშვეობით http://cargo.railway.ge-ზე ფორმირებულ ელექტრონული განაცხადის ან მომსახურების ცენტრში წარმოდგენილი ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე” დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დამატებით ინფორმაციას, გადაზიდვის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით და გადაზიდვის პირობების ორგანიზების მიზნით საჭიროებისამებრ ათანხმებს:

- მომსახურების ცენტრის უფროსთან;
- მომსახურების ცენტრის უფროსის მოადგილესთან
- გადაზიდვების დაგეგმვისა და სავაგონო პარკის რეგულირების ცენტრთან;
- მისასვლელი ლიანდაგების განყოფილებასთან;
- კომერციული საქმიანობის ორაგნიზაციის ცენტრთან;
- სპეციალური გადაზიდვების განყოფილებასთან;
- სარეჟიმო-სამობილიზაციო განყოფილებასთან;
- იზოთერმული ვაგონების სამსახურთან;
- კომბინირებული გადაზიდვების განყოფილებასთან;
- სატვირთო გადაზიდვების და სხვა დეპარტამენტებთან - (სამსახურებთან).

შეთანხმების შედეგად ღებულობს შესაბამის თანხმობას (დასტურს), მათ შორის:

- პირველი და მეშვიდე კლასის საფრთხეშემცველ ტვირთზე - გადაზიდვის ნებართვას შესაბამისი ტვირთის დატვირთვისას ან ტრანზიტულად გატარებისას;
- ღია მოძრავ შემადგენლობაზე დატვირთვისას- შესაბამის თანხმობას ტვირთის პარამეტრების და ვაგონში განლაგების/დამაგრების ნახაზიდან გამომდინარე. ტრანზიტის შემთხვევაში ზედნადების მონაცემის შესაბამისად;
- მესამე ქვეყანაში გადასაზიდ ტვირთზე - ტვირთის გადაზიდვაზე ნებართვის არსებობას;
- შეთანხმება სარკინიგზო ადმინისტრაციებთან - სარკინიგზო ადმინისტრაციების თანხმობის გადამოწმების გზით. გამგზავნი სადგური ვალდებულია გადაზიდვის გაფორმებისას კლიენტისაგან მოითხოვოს გადაზიდვაში მონაწილე ყველა სარკინიგზო ადმინისტრაციის თანხმობის (ტელეგრამის ან АС-МЕСПЛАН-ის) ნომერი. გადაზიდვაში

მონაწილე რომელიმე სარკინიგზო ადმინისტრაციიდან თანხმობის მიღებამდე, კლიენტის საგარანტიო წერილის საფუძველზე განაცხადში მიეთითება ,,გადაზიდვაში მონაწილე სარკინიგზო ადმინისტრაციების თანხმობის მიღების შემდეგ“.

- განსაკუთრებული პირობებით გადაზიდვისას - შესაბამისი თანხმობების გადამოწმების გზით.
- ტექნიკის გადაზიდვაზე - გამცილებლით ან მის გარეშე, განსაკუთრებული პირობებით გადაზიდვის შესახებ;
- კონვენციური აკრძალვის არსებობისას - გამონაკლის შემთხვევებში დასტურს გადაზიდვის შესაძლებლობაზე;
- საკონტეინერო გადაზიდვისას - დასტურს კონტეინერების მიღებაზე შესაბამისი პარაგრაფით გაუხსნელი სადგურების დანიშნულებით
- საკუთარებაში/იჯარაში მყოფ ვაგონზე - დასტურს საკუთრების/იჯარის პირობის დაზუსტების შემდეგ;
- 
- ვაგონების რესურსზე - დასტურს შესაბამისი ტიპის ვაგონით უზრუნველყოფაზე;
- შეჩერების და გადამისამართების შემთხვევაში - ზედდებულის № , ვაგონის №, პირველადი ტვირთმიმღების წერილობითი თანხმობა;
- განსაკუთრებული გადაზიდვის მოთხოვნის შემთხვევაში- სახელშეკრულებო პირობებით გადაზიდვის მოთხოვნა;
- თავის ღერძებზე მოძრავი შემადგენლობების -(თბომავლები, ელმავლები, რკინიგზის სვლის მქონე მანქანები და ავტომექანიზმები) - ტექნიკური ვარგისიანობის აქტი - თუ რა პირობებით გადაიზიდოს მაგისტრალურ ხაზზე.

- და სხვადასხვა პირობების დაცვას კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებით.

შეთანხმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კლიენტის მიერ ინტერნეტით განაცხადის ფორმირებისას, ხოლო მომსახურების ცენტრში წარმოდგენილი „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“ შევსებული ფორმის მონაცემები მომსახურების ცენტრის ოპერატორის მიერ, შეიტანება ერთიან ელექტრონულ სისტემაში და დამატებით შენიშვნის გრაფაში მიეთითება შეთანხმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები (არაგაბარიტულობის ხარისხი (ინდექსი), შეთანხმებული ელ წერილის ნომერი, ტვირთის ვაგონში განლაგებისა და დამაგრების წესი და სხვა მონაცემები).

**მომსახურების ცენტრის ოპერატორი** მოთხოვნილი მომსახურების კომერციული კუთხით გადაზიდვის დაკმაყოფილების შესაძლებლობის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის დასტურს, ხოლო გადაზიდვის შეუძლებლობისას უთითებს უარის მიზეზს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

**სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის ოპერატორი** (გადაზიდვის დაგეგმვისა და სავაგონო პარკის რეგულირების ცენტრი) მოთხოვნილი მომსახურების განხორციელებისათვის სავაგონო რესურსის არსებობისას აკეთებს შესაბამის დასტურს, ხოლო სავაგონო რესურსის არ ქონის შემთხვევაში უთითებს უარის მიზეზს ერთიან ელექტრონულ სისტემაში..

**კლიენტი** (ან მისი განაცხადით მომსახურების ცენტრის ოპერატორი) სისტემაში ადასტურებს მის მიერ მოთხოვნილ მომსახურებას ან მოთხოვნილ მომსახურებაზე (გადაზიდვაზე) უარის შემთხვევაში უთითებს უარის მიზეზს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომერციული და მოძრაობის დასტურების შემდეგ **მომსახურების ცენტრის ოპერატორი** საჭიროების შემთხვევაში ამობეჭდავს მომსახურების წინასწარი ღირებულების

დოკუმენტს (ინვოისს) 2 ეგზემპლარად და კლიენტის ანგარიშზე საკმარისი გამოყენებადი ნაშთის არსებობისას კლიენტის დასტურის შემთხვევაში ერთიან ელექტრონულ სისტემაში კლიენტის მიერ, ან მისი განაცხადით მომსახურების ცენტრის ოპერატორის მიერ, ხდება ინვოისით (განაცხადით) განსაზღვრული თანხის დაბლოკვა, მოთხოვნის (ინვოისის) გააქტიურება.იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გააჩნია საკმარისი თანხა, გამოყენებადი ნაშთის სახით, მოთხოვნილი მომსახურების წინასწარი ღირებულების დასაფარავად, მას გადაეცემა ინვოისი და მოთხოვნის გააქტიურება ხდება შესაბამისი თანხის სამუშაო დღის ბოლომდე გადახდის შემთხვევაში.

კლიენტის მიერ განაცხადის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მიწოდების თარიღამდე 7 სამუშაო დღის განმავლობაში, აღნიშნული განაცხადი იხურება სისტემის მიერ.

ვაგონების მოთხოვნის განაცხადი, რომელზეც არ არის კლიენტის დასტური, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს 18 საათზე უბრუნდება სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტს (გადაზიდვის დაგეგმვისა და სავაგონო პარკის რეგულირების ცენტრი) დასადასტურებლად.

გადაზიდვის დავალების ფარგლებში თუ კლიენტი ითხოვს დაგეგმილი დატვირთვის მონაცემების (თარიღი, ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის, ტიპის და ტვირთის წონა) კორექტირებას, ახალი „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“ ფორმის შევსების გზით, **მომსახურების ცენტრის ოპერატორს ან** კლიენტს (ინტერნეტით განაცხადის ფორმირებისას) აღნიშნული შეაქვს ერთიან ელექტრონულ სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ახალი მონაცემების საფუძველზე სისტემა ახდენს კლიენტზე (გადაზიდვის ღირებულების გადამხდელზე) გამოყენებადი ნაშთიდან, კორექტირებული ვაგონების (კონტეინერების) რაოდენობის შესაბამისად 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დაბლოკვას და ახორციელებს მოთხოვნის კორექტირებას. გაკორექტირებული მოთხოვნა შესაბამისი ფორმით გადაეცემა კლიენტს.

**მომსახურების ცენტრის ოპერატორის** მიერ თუ მოხდა წარმოდგენილი მონაცემების არასწორად შეტანა ერთიან ელექტრონულ სისტემაში **ან კლიენტის მიერ** თუ მოხდა არასწორი მონაცემის წარმოდგენა და ამ მონაცემით გადაზიდვის დავალების ფორმირება, ოპერატორი მოხსენებითი ბარათით ან კლიენტი წერილობითი განაცხადით მიმართავს ცენტრის უფროსს, რომელიც ახდენს აღნიშნული გადაზიდვის დავალების დახურვას სისტემაში. ახალი გადაზიდვის დავალება კეთდება ოპერატორის მიერ ახალი გასწორებული მონაცემებით ან ოპერატორი ახდენს ძველი გადაზიდვის დავალების კორექტირებას ისეთი საჭირო მონაცემებით რაც არ იწვევს ტარიფის ცვლილებას და აუცილებელია გადაზიდვის დავალების გასასწორებლად.

მომსახურების ცენტრი აწარმოებს კლიენტურის კონსულტაციას, როგორც მომსახურების ცენტრში ასევე სატელეფონო მომსახურებით და შიდა საორგანიზაციო სამუშაოებს.

ცენტრის უფროსი და ცენტრის უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობს და კორდინაციას უწევს ოპერატორების მუშაობას.

**1.2 ოპერატორის მიერ ,,ერთიან ელექტრონულ სისტემაში" მონაცემების შეტანისას და კლიენტის მიერ მომსახურების ცენტრში წარმოდგენისას ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" – (განაცხადის) შევსების დროს გასათვალისწინებელი ძირითადი პირობები:**

- **გადამხდელი (განაცხადში - ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" ფორმაში - ,,გადამხდელი", პროგრამაში ,,კლიენტი")** – შეიტანება დასახელება და კოდი (რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი) ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან ექსპედიტორის. ექსპედიტორის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს გადამხდელი თუ აღნიშნული ექსპედიტორი თავად არის ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები, ან კონკრეტულ გადაზიდვაზე ემსახურება ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს. თუ გადამხდელი არ არის ექსპედიტორი (არ აქვს

გაფორმებული საექსპედიტორო ხელშეკრულება) მაშინ ის თავად უნდა იყოს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები, ხოლო ექსპედიტორის შემთხვევაში გადამხდელი შეიძლება ემსახურებოდეს სხვა ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს.

- **ტვირთგამგზავნი** – ტვირთის მფლობელის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი, რომელიც აწარმოებს ტვირთის გაგზავნას გადაზიდვის ხელშეკრულებით -ზედნადებით. (ტრანზიტის , ექსპორტის ან იმპორტის დროს თუ ტვირთგამომგზავნი ან ტვირთმიმღებები არის სხვა ქვეყანაში და არ არის საქართველოს რკინიგზაზე რეგისტრირებული კლიენტი ელექტრონული განაცხადის შევსებისას ტვირთგამგზავნის დასახელების გრაფაში იწერება ,,1" და შენიშვნის გრაფაში მიეთითება ტვირთგამგზავნის დასახელება. საქართველოს რკინიგზიდან გაგზავნის შემთხვევაში ტვირთგამგზავნი უნდა იყოს დარეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს მინიჭებული რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი).
- **ტვირთმიმღები** – ტვირთის მიმღები ორგანიზაციის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი, რომელიც ღებულობს ტვირთს გადაზიდვის ხელშეკრულებით-ზედნადებით. (ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის დროს თუ სხვა ქვეყანაში არის ტვირთმიმღები და იგი თუ არ არის საქართველოს რკინიგზაზე დარეგისტრირებული, ელექტრონული განაცხადის შევსებისას ტვირთმიმღების დასახელების გრაფაში იწერება ,,1" და შენიშვნის გრაფაში მიეთითება ტვირთმიმღების სრული დასახელება. საქართველოს რკინიგზაზე ტვირთის მიღების შემთხვევაში ტვირთმიმღები უნდა იყოს დარეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს მინიჭებული რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი).
- **გამგზავნი სადგური** – გადაზიდვის საბუთების გამფორმებელი სადგური (საიდანაც ხდება ტვირთის გაგზავნა, მათ შორის პორტი, ბორანი) და სადგურის (პორტის, ბორნის) კოდი. მესამე ქვეყნების მონაწილეობის შემთხვევაში ქვეყნის დასახელება.
- **დანიშნულების სადგური** – გადაზიდვის საბუთებით ტვირთის მიმღები სადგური (სადაც ხდება ტვირთის მიღება, მათ შორის პორტი, ბორანი) და სადგურის (პორტის, ბორნის) კოდი. მესამე ქვეყნების მონაწილეობის შემთხვევაში ქვეყნის დასახელება.
- **მისასვლელი (ან საერთო სარგებლობის) ლიანდაგის დასახელება**: აღინიშნება შესაბამისად საერთო სარგებლობის ან მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშმსწორებლის კოდი. ამავე დროს ტვირთგამზავნი ან ტვირთმიმღები უნდა იყოს მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლე-მფლობელი (გაფორმებული უნდა ჰქონდეს რკინიგზასთან შესაბამისი ხელშეკრულება) ან უნდა იყოს მისი (მოსარგებლის) კონტრაჰენტი. სხვა შემთხვევაში საჭიროა ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს ჰქონდეს მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის ერთჯერადი წერილობითი თანხმობა მისასვლელ ლიანდაგში მოსარგებლის პასუხისმგებლობით, მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ. საერთო სარგებლობის ლიანდაგის მითითების შემთხვევაში გასათვალისწინებელია შესაბამისი ვაგონიდან ტვირთის დაცლის ან დატვირთვის შესაძლებლობა.
- **შემოსვლის სასაზღვრო სადგური** – ტვირთის (ვაგონის ან კონტეინერის) საქართველოს რკინიგზაზე შემოსვლის სასაზღვრო სადგური, და სადგურის შესაბამისი კოდი, როდესაც ტვირთი შემოდის სხვა ქვეყნიდან (პორტიდან, ბორნიდან, სადახლო-შეპირაპირება, გარდაბანი-შეპირაპირება, ახალქალაქი ექსპორტი, განთიადი ექსპორტი).
- **გასვლის სასაზღვრო სადგური** – ტვირთის (ვაგონის ან კონტეინრის) საქართველოს რკინიგზიდან გასვლის სასაზღვრო სადგური, და სადგურის შესაბამისი კოდი, როდესაც ტვირთი გადის სხვა ქვეყნაში (პორტიდან, ბორნიდან, სადახლო-შეპირაპირება, გარდაბანი-შეპირაპირება, ახალქალაქი ექსპორტი, განთიადი ექსპორტი).
- **გზავნილის სახეობა** – გულისხმობს ტვირთის გადაზიდვას სავაგონო, საკონტეინერო, ბლოკმატარებლით- გზავნილის გაფორმებით.

- **ტვირთის დასახელება** – მიეთითება ტვირთის დასახელება გნგ-ს კოდის (საერთაშორისო ჰარმონიზებული ნომეკლატურის) მიხედვით. ცარიელი ვაგონის ან კონტეინერის გადაზიდვისას იწერება ,,ცარიელი". თუ ცარიელი ვაგონი მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221, 99222, 99224 განაცხადში მიეთითება მისი კოდი.
- **,,ГНГ" კოდი** – ტვირთის ,,გნგ"-ს კოდი 8 ციფრით. (ტვირთს გააჩნია საკუთარი დასახელების შესაბამისი გნგ-ს კოდი, საერთაშორისო ჰარმონიზებული ნომეკლატურის მიხედვით.). თუ ცარიელი ვაგონი მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221, 99222, 99224 განაცხადში მიეთითება მისი შესაბამისი გნგ კოდი.
- **,,ООН"-ის ნომერი (საფრთხეშემცველი)** – ტვირთზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მინიჭებული 4 ციფრიანი კოდი. საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვის მოთხოვნისას.
- **ტვირთის წონა** – გადასაზიდი ტვირთის სრული მასა ბრუტო – ქვეშები და სხვა საჭირო სამარჯვების, ტარის შეფუთვის გათვალისწინებით. დამრგვალებული სრულ ტონამდე (ვაგონების დატვირთვა წონითი კატეგორიების გათვალისწინებით) ვაგონის ტვირთამწეობის ფარგლებში. ცარიელი ვაგონის გადაზიდვის შემთხვევაში, როდესაც მიდის საკუთარ ღერძებზე გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221, 99222, 99224 განაცხადში მიეთითება მათი წონა სხვა შემთხვევაში ცარიელ ვაგონზე მიეთითება ღერძების რაოდენობა.
- **საფრთხეშემცველობა** –სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურების მიხედვით (ცხრილი 4-ის ტვირთის სახეობის კოეფიციენტი საფრთხეშემცველი ტვირთებისათვის და ცხრილი 5-ის საფრთხეშემცველი ტვირთების ჩამონათვალი პირველი და მე-7 კლასისა და 5.2., 6.2. კლასის ტვირთებისა, რომლებზეც ვრცელდება ტვირთის სახეობის კოეფიციენტი).
- **მცირეზე მეტად არაგაბარიტული** – აღინიშნება არაგაბარიტული ტვირთი, გარდა მცირე ხარისხის (1-2 ქვედა, 1-3 გვერდით, 1-2 ზედა) არაგაბარიტული ტვირთებისა.
- **ტვირთის საბაჟო (გადაზიდვის) რეჟიმი** – მიეთითება ტვირთის გადაზიდვის რეჟიმი (ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, სხვა საერთაშორისო, ადგილობრივი) საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული ტვირთებისათვის (სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ან გასატანი ტვირთებისათვის) ხოლო ადგილობრივი გადაზიდვის შემთხვევაში- ადგილობრივი გადაზიდვის რეჟიმი (ქვეყნის შიგნით მიმდინარე გადაზიდვის შემთხვევაში თუ ტვირთი არ არის საბაჟო კონტროლზე).
- **დღგ-ს სტატუსი** – აღინიშნება, არის თუ არა ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელი (რკინიგზასთან მიმართებაში გადაზიდვა: იბეგრება დღგ-თი, დღგ-ს ნულოვანი გადამხდელი თუ განთავისუფლებულია).
- **ვაგონის დატვირთვა** – ერთ ვაგონში ჩატვირთული ან ჩასატვირთი ტვირთის მასა-ბრუტო. (ტვირთის წონის საშუალო არითმეტიკული ვაგონების რაოდენობის გათვალისწინებით).
- **ვაგონის ტიპი** – ვაგონის სახეობა. რეფ. სექციის შემთხვევაში უთითებს - ,,რეფ.სექცია (6+1)"- ან შესაბამის კატეგორიას. ცარიელი ვაგონის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს თუ რა ტვირთის ნაცალია ვაგონი.
- **ღერძების რაოდენობა** – მიეთითება ერთეული ვაგონის ღერძების რაოდენობა ანუ რამდენ ღერძიანია ვაგონი. ცარიელი ვაგონის გადაზიდვის შემთხვევაში, როდესაც მიდის საკუთარ ღერძებზე გარდა ცარიელი ვაგონისა გნგ-ს კოდით 8601-8605, 99221, 99222, 99224.
- **გამცილებლების რაოდენობა** – აღინიშნება თუ რამდენი გამცილებელი აცილებს (გადაზიდვის წესებით განსაზღვრულ შემთხვევაში და კლიენტის მოთხოვნის მიხედვით) ტვირთს (ვაგონს) ადგილობრივი გადაზიდვისას არანაკლები 2-სა, საერთაშორისო გადაზიდვისას არუმეტეს 2-სა.
- **ვაგონის საკუთრება** – აღინიშნება ვაგონის მფლობელი – რკინიგზა, მესაკუთრე ან მოიჯარე. საკუთარი ან არენდირებული ვაგონებით გადაზიდვის შემთხვევაში მოსარგებლეს

უნდა ჰქონდეს მოიჯარის თანხმობა. არენდირებული ვაგონების კურსირება უნდა იყოს შეთანხმებული და აისახებოდეს ასუ-არვაგში, საქართველოს რკინიგზის მონაცემთა ბაზაში.

- **კონტეინერის ტიპი** – აღინიშნება კონტეინერის სახეობა (მისი კატეგორია).
- **კონტეინერის რაოდენობა** – აღინიშნება ერთეული კონტეინერის რაოდენობა.
- **კონტეინერის საკუთრება** – აღინიშნება კონტეინერის მფლობელი – რკინიგზა, იჯარა, საკუთარი.
- **გადამისამართება** – ტვირთის გადამისამართების მოთხოვნა. როგორც დანიშნულების სადგურიდან ასევე გზადმდებარე სადგურში შეჩერებისას და გადაგზავნისას (გადამისამართებისას), შეჩერების ან გადამისამართების, გადაგზავნის უფლება აქვს ტვირთმიმღებს, ტვირთგამგზავნს ან მისი თანხმობით-ექსპედიტორს.
- **ძველი გადაზიდვის საბუთი** – გადამისამართების ან შეჩერების და გადამისამართების (გადაგზავნის) დროს პირველადი ზედდებულის ან საგზაო უწყისის ნომერი.
- **შენიშვნა:** შენიშვნაში აღინიშნება კლიენტის მოთხოვნები და აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც არ აისახება განაცხადის ფორმაში მათ შორის:

  - ერთ ვაგონში თავსებადი სხვადასხვა დასახელების ტვირთების გადაზიდვის დროს განაცხადში იწერება ერთი ტვირთის დასახელება თავისი გნგ-ს კოდით, ხოლო დანარჩენი ტვირთის ჩამონათვალი თავისი გნგ-ს კოდით მიეთითება განაცხადის შენიშვნის გრაფაში.
  - არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში აუცილებელია შენიშვნაში მიეთითოს არაგაბარიტულობის ხარისხი (ინდექსი).
  - თუ ერთი მიმართულებით ერთი გამგზავნისა და მიმღების შემთხვევაში უნდა გადაიზიდოს ერთნაირი ტიპის კონტეინერები ერთნაირი სატარიფო პირობით, მაშინ ტვირთის დასახელებაში იწერება უმეტესი რაოდენობის დასახელების ტვირთი ხოლო დანარჩები ტვირთის დასახელება მიეთითება შენიშვნაში.
  - თუ ერთი ვაგონით გადაიზიდება სხვადასხვა დასახელების ტვირთი სხვადასხვა სატარიფო პირობით მაშინ ტვირთის დასახელებაში და გნგ-ს კოდში მიეთითება უფრო მაღალი ტარიფის მქონე ტვირთის დასახელება და ტვირთის წონაში მიეთითება ყველა ტვირთის წონის ჯამი, ხოლო დანარჩენი ტვირთების დასახელება მიეთითება შენიშვნაში.
  - რეფ.სექციების გადაზიდვისას თუ ტვირთი მიდის ერთი დანიშნულების სადგურში შენიშვნაში შეიძლება მიეთითოს სხვადასხვა მიმღებების დასახელება შესაბამისი ტვირთის წონა, ტვირთმიმღები და ვაგონის რაოდენობა.
  - ღია მოძრავი შემადგენლობით ტვირთის (გარდა ნაყარი ტვირთისა) გადაზიდვისას შენიშვნაში უნდა მიეთითოს ტვირთის პარამეტრები. გაბარიტული ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში განლაგებისა და დამაგრების წესების შესაბამისი მუხლისა და თავის მითითებით. განლაგებისა და დამაგრების წესებში გაუთვალისწინებელი ტვირთის გადაზიდვისას აუცილებელია შესაბამისი განლაგებისა და დამაგრების შეთანხმებული და დამტკიცებული ნახაზის არსებობა.
  - გადამისამართების შემთხვევაში ვაგონის № ზედნადების № და გადამისამართების პირობა.
  - იმპორტის ან ტრანზიტის შემთხვევაში ვაგონის № , ზედნადების №.
  - განსაკუთრებული პირობებით (შესაბამისი შეთანხმებების ელ წერილების № თარიღი და გადაზიდვის პირობა).
  - კასპიის ზღვაზე ფიდერული გემებითა და სარკინიგზო ბორნებით ტვირთის გადაზიდვისას მიეთითება აზერბაიჯანის და სხვა შესაბამისი რკინიგზების თანხმობის ელწერილის № თარიღი ან ას მესპლანით შეთანხმებული მესპლანის №
  - სახელშეკრულებო პირობით გადაზიდვის შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი პირობა და ამ პირობით განსაზღვრული თანხა.
  - საფრთხეშემცველი ტვირთის გადაზიდვისას მიეთითება OOH-ის ნომერი .

- ნაკრები ტვირთის შემთხვევაში მიეთითება თითოეული ტვირთის დასახელება.
- და სხვა პირობა კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებით.

➢ **განაცხადს თან უნდა დაერთოს** აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა საბუთი და თანხმობის წერილები რომელთა რაოდენობა აღინიშნება განაცხადში. (ვაგონების №№, ზედნადებების №№ და სხვა.)

➢ გადაზიდვისა და შესაბამისი მომსახურების მიმღების (გადამხდელი) ორგანიზაციის დასახელებაში: გადაზიდვის მომსახურების მიმღები, გამგზავნი ან დანიშნულების სადგურში (პირველი 24 საათის) მომსახურების მიმღები, გამგზავნი და დანიშნულების სადგურში 24 საათზე მეტი მომსახურების მიმღები, ბორნის (სადგურის) მომსახურების და ყველა მომსახახურების მიმღები.) – ფიქსირდება გადამხდელის დასახელება, რომელიც იხდის აღნიშნულ გრაფებში მითითებულ მომსახურებას.

- კლიენტმა (გადამხდელმა) აუცილებელია შეავსოს ყველა სავალდებულო გრაფა, მათ შორის:

➢ გადაზიდვის მომსახურების გრაფაში მიეთითება საქართველოს რკინგზაში რეგისტრირებული გადაზიდვის მომსახურების გადამხდელის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი.

➢ თუ გამგზავნი ან/და დანიშნულების სადგური საქართველოს რკინიგზის სადგურია, აუცილებელია შესაბამისი გამგზავნი და დანიშნულები სადგურის მომსახურების გადმხდელისა და 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელის/რკინიგზასთან ანგრაიშსწორების კოდის მითითება.

➢ თუ საქართველოს რკინიგზის სადგურის მომსახურების გადამხდელი არ არის ტვირთგამგზავნი ან/და ტვირთმიმღები, და არის სხვა გადამხდელი - მიეთითება შესაბამისი ექპსედიტორი ან საკუთარი ლოკომოტივით მომსახურების გადამხდელი და მისი რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი დამოწმებული ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში).

➢ სადგურის მომსახურების გადამხდელებზე ელექტრონულ ფორმატში კეთდება ცალკე მომსახურების ინვოისი მათ შორის ბორნის (სადგურის) მომსახურების გადამხდელებზეც.

- ბორნის მეშვეობით სატრანზიტო გადაზიდვის დროს მომსახურების მიმღები იწერება სადგურის (ბორნის) მომსახურების გადამხდელის დასახელებაში და შესაბამისად კეთდება ცალკე ინვოისი სადგურის (ბორნის) მომსახურების გადამხდელზე).
- თუ სადგურის მომსახურების და 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელი არის სხვა კლიენტი (მესმე პირი), მაშინ ელექტრონული განაცხადის გაკეთებისას იწერება 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელის დასახელება და რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი, რომელიც ელექტრონულად, ან ხელმოწერით (ბეჭდით, არსებობის შემთხვევაში) ადასტურებს ამ მომსახურების მიღებას.
- თუ ყველა მომსახურების გადამხდელი არის ერთი და იგივე, ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" ფორმაში ივსება მხოლოდ ყველა მომსახურების მიმღების გრაფა.
- ორგანიზაციის დასახელების, რკინიგზასთან ანგარიშწორების კოდის, სახელი და გვარის, ხელმოწერისა და ბეჭდის ადგილის გრაფებს ავსებს შესაბამისი მომსახურების მიმღები, ადასტურებს ხელმოწერით და ბეჭდის არსებობის შემთხვევაში ადასტურებს ბეჭდით. თუ რომელიმე მომსახურების მიმღები გადამხდელის, ტვირთგამგზავნის და ტვირთმიმღების გარდა არის სხვა ორგანიზაცია, იგი ამავე განაცხადში ავსებს, შესაბამის გრაფებს, დასახელების, რკინიგზასთან ანგარიშწორების კოდის, სახელისა და გვარის მითითებით, აწერს ხელს და ადასტურებს ბეჭდით.

**სავალდებულოა, რომ არარეზიდენტი კლიეტი „მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე“ ფორმაში და ელექტრონულ განაცხადში (სისტემური კონტროლის მეშვეობით) არ დაფიქსირდეს რაიმე მომსახურების გადამხდელად.**

- **საკონტაქტო ინფორმაცია** - კლიენტი ვალდებულია დააფიქსიროს განაცხადში.

**1.3 კლიენტთა მომსახურების ცენტრში გადაზიდვის დავალებებისა დახარისხება და შენახვა.**

წინასწარი განიხვრის ინვოისების, გადაზიდვის დავალებებისა და კორექტირებების დახარისხება და შენახვა წარმოებს გადაზიდვის დავალებების ნომრების მიხედვით შემდეგი კატეგორიებით:

- ტრანზიტი, იმპორტი (დატვირთულის გატარება, მიღება);
- დატვირთვა (ვავონების გამოყოფა დასატვირთად ან დატვირთვის-გადაზიდვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რკინიგზის საერთო პარკიდან ვაგონის მიწოდება);
- საკონტეინერო (ყველა სახის საკონტეინერო გადაზიდვა)
- გადამისამართება (შეჩერება, გადაგზავნა)

**1.4 "სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემა"-ში გამოყენებული ნორმატიული და საცნობარო ცხრილები - ინვოისის, გადაზიდვის დავალების და АС-МЕСПЛАН ფორმირებისთვის:**

- სადგურების ცხრილი კოდებისა და პარაგრაფების ჩვენებით;
- ტვირთის ცხრილი გნგ-ს კოდების მიხედვით;
- ტვირთის ცხრილი ეტსნგ-ს კოდების მიხედვით;
- კლიენტების ცხრილი რკინიგზასთან ანგარიშსწორებისა და საიდენტიფიკაციო კოდების მიხედვით;
- ექსპედიტორების ცხრილი მოქმედების ვადის გათვალისწინებით;
- მისასვლელი ლიანდაგების ცხრილი კონტრაჰენტების მითითებით, ტვირთების მითითებით, მოქმედების ვადისა და გახსნა დახურვის გათვალისწინებით, ვაგონის ტიპის გათვალისწინებით კონკრეტული ტვირთის დაცლის შესაძლებლობაზე;
- საიჯარო ვაგონების ცხრილი კურსირების ვადის გათვალისწინებით;
- რკინიგზის ადმინისტრაციების ცხრილი გადასასვლელი პუნქტების ჩვენებით;
- საქართველოს რკინიგზის ტარიფების საბაზო განაკვეთები;
- ვაგონების ტიპების ცხრილი;
- საფრთხეშემცველი ტვირთის ჩამონათვალი გაეროს ნომრის მითითებით;
- ძირითადი ხაზის განშტოებების სადგურების ჩამონათვალი.

და სხვა საცნობარო ცხრილები.

**მუხლი 2. გადაზიდვის დავალების ფორმირებისათვის აუცილებელი ეკრანული ფორმები**

**2.1. ერთიან ელექტრონულ სისტემაში კლიენტის რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდის მისანიჭებლად, რეგისტრაციისათვის და რეგისტრაციის კორექტირებისათვის საჭირო ეკრანული ფორმა მოიცავს შემდეგ მონაცემებს:**

- კლიენტის დასახელება:
- სახელი გვარი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- სამართლებრივი ფორმა
- ფირმის იურიდიული მისამართი
- ქვეყანა
- ქალაქი
- მისამართი:
- საფოსტო ინდექსი:
- ტელეფონი:
- ფაქსი:
- ბანკი:
- ანგარიშის ნომერი:
- ფირმის ფაქტიური მისამართი
- ქვეყანა:
- ქალაქი:
- მისამართი:
- საფოსტო ინდექსი:
- ტელეფონი:
- ფაქსი:
- ექსპედიტორის ნიშანი:
- მითითებული კოდის შეტანა
- მომხმარებელი:
- პაროლი:
- პაროლის გამეორება:
- ელ-ფოსტა:

**2.2. ერთიან ელექტრონულ სისტემაში ,,მოთხოვნა ტვირთის გადაზიდვაზე" შეტანისათვის და კორექტირებისათვის აუცილებელი ეკრანული ფორმები:**

მომსახურების ცენტრის ოპერატორები ახორციელებენ სარკინიგზო მომსახურების ამსახველი შემდეგი მონაცემების შეტანას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სათანადო ეკრანული ფორმების მეშვეობით:

- გამგზავნი სადგური (დასახელება, კოდი);
- დანიშნულების სადგური (დასახელება, კოდი);
- შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი (დასახელება, კოდი);
- გასვლის სასაზღვრო პუქტი (დასახელება, კოდი);
- გადამხდელი (დასახელება, რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი);
- ტვირთგამგზავნი (დასახელება, რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი);
- ტვირთმიმღები (დასახელება, რკინიგზასთან ანგარიშსწორების კოდი);

➢ მისასვლელი ან საერთო სარგებლობის ლიანდაგის დასახელება (გამგზავნ ან დანიშნულების სადგურში მისასვლელი ან საერთო სარგებლობის ლიანდაგის დასახელება;
➢ გზავნილის სახეობა (სავაგონო, საკონტეინერო, საკონტეინერო მატარებელი);
➢ გადაზიდვის რეჟიმი (ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, სხვა საერთაშორისო, ადგილობრივი);
➢ საგზაო უწყისის ნომერი (დატვირთული ვაგონების მიღება გატარების დროს);
➢ ვაგონის ნომერი (დატვირთული ვაგონების მიღება გატარების დროს);
➢ ტვირთის წონა (დამრგვალებული სრულ ტონამდე);
➢ ტვირთის დასახელება და გნგ-ს კოდი;
➢ OOH-ის ნომერი და საფრთხეშემცველობა (საშიში ტვირთის აღნიშვნა);
➢ არაგაბარიტულობის ხარისხი (ინდექსი) - მცირე და მცირე არაგაბარიტულობაზე მეტი ხარისხი;
➢ დღგ-ს სტატუსი;
➢ ვაგონის ტიპი;
➢ ვაგონის დატვირთვა;
➢ ვაგონის ღერძების რაოდენობა;
➢ გამცილებლის რაოდენობა;
➢ ვაგონის საკუთრება (რკინიგზა, იჯარა-საკუთარი);
➢ საკუთარ ღერძზე მოძრავი;
➢ ცარიელი ვაგონი;
➢ ნავთობპროდუქტების ნაცალი;
➢ რეფსექციის ვაგონების რაოდენობა;
➢ კონტეინერის ტიპი და რაოდენობა;
➢ კონტეინერის საკუთრება (რკინიგზა, იჯარა-საკუთარი);
➢ საქართველოს რკინიგზის გამგზავნი სადგურის მონაწილეობით გადაზიდვისას - მიწოდების თარიღი ვაგონების ან კონტეინერების რაოდენობა და ტვირთის წონა ან კონტეინერის ტიპი;
➢ სადგუროს მომსახურების გადამხდელი გამგზავნ სადგურში;
➢ სადგუროს მომსახურების გადამხდელი დანიშნულების სადგურში;
➢ 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელი გამგზავნ სადგურში;
➢ 24 საათზე მეტი მომსახურების გადამხდელი დანიშნულების სადგურში;
➢ საბორნე (სადგურის) მომსახურების გადამხდელი;
➢ გამგზავნ სადგურში სახელშეკრულებო გადამხდელი;
➢ დანიშნულების სადგურში სახელშეკრულებო გადამხდელი;
➢ სახელშეკრულებო თანხა;
➢ ვაგონების ნომრების ჩასატვირთი Exsel-ის ფაილი;
➢ ვაგონების მიწოდების თარიღი;
➢ მოთხოვნილი ვაგონების რაოდენობა;
➢ გასაკორექტირებელი ტვირთის წონა;
➢ გასაკორექტირებელი კონტეინერების რაოდენობა;
➢ გასაკორექტირებელი მოთხოვნის ნომერი;
➢ შენიშვნა.

ვაგონის შეჩერების, გადამისამართების ან ახსნილი ვაგონის დაგზავნის შემთხვევაში დამატებით მიეთითება:

➢ პირველადი საგზაო უწყისის ნომერი (გზის კოდი, სერია და ნომერი);
➢ გადამისამართების ან გადაგზავნის სადგური;
➢ პირველადი განწესის ნომერი;
➢ პირველადი გამგზავნი სადგური;

- ვაგონის ნომერი;
- გადაზიდვის დავალების პირველადი მონაცემების ახალი მონაცემებით კორექტირებისათვის:
  - ტვირთის დასახელება და კოდი;
  - ტვირთგამგზავნი;
  - ტვირთმიმღები;
  - გამგზავნი სადგური;
  - დანიშნულების სადგური;
  - შემოსვლის სასაზღვრო პუნქტი;
  - გასვლის სასაზღვრო პუნქტი;
  - გადაზიდვის სახეობა;
  - კონტეინერის სახეობა;
  - კონტეინერის მესაკუთრე;
  - მისასვლელი ლიანდაგი გამგზავნ სადგურში;
  - მისასვლელი ლიანდაგი დანიშნულების სადგურში;
  - შენიშვნა (ახალი).
- განაცხადის აქტივიზაცია - დასტური;
- სადგურის მომსახურების აქტივიზაცია-დასტური;
- საზორნე მომსახურების აქტივიზაცია-დასტური;
- კომერციული დასტური;
- კომერციული უარი(კომერციის უარის მიზეზი)
- სგდ-ს დასტური- დასტური;
- სგდ- უარი; (სგდ-ს უარის მიზეზი)
- კლიენტის დასტური;
- კლიენტის უარი;(კლიენტის უარის მიზეზი)
- ვაგონების საკუთრების მდგომარეობის შემოწმება საკუთრებაზე
- განაცხადის გათვლა
- განაცხადის განახლება
- განაცხადის ჩაწერა

**მუხლი 3. სატვირთო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების საბუთების ექსპედირება**

წინამდებარე დოკუმენტის თანახმად, სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებული სარკინიგზო მომსახურების ამსახველი პირველადი დოკუმენტების შედგენა ხორციელდება კომერციული ოპერაციების წარმოებისათვის გახსნილ სადგურებში.

მკაცრი აღრიცხვის საბუთების გაცემა წარმოებს არსებული წესით.

სატვირთო სადგურების უფროსები ყოველდღიურად უზრუნველყოფენ სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში წარსადგენი სატვირთო საბუთების

გამოგზავნას დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ სატვირთო საბუთების ჩაბარებას სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში, არაუგვიანეს მომდევნო თვის 3 რიცხვისა.

საანგარიშო თვის ბოლო პაკეტზე აუცილებელია აღნიშვნა ,,თვის ბოლო პაკეტი".

საბუთები იგზავნება დალუქულ კონვერტებში, რომლებზეც უნდა იყოს მითითებული გამოსაგზავნი კორესპონდენციის რეგისტრაციის ნომერი და გამომგზავნი სადგურის დასახელება. ამასთან, კონვერტი უნდა შეიცავდეს მასში არსებული საბუთების ჩამონათვალს - **სატვირთო საბუთების რეესტრი** (დანართი 14), რომელშიც უნდა იყოს მითითებული საბუთის დასახელება და ნომერი, ხოლო დაუხურავ საბუთებზე - **დაუხურავ საბუთთა რეესტრი** (დანართი 15), რომელსაც თან ერთვის შესაბამისი საბუთების ასლები. სატვირთო საბუთების ჩამონათვალს ხელს აწერს სადგურის უფროსი ან მოადგილე.

**სადგურებიდან** სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში **გამოსაგზავნი საბუთების ნუსხა:**

- გადაზიდვის საბუთი(საგზაო უწყისი, საგზაო უწყისის ყუა, საგზაო უწყისის დამატებითი ეგზემპლარი);
- სასაქონლო დეკლარაცია;
- სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო;
- საერთო ფორმის აქტი;
- დამატებითი მომსახურების დარიცხვის ბარათი;
- დაუხურავ საბუთთა რეესტრი;
- სხვადასხვა ანაკრეფის ქვითრები, შესაბამისი რეესტრით და ბანკის სალაროს შემოსავლის ორდერით.

მკაცრი აღრიცხვის საბუთების გახარჯვა უნდა ხორციელდებოდეს ნომრული თანმიმდევრობის დაცვით.

საბუთის გაფუჭების შემთხვევაში დგება მოხსენებითი ბარათი, თუ რა მიზეზის გამო გაფუჭდა საბუთი და ყველა ეგზემპლარი იგზავნება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში.

სატვირთო საბუთების მიმოქცევაზე პასუხისმგებელი პირები არიან სატვირთო სადგურების უფროსები, ვაგზლის უფროსები, სამგზავრო მატარებლების მემანქანეები, სატვირთო მატარებლების მემანქანეები.

სადგურებიდან დალუქული და სადგურის შტემპელით დამოწმებული კონვერტების გადაბარება და ექსპედირება ხორციელდება აღნიშნულ პროცესში მონაწილე თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობით.

სატვირთო საბუთების ექსპედირებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი სადგურების მიხედვით მოცემულია დანართ 16-ში.

აღნიშნული დოკუმენტაციის ბრუნვის აღრიცხვა ხდება **საბუთთა ბრუნვის რეესტრში** (დანართი 17), რომელშიც მითითებული უნდა იყოს კორესპონდენციის სადგური, კორესპონდენციის ჩამბარებელი, კორესპონდენციის მიმღები, მატარებლის (ელმავლის) ნომერი. აღნიშნული რეესტრი იწარმოება ჟურნალის სახით.

სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში სადგურებიდან გამოგზავნილი პაკეტების ყოველდღიურ წარმოდგენას ახორციელებს სს ,,საქართველოს რკინიგზის" კანცელარია.

ელექტრონულ ფორმატში წარმოებული სატვირთო მომსახურების ამსახველი პირველადი დოკუმენტების რეესტრის pdf-ფორმატში მიღება სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში ხორციელდება „სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის

ერთიანი ელექტრონული სისტემის“ საშუალებით სატვირთო საბუთების ტიპების მიხედვით იმეილზე - dgcentre@railway.ge.

**მუხლი 4. "სატვირთო საქმიანობის აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში" უცხოური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შეტანის წესი**

4.1 სატვირთო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების წინასწარი განიხვრის (საავანსო) კურსი (აშშ დოლარის ლარში გადაყვანის საანგარიშო კურსი) ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეაქვს სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის განყოფილების უფროსს ან უფროსს ანგარიშთა მმართველს ან სამსახურის უფროსის მოადგილეს (საჭიროების შემთხვევაში დისტანციური წვდომის პროგრამის ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით კურსი შეაქვს განყოფილების უფროსს ან სამსახურის უფროსის მოადგილეს).

ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეტანილი უცხოური ვალუტის კურსის სისწორეს ადასტურებს ამავე სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე ან სამსახურის უფროსი.

4.2 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ყოველდღიური უცხოური ვალუტის ლარში ოფიციალური გაცვლითი კურსი ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეაქვს სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის განყოფილების უფროსს ან უფროსს ანგარიშთა მმართველს ან სამსახურის უფროსის მოადგილეს (საჭიროების შემთხვევაში დისტანციური წვდომის პროგრამის ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით კურსი შეაქვს განყოფილების უფროსს ან სამსახურის უფროსის მოადგილეს) .

ერთიან ელექტრონულ სისტემაში შეტანილი უცხოური ვალუტის კურსის სისწორეს ადასტურებს ამავე სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე ან სამსახურის უფროსი.

**მუხლი 5. სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში საბუთების მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების წესი**

სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახური ახორციელებს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების კომერციული და ფინანსური აღრიცხვისა და დარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების სატვირთო სადგურებიდან დადგენილ ვადებში მიღებას; სადგურების მიერ „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ შეტანილი მონაცემების დოკუმენტებთან შესაბამისობის სისწორის დადასტურებას ავტომატური დამუშავებისათვის; ახდენს თითოეული დადასტურებელი საბანკო გადარიცხვის და სადგურებში სხვადასხვა ანაკრეფის ქვითრით გადახდილი თანხების დაფიქსირებას „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ კლიენტის შესაბამის ბარათზე გატარებით. საანგარიშო თვის განმავლობაში დამუშავებული სატვირთო გადაზიდვების დოკუმენტაციის ჩაბარებას სს „საქართველოს რკინიგზის“ არქივში.

სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში სადგურებიდან გამოგზავნილი პაკეტების მიღებას ახორციელებს დარიცხვის უფროსი ოპერატორი (დარიცხვის უფროსს ოპერატორებს განაწილებული აქვთ პაკეტების მიღება სადგურების მიხედვით). (დანართი N 18).

- დარიცხვის უფროსი ოპერატორი აღრიცხვის ჟურნალში არეგისტრირებს პაკეტის ნომერს და ამოწმებს თითოეული სადგურიდან საანგარიშო თვის განმავლობაში შემოსული პაკეტების თანმიმდევრობას;

- სპეციალისტ-აღმრიცხველი ამოწმებს პაკეტში მოთავსებული საბუთების შესაბამისობას რეესტრთან და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოახსენებს დარიცხვებისა ან გადახდების განყოფილების უფროსს;

- დარიცხვის უფროსი ოპერატორი თანაბრად უნაწილებს სატვირთო საბუთებს დარიცხვის ოპერატორებს;

- დარიცხვის ოპერატორი ამოწმებს სადგურების მიერ „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ შეტანილი მონაცემების პირველად დოკუმენტებთან შესაბამისობის სისწორეს და ადასტურებს;

- თუ სადგურის მიერ არ არის შეტანილი სარკინიგზო მომსახურების ამსახველი დოკუმენტების მონაცემები „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“, მაშინ დარიცხვის ოპერატორს შეაქვს სისტემაში შესაბამისი მონაცემები და ადასტურებს;

- დარიცხვის ოპერატორი ბილინგში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში მოახსენებს დარიცხვების განყოფილების უფროსს;

- დარიცხვების განყოფილების უფროსი პირველადი დოკუმენტის შემდგენელ სადგურთან აზუსტებს მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში სადგური აგზავნის მოხსენებით ბარათს დოკუმენტ ბრუნვის სისტემის - DocFlow ან შეტყობინებას ელ. ფოსტის გამოყენებით;

- დარიცხვის ოპერატორი აფორმირებს დღიურ ანგარიშს სამუშაო დღის ბოლოს, ამოწმებს საბუთების ნომრებს, რაოდენობას და ადასტურებს ხელის მოწერით;

- დარიცხვის ოპერატორი საანგარიშო თვის დახურვის შემდეგ დამუშავებულ საბუთებს გადასცემს სპეციალისტ-აღმრიცხველს შემოწმებისათვის;

- სპეციალისტ-აღმრიცხველი ამოწმებს დარიცხვის ოპერატორების მიერ შედგენილ დღიურ ანგარიშებს და ადასტურებს ხელის მოწერით;

- სპეციალისტ-აღმრიცხველი ამოწმებს სადგურების მიერ მკაცრი აღრიცხვის სატვირთო საბუთების საწყობიდან გატანილი და გამოყენებული საბუთების შესაბამისობას;

- სპეციალისტ-აღმრიცხველი აბარებს საბუთებს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს არქივში.

- სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის გადახდების განყოფილების ოპერატორი ან განყოფილების უფროსი ან სამსახურის უფროსის მოადგილე (საჭიროების შემთხვევაში არასამუშაო საათებში დისტანციური წვდომის პროგრამის ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით გადახდების განყოფილების უფროსი ან სამსახურის უფროსის მოადგილე) ახდენს თითოეული გადახდის დაფიქსირებას „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ კლიენტის შესაბამის ბარათზე ასახვით. 50 000 ლარამდე გადახდის დადასტურებას ახდენს ოპერატორი, 50 000 ლარიდან 200 000 ლარამდე გადახდისას - ოპერატორის შემდეგ ადასტურებს გადახდის განყოფილების უფროსი ან სამსახურის უფროსის მოადგილე, ხოლო 200 000 ლარზე მეტი გადახდის დადასტურებას ოპერატორის და გადახდის განყოფილების უფროსის შემდეგ ახდენს ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე ან სამსახურის უფროსი.

- სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის გადახდების განყოფილების ოპერატორი ან განყოფილების უფროსი ან სამსახურის უფროსის მოადგილე (საჭიროების შემთხვევაში არასამუშაო საათებში დისტანციური წვდომის პროგრამის ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით გადახდების განყოფილების უფროსი ან სამსახურის უფროსის მოადგილე) ახდენს სხვადასხვა ანაკრეფის ქვითრის (ფორმა გუ-57) დაფიქსირებას „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ კლიენტის შესაბამის ბარათზე ასახვით.

- სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურის ანგარიშთა მმართველი ყოველთვიურად ახორციელებს სატვირთო გადაზიდვებიდან წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების მონიტორინგს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება შემდეგნაირად: ანგარიშთა მმართველს ერთიანი ელექტრონული სისტემიდან ყოველთვიურად ამოაქვს ანგარიში სატვირთო გადზიდვების დებიტორებზე. ანგარიში კეთდება მას შემდეგ რაც სატვირთო გადაზიდვების შემოსავლების აღრიცხვის სამსახურში დამუშავდება მიმდინარე თვის ყველა პირველადი დოკუმენტი და დაიხურება საანგარიშო პერიოდი.
